


F 32.386

3 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო



კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

მეთოდური მასალების კრებული  
მასობრივი ბიბლიოთეკების  
დასახმარებლად  
(გამომგება პირველი)



თ ბ ი ლ ი ს ი

1965



კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

მეთოდური მასალების კრებული  
მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად

(გამოშვება პირველი)

F 32.386  
3

თ ბ ი ლ ა ს ი

1965



რედაქტორი პ. კიკნაძე

38356  
11

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის

## დადგენილება

№ 9/2

ქ. თბილისი

1964 წლის 30 ოქტომბერი

საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დადგენილების შესაბამისად საუწყებათაშორისო რესპუბლიკური საბიბლიოთეკო საბჭოს სარეკომენდაციო წინადადებების შესახებ.

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს რეკომენდაციები საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკაში.

2. დაევალოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს (ა. კალანდარიშვილი) მიიღოს ზომები საბიბლიოთეკო საბჭოს რეკომენდაციების შესრულებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ბიბლიოთეკების ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელმძღვანელობას, სოფლის მოსახლეობისა და ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას, ბიბლიოთეკების ლიტერატურით დაკომპლექტების ხარისხის ამაღლებას და ყველა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციას.

3. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის კულტურის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კულტურის

განყოფილების გამგეებს. საუწყებთაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს მონაწილეობით მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე განიხილონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, იბრძოლონ მისი შესრულებისათვის.

4. ეთხოვოს რესპუბლიკურ, სარაიონო და საქალაქო გაზეთების რედაქციებს თავიანთი გაზეთების ფურცლებზე პერიოდულად გააშუქონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

5. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის კულტურის მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო და სარაიონო კულტურის განყოფილების გამგეებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე საკითხის დაყენებით მიაღწიონ ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მკვეთრად გაუმჯობესებას (შესაფერი შენობების გამოჩახვა, საბიბლიოთეკო მოწყობილობათა შეძენა და სხვ.), მოფიქრებულად და რაციონალურად გამოიყენონ ბიბლიოთეკებისათვის რემონტისა და ინვენტარის შესაძენად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

საქ. სსრ კულტურის სამინისტრო.

## გადაწყვეტილება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული  
საუწყებატაზორისა და საბიბლიოთეკო საბჭოს პლენუმისა

1964 წლის 28 სექტემბერი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილების — „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში შესრულების მიმდინარეობაზე.

საბიბლიოთეკო საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გადაიქცა სსრ რესპუბლიკაში არსებული ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებისათვის სამოქმედო პროგრამად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები საბიბლიოთეკო მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ ღონისძიებათა წარმატებით განსახორციელებლად ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა: ჩვენი მასობრივი და სამეცნიერო ბიბლიოთეკები ეწეოდნენ პარტიის XXI და XXII ყრილობების და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. აქტიურ დახმარებას უწევდნენ პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს მშრომელთა კულტურული და საწარმოო ღონის ამადლებისათვის.

შეიქმნა ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა საბიბლიოთეკო



მომსახურების ერთიანი გეგმა, ბიბლიოთეკებში ფართოდ გავრცელებული მუშაობა მკითხველთა წიგნით მომსახურებისათვის.

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო; თბილისის ჯაფარიძის სახელობის თბილისის ისტორიული, აფხაზეთისა და აჭარის რესპუბლიკური, სამხრეთ ოსეთის საოლქო, ქუთაისის სახელმწიფო საჯარო, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო-სპეციალური, სახელმწიფო, მასობრივი სარაიონო, საბავშვო და პროფკავშირული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი გაიზარდა და გამდიდრდა აქტუალური მნიშვნელობის მქონე ლიტერატურით.

გაუმჯობესდა მთელი რიგი ბიბლიოთეკების საბინაო პირობები. ბევრ სარაიონო, საქალაქო, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკებს გადაეცა ახალი, კეთილმოწყობილი შენობები და შეუძინეს სპეციალური საბიბლიოთეკო მოწყობილობა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები არის გატარებული წიგნობრივი ფონდის აღრიცხვისა და დაცვისათვის, მოწესრიგდა საკატალოგო მეურნეობა და გაუმჯობესდა ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის დაკომპლექტება.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს, კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკური და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა ბიბლიოთეკებში წიგნის ბრუნვა, მკითხველთა რაოდენობა და გაუმჯობესდა მათი მომსახურება, ბიბლიოთეკების მუშაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომ აქტუალურ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებთან. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის იდეური დონე. ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს, რითაც ხელს უწყობენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას.

ბიბლიოთეკების მუშაობაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების, საბჭოთა ლიტერა-



ტურისა და მეცნიერების მიღწევების, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის საკითხების პროპაგანდას.

ამასთან ერთად საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭო აღნიშნავს, რომ საბიბლიოთეკო საქმის არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უპასუხებს პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებს და მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ-მოთხოვნილებებს.

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნა წიგნობრივი ფონდების დაკომპლექტების, ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის, საბიბლიოთეკო ქსელის მოწესრიგებისა და ზრდის, სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინირების, საბიბლიოთეკო კადრების მომზადებისა და გამოყენების საქმეში.

სოფლის ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება საბიბლიოთეკო მშენებლობის განვითარების ტემპებს ქალაქად და ვერ აკმაყოფილებს სოციალისტური სოფლის მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას წიგნზე და ჟურნალ-გაზეთებზე. ხოლო ზოგიერთი სამეცნიერო, საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა ახალგაზრდა მკითხველებთან. ზოგიერთ ბიბლიოთეკას ჯერ კიდევ სათანადოდ არა აქვს შექმნილი მუშაობის შესაფერისი პირობები, არა აქვს საჭირო სპეციალური ინვენტარი და მოწყობილობა და მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში; ასეთი მდგომარეობა ბიბლიოთეკების მუშაკებს ხელს უშლის მკითხველებთან მუშაობასა და წიგნობრივი ფონდის დასაცავად საჭირო ღონისძიებების გატარებაში.

ზოგიერთ ბიბლიოთეკაში მკითხველებთან მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. სუსტად სწარმოებს მკითხველთა ინტერესების შესწავლა, თვითგანვითარებაში ჩაბმულ მკითხველებისათვის დახმარება, კითხვისადმი ხელმძღვანელობა და საკონსულტაციო მუშაობა.

ზოგ ბიბლიოთეკებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ტექნიკური ლიტერატურის შექმნას, პროპაგანდასა და ტექნიკურ ლიტერატურაზე მომუშავეთათვის დახმარების გაწევას, ხოლო ზოგიერთ სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკაში სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით დაკომპლექტება და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროპაგანდა არაადაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის ბიბლიოთეკების კოორდინირებული მუშაობის საკითხი, ამიტომაც, რომ სამეცნიერო და ცენტრალური დარგობრივი ბიბლიოთეკები ჯეროვან ყურადღებას ვერ უთმობენ მიმდინარე დარგობრივი ბიბლიოგრაფიის შედგენისა და ბიბლიოთეკებზე მისი განაწილების საქმეს. ასეთი მდგომარეობა დიდად აფერხებს მასობრივი მკითხველების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების პრაქტიკული გამოყენება ბიბლიოთეკურ მუშაობაში არა დგას ჯეროვან სიმაღლეზე, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის პრაქტიკული გამოყენების მეთოდების სწავლებას.

გამომცემლობები ნაკლებად სწავლობენ მასობრივი ბიბლიოთეკების მოთხოვნილებებს. ბიბკოლექტორი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების პროფილურ დაკომპლექტებას და რიგ შემთხვევებში მექანიკურად აგზავნის ლიტერატურას ბიბლიოთეკებში.

საუწყებო ბიბლიოთეკების მდიდარი წიგნობრივი ფონდებით მკითხველთა მხოლოდ განსახლვრული ნაწილი სარგებლობს და არ ხდება მისი გამოყენება მოსახლეობის ფართო ფენების მიერ. საქართველოს რესპუბლიკაში ნელა ვითარდება ბიბლიოთეკათმორისო აბონემენტით სარგებლობა, რაც იმიტომ არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი ბიბლიოთეკის ხელმძღვანელები სათანადოდ ვერ აფასებენ მკითხველთა წიგნით მომსახურების ამ ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებას.

დღემდე ბევრგან მოუგვარებელია ბეჭდური გამოცემების დაყდავებისა და დაკაზმვის საქმე, რის გამოც ბიბლიოთეკებში მიღებული წიგნები ნაადრევად ცვდება და გამოდის ხმარებიდან.

ბიბლიოთეკების მუშაკთა ნაწილი თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნით და პროფესიონალური დახელოვნებით ვერ პასუხობს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

იმის გამო, რომ საქალაქო ბიბლიოთეკებში 1963 წელს განხორციელდა მოძრავი ფონდის გამგეების საშტატო ერთეულების შემცირება, საგრძნობლად გაუარესდა იმ წარმოება-დაწესებულებათა წიგნით მომსახურების საქმე, რომელსაც თავიანთი ბიბლიოთეკები არა აქვთ, ხოლო სასოფლო კლუბებში ბიბლიოთეკარების 1016

საშტატო ერთეულის შემცირებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა სოფლის მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდის საქმე.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის შემდგომი გაუმჯობესების და განვითარებისათვის საუწყებთაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საუწყებთაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს მასობრივ, სამეცნიერო და სხვა უწყების ბიბლიოთეკების მთავარ ამოცანად მიაჩნია ბიბლიოთეკებმა თავიანთი მუშაობა დაუქვემდებარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიება შესახებ“. ბიბლიოთეკების მთელი მუშაობა წარმართონ პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-სავანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ სხვა უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად:

ა) 1965 წლიდან უახლოესი წლებისათვის დაამუშაოს ბიბლიოთეკების განვითარების პერსპექტიული გეგმა, თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისათვის, ოლქის, ქალაქისა და რაიონისთვის ცალცალკე, ყველა უწყების ბიბლიოთეკების რაციონალურად განლაგების, არსებული ქსელის განმტკიცების, სასოფლო და მოძრავი ბიბლიოთეკა-ავტომობილების ქსელის გაფართოების გათვალისწინებით.

გატაროს ღონისძიებები რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში საზოგადოებრივ საწყისებზე ბიბლიოთეკების რაოდენობის გასაღიღებლად.

დაამუშაოს ღონისძიებები სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების მაქსიმალური გამოყენებისათვის და მოახდინოს ამ ფონდების მოსახლეობის ფართო მასებისათვის სარგებლობის ორგანიზაცია. უფრო ფართოდ მოაწყოს ბიბლიოთეკებს შორის წიგნების გაცვლა-გამოცვლა. როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე რესპუბლიკის გარეთ, გააფართოოს ბიბლიოთეკათშორისო

აბონემენტი და კიდევ უფრო გააძლიეროს ბიბლიოთეკების მუშაკთა პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების დასაცავად.

3. მასობრივი და სამეცნიერო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის შემდგომი ზრდისა და პროფილური დაკომპლექტების მიზნით ეთხოვოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს რესპუბლიკის საგამომცემლო ორგანოებს:

ა) საგამომცემლო გეგმების დამტკიცებისა და გამოსაცემი წიგნების ტირაჟების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღოს ბიბლიოთეკების, კერძოდ მასობრივი ბიბლიოთეკების, მოთხოვნილებანი, მოაწიონ საგამომცემლო გეგმებისა და გამოსაცემი ლიტერატურის ტირაჟის განსაზღვრის საკითხის განხილვა ბიბლიოთეკების მუშაკთა მონაწილეობით;

ბ) მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის დაბეჭდონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული და საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების სპეციალური სერიები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ უმცროსი და საშუალო ასაკის ბავშვთათვის წიგნების გამოცემას, ამ წიგნების კარგი ხარისხის ქაღალდზე დაბეჭდვითა და ყდაში ჩასმით;

გ) დაავალოს „საქწიგნს“ და ბიბკოლექტორს გადაჭრით გააუმჯობესოს მასობრივი და სამეცნიერო ბიბლიოთეკების პროფილური დაკომპლექტება, ბიბლიოთეკებს დროულად გაუზზავნონ ახლად გამოცემული ლიტერატურა, დაუგვიანებლივ მიაწოდონ ბიბლიოთეკებს თემატური საგამომცემლო კატალოგები, ბიბლიოთეკების დაკომპლექტებისას გაითვალისწინონ მათი მოთხოვნილებანი, რაიონის ეკონომიური თავისებურება, მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა, არ დაუშვან წიგნის მექანიკური განაწილება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბიბლიოთეკების დაკომპლექტებას სასოფლო-სამეურნე, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურით. სამეცნიერო ბიბლიოთეკების ლიტერატურით დასაკომპლექტებლად არსებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში გამოჰყონ დაკომპლექტების სპეციალური ჯგუფი. ახალგამოცემული საბიბლიოთეკო ტექნიკის სახელმძღვანელოს მიხედვით, შეუფერხებლად და საკმაო რაოდენობით გამოსცენ საბიბლიოთეკო ტექნიკის ფორმები და დროულად გადაუზზავნონ ბიბლიოთეკებს;

თ) დაავალოს გამომცემლობებს, რომ ხელმძღვანელი ორგა-

ნოების დადგენილების თანახმად ყოველი წიგნი გამოსცენ საბიბლიოთეკო ინდექსით, საავტორო ნიშნით და ბეჭდური ანოტაციით;

ე) დაავალოს სახელმწიფო წიგნის პალატას ბარათული წიგნის, ჟურნალის და გაზეთის მატრიანები გამოსცეს და დაუგზავნოს თავის დროზე ბიბლიოთეკებს, რათა მათი გამოყენება შესაძლებელი გახდეს ბიბლიოთეკების დაკომპლექტების გაუმჯობესებისა და საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში.


4. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭოს პლენუმი მხარს უჭერს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებული საბიბლიოთეკო საბჭოს მე-10 პლენუმის დადგენილებას ბიბკოლექტორის „საქწიგნის“ გამგებლობიდან კულტურის ორგანოების გამგებლობაში აუცილებლად გადაცემის მოთხოვნის შესახებ.

5. უახლოესი წლების განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ბიბლიოთეკები საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებით, კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ბიბლიოთეკების მუშაკთა მომზადებისა და გადამზადების საქმე, რისთვისაც ეთხოვოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) დაავალოს თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე მისაღები კონტიგენტი გაანაწილონ რესპუბლიკის იმ რაიონებსა და ქალაქებში, სადაც უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლების ბიბლიოთეკარები არ მუშაობენ. მიღებულ იქნას ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის საღამოს დასწრებულსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე მხოლოდ საშტატო თანამდებობაზე მომუშავე ბიბლიოთეკარები კონკურს გარეშე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე გახსნას ცალკე ჯგუფები სამეცნიერო-ტექნიკური და სასკოლო-საბავშვო ბიბლიოთეკებში მომუშავე ბიბლიოთეკარებისათვის. მოაწყოს მათი სწავლება სპეციალური სასწავლო გეგმით. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი დაუსწრებელ განყოფილებაზე ორწლიანი სწავლების კურსით ერთი ჯგუფის გახსნა ბიბლიოთეკებში მომუშავე უმაღლესი არა საბიბლიოთეკო განათლების მქონე მუშაკთათვის.

დაისვას საკითხი ბიბლიოთეკების ქსელის მქონე სამინისტროებსა და უწყებათა ხელმძღვანელების წინაშე ხელი შეუწყონ



ბიბლიოთეკებში საშუალო განათლების მქონე მუშაკებს, რათა დაამთავრონ დაუსწრებლად ბიბლიოთეკათმცოდნეობის ტექნიკური ტეტი;

ბ) დაისვას საკითხი სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელების წინაშე ბიბლიოთეკებში ვაკანტურ ადგილზე თანამშრომელთა დანიშვნის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ სამეცნიერო და მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკთა დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

სამეცნიერო პედაგოგიური კადრების მომზადების საქმის გაუმჯობესების მიზნით ბიბლიოთეკათმცოდნეობის და ბიბლიოგრაფიის დარგში საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვის ნებართვის შესახებ.

6. დაისვას საკითხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე:

ა) საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან საბიბლიოთეკო კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც დაევალება საბიბლიოთეკო კანონების შემუშავება და ღონისძიებების შედგენა სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის კოორდინაციისათვის;

ბ) 1965 წელს საქ. სსრ ბიბლიოთეკის მუშაკთა ყრილობის მოწვევის შესახებ;

გ) ბიბლიოთეკათმცოდნეობის აბონემენტით წიგნების უფასოდ გაგზავნის შესახებ;

დ) საქართველოში მსგავსად სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისა და რესპუბლიკის ერთ-ერთი წარმოების მიერ ბიბლიოთეკებისათვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ინვენტარისა და მოწყობილობის დამზადების შესახებ.

ე) რესპუბლიკის ერთ-ერთი წარმოების მიერ ბიბლიოთეკებისათვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ინვენტარისა და მოწყობილობის დამზადების შესახებ.

7. ეთხოვოს რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს ხშირად გადასცენ ახალი წიგნების ბიბლიოგრაფიული ინფორმაციები და მიმოხილვები, მოწინავე ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება. გადაცემული იქნას ლექციები ბიბლიოთეკათმცოდნეობის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

ეთხოვოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ საბიბლიოთეკო მუშაობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან არსებული

საუწყებათაშორისო საბიბლიოთეკო საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკები შემოქმედებითი ინიციატივის ვითარებაში ერთსულოვნად იბრძობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების წარმატებით განხორციელებისთვის და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევენ რესპუბლიკის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა

№ 152

ქ. თბილისი

1965 წლის 2 აპრილი.

## ახმეტის რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ლონისძიებათა შესახებ

ახმეტის რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის სექტემბრის დადგენილების „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ განსახორციელებლად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, გაიზარდა რაიონის მოსახლეობის წიგნით მომსახურება. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეივსო ახალი ლიტერატურით

გარკვეული ღონისძიებები გატარდა რაიონის სოფლის ყოველი დასახელებული პუნქტის ყოველ ოჯახამდე ბიბლიოთეკის წიგნის დასაყვანად, შედგენილ იქნა მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი საუწყებოთაშორისო გეგმა და სხვ.. გაუმჯობესდა კადრების შემადგენლობა.

რაიონის რიგი ბიბლიოთეკები ლუისის, ქვემო ალვანისა და სხვ. თავის მუშაობაში. ფართოდ იყენებენ წიგნის პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებს, აწყობენ ლიტერატურის გამოფენებს. ატარებენ მკითხველთა კონფერენციებს, კითხვა-პასუხისა და თემატურ საღამოებს, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, საუბრებს და სხვ.

ამასთან აღსანიშნავია რომ ახმეტის რაიონის ბიბლიოთეკების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს წიგნზე, მკითხველებთან წიგნის მიახლოებების მიზნით. ზოგიერთ ბიბლიოთეკაში გამოყენებული არ არის მომსახურებელი მოძრავი საბიბლიოთეკო ფორმები — მოძრავი ბიბლიოთეკები, წიგნის გაცემის პუნქტები და სხვ.

ბიბლიოთეკების ქსელის გეგმაზომიერი განლაგების მიზნით არ გატარებულა არავითარი ღონისძიება, რის გამო ისეთი დიდი სოფლები, როგორცაა ახალშენი და არაშენდა, სადაც 700-ზე მეტი მცხოვრებია თვითუფლებში, დარჩენილია ბიბლიოთეკის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დადგენილებაში ბიბლიოთეკების შესახებ აღმასკომებს მიეცათ დავალება ბიბლიოთეკების უვარგის შენობიდან უკეთ მოწყობილ შენობაში გადატანის შესახებ, ამ მიმართებით რაიონში არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა. 13 სასოფლო ბიბლიოთეკიდან 6 ბიბლიოთეკა (აწყურის, ჩაბინაანის, ბირკიანის, ომალოს, წინუბნის და ქორეთის) იმყოფება კერძო ბინებში, რომლებიც ყოველად შეუფერებელია საბიბლიოთეკო მუშაობის გაშლისათვის. აღნიშნულ ბიბლიოთეკებს არ აქვს საკმაო რაოდენობით საბიბლიოთეკო ინვენტარი.

სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი რაიონის ბიბლიოთეკების დაკომპლექტების საქმეში. არაგეგმაზომიერი დაკომპლექტების გამო რიგ სასოფლო ბიბლიოთეკებს (ქვემო ალვანის, მატანის, ჩიბაანის და სხვ.), 1964 წელში აუთვისებელი დარჩათ წიგნის შესაძენი თანხები. ჩაბინაანის ბიბლიოთეკამ 100 მანეთიდან ათვისა მხოლოდ 84 მანეთი, ქვემო ალვანისამ — 400 მანეთიდან 265 მანეთი და სხვ. იმის გამო, რომ საბიბლიოთეკო კოლექტორი ვერ ითვისებს რაიონის ეკონომიურ თავისებურებებს ბიბლიოთეკების წინასწარი შეკვეთების გარეშე აგზავნის ისეთ ლიტერატურას, რომელიც არ შეესაბამება რაიონის ბიბლიოთეკების პროფილს. მაგ. ბირკიანისა და წინუბნის ბიბლიოთეკებს აქვთ წიგნები „ჩაის ბუჩქის გასხვლის შესახებ“ და სხვა. ასევე ბიბლიოთეკების ფონდებში ბევრია ერთი და იმავე სახელწოდების წიგნის გამოუყენებელი ეგზემპლარები. მაგ. სარაიონო ბიბლიოთეკას აქვს უ. თეკერვის „ამაოების ბაზარი“ 20 ცალი, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ 20 ც. და სხვ.

წინაუბნის, ბირკიანის და ჩაბინაანის სასოფლო ბიბლიოთეკე-

ბის წიგნობრივი ფონდი პერიოდულად არ იწმინდება შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურისაგან, რის გამო წიგნობრივი ფონდები დანაგვიანებულია მოძველებული ლიტერატურით.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მასობრივი წიგნობრივი რაიონის არცერთ სასოფლო ბიბლიოთეკას არ მოუწყვია შეხვედრა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან. არაეფექტურია ბირკიანის, წინაუბნისა და რიგი სხვა ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული მასობრივი ღონისძიებანი, არ არის გამოყენებული მკითხველებთან წიგნის მიახლოებების აქტიური ფორმები და ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვის მეთოდები, რის გამო მცირეა მომსახურებულ მკითხველთა რიცხვი და მათზე გაცემულ წიგნთა რაოდენობა. მაგალითად, 1964 წლის განმავლობაში წინაუბნის სასოფლო ბიბლიოთეკა მოემსახურა 77 მკითხველს და გასცა მათზე 637 წიგნი, ასეთივე მდგომარეობაა ჩაბინაანისა და რიგ სხვა ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკები არადამაკმაყოფილებლად კომპლექტდება საბავშვო ლიტერატურით. რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობა ბავშვებთან ამოიწურება მხოლოდ მათზე წიგნების გაცემით. არ წარმოებს მკითხველ ბავშვთა კითხვის ინტერესების შესწავლა და კითხვის ხელმძღვანელობა. სუსტია სარაიონო საბავშვო, აწყურისა და რიგი სხვა სასოფლო ბიბლიოთეკების კავშირი სასკოლო ბიბლიოთეკებთან, რის გამო რაიონში მცხოვრებ 1—8 კლასის 7.417 მოსწავლიდან 2.500-ზე მეტი დარჩენილია ბიბლიოთეკის წიგნის კითხვის გარეშე.

არ არის გადაჭრილი სოფლის ყოველ ოჯახამდე ბიბლიოთეკის წიგნის დაყვანის ამოცანა.

სერიოზული ნაკლოვანებებია ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დამუშავებისა და საკატალოგო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში.

ახმეტის რაისაბჭოს კულტურის განყოფილება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკებს, დროულად არ იღებს ზომებს ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

არსებული ნაკლოვანებანი იმითაც არის გამოწვეული, რომ სარაიონო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკები არადამაკმაყოფილებლად უწყვეტ სასოფლო ბიბლიოთეკებს სათანადო მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას.

ბიბლიოთეკების საქმიანობაში სუსტად მონაწილეობს საზო-



გადღებრიობა: ბიბლიოთეკის საბჭოები ვერ გახდნენ ბიბლიოთეკის მთლიანი საქმიანობის კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანო-  
 ახმეტის რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებების მუშაობის  
 გაუმჯობესების მიზნით.— ვბრძანებ:

1. დაევალოს ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას (გამგე ფ. ნადირა-  
 შვილი) მიიღოს გადამჭრელი ზომები ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, დააწესოს სისტემა-  
 ტური კონტროლი ბიბლიოთეკების მუშაობაზე. ყოველწლიურად დაამუშაოს რაიონის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ერთიანი გეგმები იმგვარად, რომ არცერთი ოჯახი არ დარჩეს საბიბ-  
 ლიოთეკო მომსახურების გარეშე; გაატაროს საჭირო ღონისძიებანი ბიბლიოთეკების ქსელის გეგმაზომიერი განლაგებისათვის. დააყე-  
 ნოს საკითხი ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმას-  
 კომის წინაშე და მიადწიოს ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკუ-  
 რი ბაზის გაუმჯობესებას.


2. დაევალოს სარაიონო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთე-  
 კებს (გამგეები გ. გელდიაშვილი, ს. ჯამშიტაშვილი) გააძლიერონ  
 მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება რაიონის ბიბლიოთეკებისადმი,  
 რაიონული სემინარის საბიბლიოთეკო სექციის მეცადინეობაზე  
 პერიოდულად გაუკეთონ ანალიზი ცალკეული სასოფლო ბიბლიო-  
 თეკების მუშაობას და დასახონ კონკრეტული გზები და საშუალება-  
 ნი მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად.

3. დაევალოს რაიონის ბიბლიოთეკებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები მკითხველთა და მათზე გაცე-  
 მულ წიგნთა რაოდენობის სახელმწიფო ნორმების შესრულები-  
 სათვის. მკითხველთა ფართო მასების მოზიდვისა და მკითხველბ-  
 თან წიგნის მიახლოების მიზნით ფართოდ გამოიყენონ მოძრავი  
 საბიბლიოთეკო ფორმები და წიგნის პროპაგანდის თვალსაჩინო  
 საშუალებანი;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა სა-  
 ბიბლიოთეკო მომსახურებას, სკოლებთან კომკავშირული და პიონე-  
 რულ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის საფუძველზე უზრუნველ-  
 ყონ 1—8 კლასის ყველა მოსწავლის ბიბლიოთეკის კითხვაში ჩაბმა,  
 მკითხველთა ინტერესების შესწავლა და კითხვის ხელმძღვანელობა.  
 ცალკეული წრეების შექმნა და ბავშვებში კითხვის კულტურის ჩვე-  
 ვების გამომუშავება. ბავშვთა შორის მუშაობა წარმართოს კომუ-

F 22.386



ნისტური სულსკვეთებით აღზრდისა და სასწავლო-სააღმწერდელთა მიზნების განხორციელებისათვის;


გ) ლიტერატურის პროპაგანდისა და მოწინავე გამოცდილებით ურთიერთ გაზიარებისა და განზოგადების მიზნით პრაქტიკაში დაწერგონ მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმები, როგორცაა წიგნის გამოფენები, საბიბლიოთეკო პლაკატები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებთან, წიგნის განხილვები, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვები და სხვა;

დ) გამომცემლობების გამოცემათა თემატური გეგმების საფუძველზე უზრუნველყონ საჭირო შესაძენი ლიტერატურის სიების შედგენა და დადგენილ ვადებში მათი გაგზავნა საბიბლიოთეკო კოლექტორისათვის. წიგნებზე შეკვეთის სიების შედგენის დროს გაითვალისწინონ ბიბლიოთეკის მომსახურების რაიონის ეკონომიური თავისებურება და მკითხველთა ინტერესები. სიების შედგენაში ფართო მონაწილეობა მიაღებინონ საზოგადოებრიობას დაკომპლექტების სექციის წევრებსა და სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგის სპეციალისტებს. არსებული ინსტრუქციების საფუძველზე პერიოდულად აწარმოონ ბიბლიოთეკის ფონდებიდან შინაარსობრივად მოძველებული გამოცემების გარიცხვა და ერთი და იმავე სახელწოდების ზედმეტი გამოუყენებელი ეგზემპლარების გადაცემა სხვა ბიბლიოთეკებისათვის.

3. ყურადღება მიაქციონ ფონდების აღრიცხვისა და დამუშავების საქმეს. საკატალოგო მეურნეობას საფუძვლად დაუდონ „ინსტრუქცია ბიბლიოთეკების კატალოგებისა და კარტოთეკების შესახებ“.

ფართოდ ჩააბან საზოგადოებრიობა ბიბლიოთეკების საქმიანობაში. მოახდინონ ბიბლიოთეკის საბჭოს შემადგენლობათა გადახალისება. ბიბლიოთეკის საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანონ ბიბლიოთეკის საქმიანობით დაინტერესებული ყველაზე ინიციატივიანი მკითხველები. ბიბლიოთეკის საბჭოებმა თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ „დებულება ბიბლიოთეკის საბჭოს შესახებ“.

4. კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი პ. მ. კანდელაკი) უზრუნველყოს მეთოდისტებისა და ბიბლიოთეკის სხვა კვალიფიციური მუშაკების პერიოდული მივლინება რაიონის ბიბლიოთეკებისადმი ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად.



5. დაევალოს ახმეტის მშრომელთა დეპუტატების რეისაბკოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ანხ. ფ. ნაღრაშვილს ბრძანების შესრულების შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოადგინოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოში ა/წლის პირველ სექტემბრისათვის.

კულტურის მინისტრის

მოადგილე: ვ. იაქაშვილი.

## ბ. კიპაროძე,

სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების  
გამგე.

### **„საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ თემაზე ახალგაზრდა მკითხველთა სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგები საქართველოს ბიბლიოთეკაში**

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა მიიღო ერთობლივი დადგენილება — პირველად ჩვენს ქვეყანაში „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ თემაზე ახალგაზრდა მკითხველთა სრულიად საკავშირო დაუსწრებელი კონფერენციის ჩატარების შესახებ.

კონფერენცია, რომელიც ჩატარდა 1964 წლის 28 ივნისიდან 15 დეკემბრამდე, დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა პრობანდის საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ისტორიული პროგრამის განხორციელებისას კომუნისტური პარტია დიდ იმედებს ამყარებს საბჭოთა ლიტერატურაზე, როგორც იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უძლიერეს საშუალებაზე. რომელსაც ადამიანის გრძნობასა და გონებაზე ზემოქმედების უდიდესი ძალა გააჩნია.

განსაკუთრებით დიდია ლიტერატურის როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ახალგაზრდა თაობის კომუნისტური მსოფლმხედველობის, ზნეობისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში.

როგორც სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა, ე. ა. ფურცვეამ ამ საკითხთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნა: „ცხოვრებაში ჩვენ ყოველდღე ვხვდებით ახალგაზრდა

გმირს, იგი ჩვენს გვერდითაა — კომუნიზმის მშენებელი, დაუცხრო-  
მელი, ენერგიული, მიზანსწრაფული ადამიანი. იგი მუშაობს ქარ-  
ნებსა და ფაბრიკებში, მართავს კომბაინებსა და თვითმფრინავებს,  
იმორჩილებს კოსმოსს. ეუფლება ყამირს, აშენებს ელექტროსადგუ-  
რებსა და საცხოვრებელ სახლებს, იკვლევს მშობლიური მიწის წია-  
ლისეულს და უამრავ სხვა საქმეს აკეთებს“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ლენინის ანდერძის  
უსაზღვრო ერთგულება განსაზღვრავს ჩვენი ახალგაზრდა თაობის  
საქმეებსა და ქცევას. ჩვენს ახალგაზრდობას დიადი მიზნები, დიადი  
ამოცანები აქვს — ააშენოს კომუნიზმი, მთელ კაცობრიობას გაუკა-  
ფოს გზა კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო წიგნებმა საბჭოთა ახალ-  
გაზრდობაზე, მის შრომით და საბრძოლო გმირობაზე ღირსეულ  
ადგილი დაიკავეს ლიტერატურის საგანძურში.

ამ წიგნების ცენტრში არიან ახალგაზრდა ადამიანები, რომლე-  
ბიც მიბაძვის ღირსია. ადამიანები, რომელთა მაგალითით, როგორც  
თქვა ვ. მაიაკოვსკიმ „შიდილება იცხოვრო“; ეს წიგნები ეხმარება  
ჩვენს ახალგაზრდობას თავიანთი ადგილი იპოვონ კომუნისტური სა-  
ზოგადოების მშენებელთა სახელოვან მწყობრში წიგნები მათი ნამ-  
დვილი მეგობრები და მრჩეველები არიან.

საკავშირო დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ  
კულტურის სამინისტრომ, საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და  
საქართველოს სსრ მწერალთა კავშირმა მიიღო ერთობლივი დადგე-  
ნილება ჩვენი რესპუბლიკის პირობების შესაბამისად — მკითხველთა  
კონფერენციის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

აღნიშნული ერთობლივი დადგენილება და მკითხველთა კონფე-  
რენციის მომზადებისა და ჩატარების გეგმა დაეგზავნათ აფხაზეთისა  
და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროებს, კომკავშირის საოლქო  
კომიტეტებს და მწერალთა კავშირებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომი-  
ური ოლქის საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებას,  
კომკავშირის საოლქო კომიტეტს და მწერალთა კავშირის საოლქო  
განყოფილებას, აგრეთვე რესპუბლიკის ყველა სარაიონო და საქა-  
ლაქო კულტურის განყოფილებებს და კომკავშირის რაიონულ და  
საქალაქო კომიტეტებს.

ამავე დროს რესპუბლიკის პრესა გამოეხმაურა და ფართო პო-  
პულარიზაციას უკეთებდა ახალგაზრდა მკითხველთა საკავშირო  
კონფერენციას. რესპუბლიკაში კონფერენციის მიმდინარეობის სა-



კითხვებს სისტემატურად აშუქებდა გაზეთები: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „Молодёжь Грузии“, „თბილისი“, „Вечерний Тбилиси“  
ყველა რაიონული და საქალაქო გაზეთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ აგრეთვე სარაიონო, საქალაქო, საბავშვო, სასოფლო და საუწყებო ბიბლიოთეკებმა კულტურისა და კომკავშირის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობით და დახმარებით, ახალგაზრდა მკითხველთა საკავშირო კონფერენციის მსვლელობის პერიოდში, რომელიც დაკავშირებული იყო გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის დაბადებიდან 60 წლისთავის შესრულებასთან, უაღრესად დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს.

კონფერენციის მსვლელობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალგაზრდობაზე შექმნილ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურის პროპაგანდას. რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში მოეწყო საუკეთესო ნაწარმოებთა ფართო განხილვები, მკითხველთა კონფერენციები, ახალგაზრდობის შეხვედრები მწერლებთან, კრიტიკოსებთან, ჩატარდა თემატური საღამოები ჩვენი დროის გმირის თემაზე, მოეწყო საბჭოთა მწერლების ცალკე ნაწარმოებების განხილვები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამ დიდ ღონისძიებას რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში სათავეში ჩაუდგა კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა, რომელმაც დაუსწრებელ მკითხველთა კონფერენციას მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება მიუძღვნა, როგორც ბიბლიოთეკის შიგნით, ასევე რესპუბლიკის მასშტაბით.

რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ რუსულ და ქართულ ენებზე სტამბურად მასობრივი ტირაჟით გამოსცა პლაკატი თემაზე „თქვენთვის ახალგაზრდა მკითხველებო“ და „ძვირფასო მეგობრებო“, რომლებიც დაიგზავნა რესპუბლიკის ყველა ბიბლიოთეკაში, კომკავშირულ ორგანიზაციებში და ახალგაზრდობის დაწესებულებებში. ამ პლაკატმა დიდი სააგიტაციო როლი შეასრულა კონფერენციის მსვლელობის პროცესში.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის კვალიფიციური მუშაკებისაგან შემდგარმა 27 ლექტორმა რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში, წარმოებადაწესებულებებში და კომკავშირულ ორგანიზაციებში ახალგაზრდა მკითხველებთან ჩატარეს ლექციები და „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ — ამსახველი ლიტერატურის ბიბლიოგრაფი.

ული მიმოხილვები. ასეთი ღონისძიებები ჩატარდა ქ. თბილისში, ქ. რუსთავში, ქ. კასპში, ქ. ქუთაისში, ამბროლაურის, ცაგერის, ლენ-ტეხის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, დაბნის, ბოლნისის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებსა და ქალაქებში. კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ძალებით ჩატარებულ იქნა 37 ლექცია-მოხსენება და 13 ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.

რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ შეადგინა მეთოდური წერილი „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ თემაზე მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ; რომელსაც თანდართული აქვს ამავე თემაზე ლიტერატურის სარეკომენდაციო სია რუსულ და ქართულ ენაზე.

აღნიშნული მეთოდური წერილი და ლიტერატურის სარეკომენდაციო სია დაეგზავნათ რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს. ამ სახელმძღვანელოს დიდი გამოყენება ქონდა ბიბლიოთეკებში კონფერენციის მსვლელობის პერიოდში.

ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით სტამბურად გამოიცა ლიტერატურის სარეკომენდაციო სია „ნ. ა. ოსტროვსკი“ და დროულად დაეგზავნათ სახელმძღვანელოდ რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს და კომკავშირულ ორგანიზაციებს. აღნიშნულ სიას პრაქტიკული გამოყენება ჰქონდა ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩატარებული ღონისძიების დროს.

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის მრავლის მეტყველი სანიმუშო გამოფენები თემაზე: „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი“ და „ნ. ა. ოსტროვსკი“ (დაბადების 60 წლისთავი), „კომკავშირის დაბადების დღე“. აგრეთვე ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დიდ დარბაზში მოწყობილ გამოფენაზე „ჩვენი დროის გმირი“ წარმოდგენილი იყო გამომცემლობა „მოლოდინა გვარდიას“ მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემული წიგნები. გამოფენები ათასობით მკითხველმა დაათვალიერა, ხოლო მასზე წარმოდგენილი ლიტერატურით 600-ზე მეტმა მკითხველმა ისარგებლა.

1964 წლის 24 სექტემბერს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საღამო. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ოსტროვსკის პირველმა მთარგმნელმა ქართულ ენაზე რ. ქორჭიამ და ა. ღვინიაშვილმა, აგრეთვე რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თანამ-

შრომლებმა და მკითხველებმა. საღამო სანიმუშოდ იყო ორგანიზებული და კმაყოფილება გამოიწვია დამსწრეთა შორის.

ასეთივე პროგრამით ბიბლიოთეკამ მოაწყო გამსვლელი ღონისძიებები რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონებში ახალგაზრდობისათვის. ახალგაზრდობა დიდად დააინტერესა ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების სახელოვანმა გზამ. მათში გაიზარდა ინტერესი ნ. ოსტროვსკის ნაწარმოებებისადმი.

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა მწერალ-კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის ლექცია თემაზე „ახალგაზრდა გმირი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ რესპუბლიკის სარაიონო, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეების ხუთდღიან კურსკონფერენციებზე საფუძვლიანად იქნა განხილული „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ თემაზე მკითხველთა კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით მუშაობის პრაქტიკული საკითხები. მათთვის სპეციალურად მოეწყო ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სანიმუშო საღამო, რათა მათ ეს გამოცდილება გადაეტანათ რესპუბლიკის რაიონებში და ქალაქებში. ამ ღონისძიებამ თავისი დადებითი გავლენა იქონია რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ღონისძიებების ორგანიზაციის საქმეში.

მკითხველთა კონფერენციის მსვლელობის პერიოდში რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მეთოდისტები და სხვა კვალიფიციური მუშაკები სისტემატურად იგზავნებოდნენ რესპუბლიკის რაიონებში და ქალაქებში, ადგილებზე უწევდნენ ბიბლიოთეკებს პრაქტიკულ დახმარებას სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის საქმეში. მაგალითად: ასეთი დახმარების შედეგად რუსთავის საქალაქო ბიბლიოთეკებისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მიერ ერთობლივად ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი“, სადაც წაკითხულ იქნა მოხსენებები: 1. ახალგაზრდობის სახელოვანი გზა; 2. ახალგაზრდობის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში; 3. რუსთავის ახალგაზრდობის შეხვედრა ახალ-

გაზრდა ქართველ მწერალ ნოდარ დუმბაძესთან. განხილულ იქნა მისი მოთხრობა „მე ვხედავ მზეს“. დამსწრე ახალგაზრდობამ დიდი შეფასება მისცა ამ წიგნს, როგორც ახალგაზრდობის ჰუმანიზმისა და მორალის თემაზე დაწერილ ნაწარმოებს და ამასთან ერთად მრავალი საყურადღებო შენიშვნა გაუზიარეს ავტორს.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მუშაკთა დახმარებით სიღნაღის სარაიონო ბიბლიოთეკამ, საშუალო სკოლასთან ერთად 1964 წლის 29 სექტემბერს მოაწყო ნიკოლოზ ოსტროვსკისადმი მიძღვნილი საღამო.

ახლოგიური მაგალითები მრავალი შეიძლება დავასახელოთ რესპუბლიკის სინამდვილიდან.

რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ და ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიას“ განხილვა, ამ განხილვაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მკითხველებმა. მათ ერთხმად აღიარეს, რომ პავკა კორჩაგინი და „ახალგაზრდა გვარდიის“ გმირები მათი საყვარელი და მაგალითის მიძვეში აღამიანები არიან. ეს წიგნები მართლაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდა მკითხველებს შორის.

კონფერენციის პერიოდში ერთ-ერთი მთავარი ყურადღება მიექცა ახალგაზრდა მკითხველთა ინტერესების, სურვილების, წინადადებების შესწავლას.

ამ მიმართებით მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა მკითხველთა და ბიბლიოთეკების მუშაკთა შეხვედრები გამომცემლობებთან, კერძოთ საბავშვო და ახალგაზრდობის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულის“ მუშაკებთან.

ამ შეხვედრაზე ახალგაზრდა მკითხველთა სახელით დ. მალოიევამ დააყენა საკითხი, რომ ქართველი მკითხველისათვის გამოიცეს წიგნები რაინდობისა და მოგზაურობის შესახებ. მხატვრული ნაწარმოები საქართველოს ბუნებაზე, სახელმძღვანელო ახალგაზრდა აღამიანის შესახებ და სხვ.

ახალგაზრდა მკითხველთა ინტერესების შესწავლას მიეძღვნა ქართული წიგნის მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენცია და ახალგაზრდა მკითხველთა დაუსწრებელი ფორუმი.

ორივე კონფერენციის მიზანი იყო იმის გაგება: თუ ვინ არის ახალგაზრდა მკითხველის საყვარელი მწერალი ან პოეტი, მისი რომელი ნაწარმოების გმირი წარმოადგენს მისთვის ყველაზე საყვარელს.

— რომელი წიგნი მიაჩნია მკითხველს ყველაზე საუკეთესოდ, რომელმაც დახმარება გაუწია სასწავლო-პრაქტიკულ მოღვაწეობაში ცხოვრებაში.

— რომელი წიგნი წაიკითხა თანამედროვეობის შესახებ, სადაც მოთხრობილია საბჭოთა ახალგაზრდობის შრომით საქმიანობასა და გმირობაზე, პატრიოტიზმის, მეგობრობისა და ამხანაგობის, კოლექტივიზმის შესახებ, საბჭოთა ახალგაზრდა ადამიანის ქცევის კულტურაზე, წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაზე, სოციალისტური სოფლის საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, კომუნისტური შრომის ბრიგადების საქმიანობაზე, კომკავშირის საბრძოლო გზაზე.

— ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ რომელ ნაწარმოებს იცნობს მკითხველი.

— რომელ მწერალთან ან პოეტთან შეხვედრა მიაჩნია მკითხველს მიზანშეწონილად.

— რომელი მხატვრული ნაწარმოების განხილვა მიაჩნია მკითხველს სასარგებლოდ.

— რომელი დარგის და სახელდობრ, რომელი წიგნის გამოცემა მიაჩნია მას მიზანშეწონილად.

კონფერენციის მონაწილე ახალგაზრდა მკითხველებმა გამოთქვეს საყურადღებო და სასარგებლო სურვილები და წამოაყენეს წინადადებანი, რომლებიც დიდ დახმარებას გავვიწყევნ მომავალში ახალგაზრდობის კითხვის ხელმძღვანელობაში.

თავიანთ საყვარელ მწერლებად და პოეტებად ახალგაზრდა მკითხველებს მიაჩნიათ როგორც ძველი თაობის, ისე ახალგაზრდა მწერლები და პოეტები: ლ. და ა. ტოლსტოები, მ. გორკი, ვლ. მაიაკოვსკი, ნ. ოსტროვსკი, ა. ფადეევი, მ. შოლოხოვი, ა. ტვარდოვსკი, რ. როჟდესტვენსკი, კ. სიმონოვი, ნ. ტიხონოვი, რ. გამზატოვი, ა. ლიობინი, ვ. აკსინოვი, ე. მეჟელაიტისი, კორნეიჩუკი, ე. ვეტუშენკო, ი. ერენბურგი, ჩუკოვსკი, ა. სურკოვი, ე. დოლმატოვსკი, გ. ნიკოლაევა, ი. პისკუნოვი, პანოვა, დ. შენგელაია, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, გ. ტაბიძე, კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, ი. აბაშიძე, ი. ნონეშვილი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ასათიანი, ნ. დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი, მ. მაჭავარიანი, რ. ინანიშვილი, მ. ლებანიძე, ო. იოსელიანი, მ. ელიოზიშვილი, შ. ნიშნიანიძე და მრავალი სხვ., რომლებმაც საუკეთესო ნაწარმოებებით გაამდიდრეს ლიტერატურა.

ახალგაზრდა მკითხველები კონკრეტულად მიუთითებენ იმ ნაწარმოებებზე, რომლებმაც დახმარება გაუწია მათ თავიანთ სასწავ-



ლო-პრაქტიკულ საქმიანობაში და ცხოვრებაში: ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ბ. პოლევოს „ამბავი ნამდვილი და მზა-მიანისა“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ნ. დუმანიის „მე ვხედავ მზეს“, აკ. ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“, დ. შენგელაის „განძი“ და სხვა მრავალი.

მკითხველებმა ერთსულოვნად მოითხოვეს, რომ უფრო მეტი და სრულყოფილად დაიწეროს ახალგაზრდობის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის, სოციალისტური სოფლის ცხოვრების, სპორტული ცხოვრების, პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკთა საქმიანობის შესახებ, ბურჟუაზიული ქვეყნების ახალგაზრდობის ცხოვრებაზე, თანამედროვე ახალგაზრდის კულტურულ ქცევის საკითხებზე, საბჭოთა ახალგაზრდის მომავალზე, სიყვარულზე, კოსმოსის ათვისების გმირების შესახებ, მომავალ კომუნისტური საზოგადოების შესახებ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ გატარებული ორგანიზაციული და მეთოდური ხასიათის ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკაში დიდი მუშაობა ჩატარდა საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის თემაზე არსებული ლიტერატურის პროპაგანდის სანიმუშო ორგანიზაციისათვის.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში კონფერენციის მსვლელობის პერიოდში წიგნის პროპაგანდის საპატიო მოვალეობას ეწეოდა 25 ათასზე მეტი აქტივისტი. მათი უმრავლესობა კომკავშირელი ახალგაზრდობა იყო.

ჩატარებული მუშაობის დიდ მასშტაბზე ლაპარაკობს შემდეგი მონაცემები. კონფერენციის მსვლელობის პერიოდში საქართველოს კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში სხვადასხვა თემაზე ჩატარდა მკითხველთა 2000-მდე კონფერენცია, 1520 ლიტერატურული საღამო, რესპუბლიკის ყველა რაიონში და ქალაქში მოეწყო მწერლებთან შეხვედრა. მოეწყო ლიტერატურის 3000-ზე მეტი გამოფენა, საიდანაც 40 ათასზე მეტი წიგნი იქნა გაცემული მკითხველებზე; ყველა ბიბლიოთეკაში სისტემატურად ტარდებოდა ცალკე წიგნების გარჩევები, ხმამაღალი კითხვა-საუბრები და სხვ.

ამ ღონისძიებების დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა ის ლიტერატურა, რომელიც რეკომენდებულია საკავშირო საორგანიზაციო კომიტეტის მიერ და აგრეთვე ქართველი მწერლების ნა-

წარმოებები, რომელთა შესახებაც ლიტერატურის სარეკომენდაციო  
სია დაეგზავნათ ადგილებზე.

ახალგაზრდა მკითხველებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს  
და შემდეგი წიგნები: ნ. ოსტროვსკი, „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, „ქარიშხლით შობილნი“, ა. ფადეევი „ახალგაზრდა გვარდია“,  
ბ. პოლევოი „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, Гранин «Иду на грозу»,  
и «После свадьбы», Аксенов В. «Коллеги», Галтер Б. «Два свидания, мальчишки». Андреев «Рассудите нас, люди», Кузнецов А.  
«Продолжение легенды», Бубенов М. «Орлиная степь». ქართველი მწერლების ნაწარმოებები: ლ. ავალიანის — „ახალი ჰორიზონტი“, ა. ბელიაშვილის — „ვეფხია ხალიბაური“, მისივე — „უღელტეხილი“, ნ. დუმბაძის — „მე ვხედავ მზეს“, ო. იოსელიანის — „ვარსკვლავთცვენა“, ა. კალანდაძის — „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, თ. ნატროშვილის — „გამოღვიძება“, გ. რჩეულიშვილის — „სალამური“, ა. სულაკაურის — „ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფიან“, ა. სულაკაურის — „წყალდიდობა“, ე. ყიფიანის — „მალალი ჭერი“, რ. ჯაფარიძის — „მარუხის თეთრი ღამეები“, მისივე — „ჯარისკაცის ქვრივი“, რ. ქორქიას — „მწვანე კარავი“, „მარილის აკვანში“, „ოჯახის ბურჯი“ და სხვა მრავალი.

კონფერენციის მსვლელობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს რესპუბლიკის ცალკეული რაიონების და ქალაქების ბიბლიოთეკებმა.

გორის რაიონის ბიბლიოთეკებში მრავალი საინტერესო ღონისძიება განხორციელდა ახალგაზრდა გმირის თემაზე ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით. თვით სარაიონო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ტაველიძე) მოეწყო ლიტერატურის ვრცელი გამოფენა, შედგენილი იქნა საბიბლიოთეკო პლაკატი „ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი გმირები“ და ფოტოსტენდი „გორის რაიონის მოწინავე ახალგაზრდობა“, რომელზედაც წარმოდგენილი იყო მოწინავე ახალგაზრდობის ფოტოსურათები და მათი შრომითი მიღწევები; მოეწყო ნიკოლოზ ოსტროვსკისადმი მიძღვნილი საღამო და ა. შ.

ბიბლიოთეკის საბჭოს ინიციატივით მოეწყო ახალგაზრდა მკითხველების ექსკურსია სამამულო ომში დაღუპული გმირის, თავიანთი თანამემამულის თინათინ იოსებიძის სოფელ თორტიზაში, სადაც მკითხველებმა დაათვალიერეს გმირისადმი მიძღვნილი გამოფენა და თინა იოსებიძის ცხოვრებისა და საბრძოლო ეპიზოდებისადმი მიძღვნილი ფოტოსტენდი, რომელიც მოამზადა და საჩუქრად გადასცა

ამ ბიბლიოთეკას კ. მარქსის სახ. საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ და აქვე მოეწყო მწერალ ე. უბილავას მოთხრობის „წითელი თორტიზას“ განხილვა. სექტემბრის თვეში ჩატარდა ახალგაზრდა მკითხველთა სარაიონო კონფერენცია თემაზე „ახალგაზრდა გმირი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში“.

ახალგაზრდა გმირის საკავშირო კონფერენციას მიუძღვნა გორის რაიონის ქიწნისის სასოფლო ბიბლიოთეკამ შეხვედრა სოფლის მოწინავე ახალგაზრდებთან: ა. გელიაშვილთან, ქ. ქოჩიაშვილთან, ლ. მათიაშვილთან და გ. ხოხაშვილთან. — „აი ეს ადამიანები არიან ეხლა ახალი გმირები, ისინი აშენებენ ახალ კომუნისტურ საზოგადოებას. მათი საქმიანობა მისაბაძია ყველა ახალგაზრდისათვის“ — განაცხადა შეხვედრაზე მწერალმა ბ. ჩხეიძემ, რომელიც წერს ახალ რომანს კოლმეურნე ახალგაზრდობის ცხოვრებაზე.

კონფერენციის მსვლელობის პერიოდში გორის რაიონის ბიბლიოთეკებში ჩატარებულ იქნა 87 ლექცია, 317 საუბარი, მკითხველთა 45 კონფერენცია, მოეწყო 35 შეხვედრა მწერლებთან და მოწინავე ახალგაზრდებთან. ჩატარდა 28 თემატური საღამო და სხვა. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების შედეგად რაიონის ბიბლიოთეკებში 6 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ დაიწყო ლიტერატურის სისტემატურა კითხვა, ხოლო აქედან 1800 ახალგაზრდამ პირველად დაიწყო ბიბლიოთეკების წიგნებით სარგებლობა.

სიღნაღის რაიონის ბიბლიოთეკებმა სანიმუშოდ იმუშავეს კონფერენციის მსვლელობის პერიოდში. რაიონის 33 ბიბლიოთეკაში ყველგან მოეწყო ლიტერატურის გამოფენა თემაზე „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირი“. გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მასალებს, ამავე თემაზე შედგენილი იქნა თემატური კართოეკები, რომელსაც სისტემატურად იყენებდნენ მკითხველები.

სარაიონო ბიბლიოთეკამ (გამგე ე. შეითნიშვილი) კომკავშირის რაიკომთან ერთად მოაწყო შეხვედრა მწერალ ელიზბარ ზედგინიძესთან. განხილულ იქნა მისი რომანი „გაზაფხული დაიწყო აღრე“, რომელიც ახალგაზრდების ცხოვრებას ეხება.

კონფერენციის მსვლელობის პერიოდში რაიონის ბიბლიოთეკებში ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია 40-ჯერ, ლიტერატურული საღამო — 15-ჯერ, ხმამაღალი კითხვა-საუბარი — 753-ჯერ, ლექცია-მოხსენება — 53-ჯერ, ჩატარდა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა 125-ჯერ და ა. შ. ამ ღონისძიებების შედეგად ბიბლიოთეკებში 3963

ახალი მკითხველი ჩაეწერა და მათზე 9452 წიგნი გაიცა. ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს 10 ათასზე მეტი მკითხველი დაესწრო.

ბიბლიოთეკების მიერ ახალგაზრდა გმირის თემაზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად სიღნაღის რაიონის მრავალი ახალგაზრდა ჩაება სასარგებლო შრომაში. მათ შორისაა: ე. ნაცვლიშვილი, თ. მაქაროვი, თ. ბაგრაშვილი, მ. შუკალოვი და სხვები.

ზესტაფონის № 1 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე საქ. სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი თ. ბუაჩიძე) მოაწყო ქალაქის ახალგაზრდობის შეხვედრა ცნობილ ახალგაზრდა ქართველ მწერალთან ნოდარ დუმბაძესთან. მისი ნაწარმოებები: „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, რომლებიც ეხება ახალგაზრდობის ცხოვრებას, დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა შორის. შეხვედრა კარგად იყო ორგანიზებული და ახალგაზრდობის ზეიმად გადაიქცა. შეხვედრაზე ახალგაზრდებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ისინი მიბაძევენ იმ კეთილ ახალგაზრდებს, რომლებიც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების გმირები არიან.

მცხეთის რაიონის კულტურის სახლში მოეწყო რაიონის ახალგაზრდობის შეხვედრა სამამულო ომის ერთ-ერთ სახელოვან მონაწილესთან კ. სვინტრაძესთან, რომელიც არის მწერალ რევაზ ჯაფარიძის მოთხრობის „მარუხის თეთრი ღამეების“ ერთ-ერთი გმირი. აქვე მოეწყო ამ წიგნის განხილვა.

ზესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკამ (გამგე საქ. სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი ბ. ახრახაძე) რაიონის ახალგაზრდობისათვის მოაწყო ლიტერატურული საღამო, რომელზედაც განხილულ იქნა წიგნები: კუზნეცოვის „ლეგენდის გაგრძელება“, ბეჟანიშვილის „ჩვენი უკანასკნელი თამაში“, ა. ბელიაშვილის „შიდკაცა“, ა. კალანდაძის „დღეები ბრესტის სიმაგრეში“, ჩადუნელი „ცხოვრების ზღურბლზე“.

აღნიშნული წიგნების გმირები — ახალგაზრდობის საყვარელი გმირები არიან. განხილვის მონაწილე ბევრი ახალგაზრდა დაფიქრდა და გადაწყვიტა მიბაძონ ამ ნაწარმოებების დადებით გმირებს.

ახალგაზრდა გმირის თემაზე მკითხველთა კონფერენციის მსვლელობის პერიოდში დიდი მუშაობა ჩატარეს ქ. თბილისის ბიბლიოთეკებმა.

ქ. თბილისის ბიბლიოთეკების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კონფერენციის მსვლელობის პერიოდში ჩატარებული იქნა ბევრი

კარგი და სანიმუშო ღონისძიება, რომლის მსგავსი მანამდე არ ჩატარებულა. კონფერენციის ჩატარება ზოგიერთი ახალი საბიბლიოთეკო ღონისძიების საწყისი გახდა. მკიდრო ურთიერთობა დამყარდა კომკავშირის რაიონულ კომიტეტთან და პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან. 14500 ახალი მკითხველი შეემატა ქალაქის მასობრივ ბიბლიოთეკებს კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში. ასევე საგრძნობლად გაიზარდა წიგნის გაცემაც.

კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის თემაზე მოეწყო 88 გამოფენა, რომლებიც სისტემატურად ივსებოდა ახალი წიგნებით. გამოფენები ეწყობოდა არა მარტო ბიბლიოთეკებში, არამედ ღონისძიებათა ჩატარების ადგილზე წარმოება-დაწესებულებებში. გამოფენის სრულყოფით განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს № 31, ნ. ნაკაშიძის სახელობის საბავშვო, პლენანოვის სახ. № 38, № 21, გურამიშვილის სახ. საბავშვო და სხვა ბიბლიოთეკებმა, რომელთაც 3—4 გამოფენა მოაწყვეს ახალგაზრდობისათვის მეტად საინტერესოდ შერჩეულ თემებზე. ეს გამოფენები დაათვალიერა 16300-ზე მეტმა მკითხველმა.

საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირზე ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის ბიბლიოთეკებში 150-ზე მეტ თემაზე იქნა შედგენილი კითხვის გეგმები, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების, შრომისა და ბრძოლის სხვადასხვა საკითხებისადმი. კითხვის საინტერესო გეგმები აქვთ შედგენილი გურამიშვილის სახ. საბავშვო № 40, № 29, ოსტროვსკის სახელობის, გაბაშვილის სახელობის საბავშვო და სხვა ბიბლიოთეკებს.


თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში რეგულარულად ეწყობოდა ლიტერატურის თემატური მიმოხილვა — სამოქალაქო ომის, საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლების, ხუთწლეულების, პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, სოციალიზმის მშენებლობის, დიდი სამამულო ომის და შემდეგი პერიოდის ლიტერატურული გმირების ამსახველი წიგნების შესახებ. კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში თბილისის მასობრივმა ბიბლიოთეკებმა ჩატარეს 490-ზე მეტი საინტერესო მიმოხილვა. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელა თავი ალ. ჯაფარიძის სახ. ცენტრალურმა საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, სადაც სისტემატურად ტარდება ასეთი ღონისძიება და აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეში ძირითადად მონაწილეობდნენ აქტივისტა მკითხველები. ასევე, ატარებდნენ მიმოხილვებს თბილისის თითქმის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკაში.

განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო ერთობლივმა საბიბლიოთეკო ღონისძიებებმა კომკავშირის რაიკომებთან. რომლებიც მეტად დაინტერესდნენ ბიბლიოთეკებთან ურთიერთობით. ჩატარებულ მასობრივ ღონისძიებათა (საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა განხილვა, ახალგაზრდობის შეხვედრები მწერლებთან, კრიტიკოსებთან, დისპუტები, თემატური საღამოები ჩვენი დროის გმირზე და სხვ.) დიდი უმრავლესობა ერთობლივად ჩატარდა. ასეთი სახის ღონისძიება ქალაქის ბიბლიოთეკებმა კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში 94 ჩატარეს, რომლებსაც 8000-ზე მეტი კაცი დაესწრო.

ყველა ბიბლიოთეკაში შექმნილი იყო წიგნის სახელდახელო თაროები და წარმოებდა ამ თაროებიდან წიგნის გაცემა. სადაც სახელდახელო თაროების მოწყობა არ მოხერხდა, იქ შექმნილი იყო კარტოთეკები. ფართოდ დაინერგა საბიბლიოთეკო პლაკატების გამოყენება. რომლებიც პროპაგანდას უწევდნენ როგორც ცალკეული მწერლების ნაწარმოებებს. ასევე რამდენიმე, ერთსა და იმავე თემაზე დაწერილ ლიტერატურულ შედეგებს... ლამაზად გაფორმებული პლაკატები გააკეთეს № 31 საბავშვო, პლენაროვის სახელობის. № 32 და სხვა საქალაქო ბიბლიოთეკებმა. პლაკატების უმრავლესობა მეტად საინტერესოდ არის შესრულებული.

საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის საკავშირო კონფერენციის მიმდინარეობის პერიოდში ბიბლიოთეკებმა მოაწყვეს მიკრორაიონის წარმოება დაწესებულებათა მოწინავე ადამიანების შრომითი მიღწევების ამსახველი სტენდები. გაძლიერდა ლიტერატურის პროპაგანდა; ეს განსაკუთრებით ითქმის ნ. ნაკაშიძის სახელობისა და № 31 საბავშვო ბიბლიოთეკებზე, რომლებმაც მკითხველების მონაწილეობით შეადგინეს ალბომები: „როგორი ძინდა ვიყო მე“, „ჩემი საოცნებო გმირი“; მოაწყვეს ასეთივე შინაარსის გამოფენებიც. ახალგაზრდები და ბავშვები წაკითხული წიგნებიდან ბიბლიოთეკას, სადაც სპეციალური ყიური იყო შექმნილი. წერილობით უდგენენ საოცნებო გმირის სახეებს. ახლა იმავე და ზოგიერთი სხვა ბიბლიოთეკების აქტიური მკითხველები მუშაობენ ლიტერატურული ვიქტორინების, ლიტერატურული რბუსების შედგენაზე.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის პერიოდში თბილისის ბიბლიოთეკებმა ახალგაზრდობასთან მუშაობის შესანიშნავი გამოცდილება შეიძინეს, რასაც იყენებენ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.



მკითხველთა დაუსწრებელი კონფერენციის მსვლელობის პერიოდში სერიოზული მუშაობა ჩატარეს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის ბიბლიოთეკებმა.

მთელ ამ მუშაობას სათავეში ედგა აფხაზეთის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა (დირექტორი ამხ. ე. ბუჩია), რომელმაც ახალგაზრდა გმირის თემაზე მკითხველთა კონფერენციას შესანიშნავი ორგანიზაცია გაუკეთა როგორც თვით ბიბლიოთეკაში, ისე რაიონებსა და ქალაქებში.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ მრავალ ღონისძიებათა შორის აღსანიშნავია ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, შეხვედრა აფხაზეთის გამოჩენილ მწერალთან ი. პაპისკირთან, დისპუტი გრანინის „Иду на грозу“ — შესახებ და სხვა. შესანიშნავად იყო ორგანიზებული მკითხველთა საქალაქო კონფერენცია თემაზე „აი როგორი გმირების შესახებ ვვოცნებობთ ჩვენ“. ეს კონფერენცია ჩატარდა ადგილობრივი მწერლებისა და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით. კონფერენციას ქ. სოხუმის ახალგაზრდობის უმრავლესობა დაესწრო.

ამ მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას წინ უსწრებდა ბიბლიოთეკის მიერ დიდი სამუშაოს შესრულება, რაც განაპირობებდა ღონისძიების დადებით შედეგებს კერძოდ: ადგენდნენ ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს და კარტოთეკებს, აწყობდნენ ლიტერატურის გამოფენებს, ახალგაზრდა მკითხველების ფორმულებში სდებდნენ თემასთან დაკავშირებით ლიტერატურის სიებს, ატარებდნენ საუბრებს მკითხველებთან წაკითხული წიგნებისა და მათი საოცნებო გმირების შესახებ და სხვა.

იმ მიზნით, რომ, რაც შეიძლება მეტ მკითხველს გამოეთქვა აზრი მოცემულ საკითხზე; აფხაზეთის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ შეადგინა და დაგზავნა რაიონებსა და ქალაქებში 500-ზე მეტი ანკეტა. 250 მკითხველმა გამოთქვა თავისი აზრი.

ახალგაზრდა მკითხველთა უმრავლესობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა შემდეგი წიგნებისადმი: გრანინი „Иду на грозу“ და „После свадьбы“, აქსენოვი „Коллеги“, ბალტერი „До свидания, мальчики“, ანდრეევი „Рассудите нас, люди“ და სხვა. ცხადია, მკითხველები ერთსულოვნად აღიარებენ ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ და ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის“ უდიდეს მთაბაგონებელ გავლენას.

მკითხველები თავიანთ ყურადღებას ამახვილებენ ქართველი და

აფხაზი მწერლების ნაწარმოებებზე (ა. ბელიაშვილის „ვეფხია ხალხ-  
ბაური“, „უღელტეხილი“ და „შვიდკაცა“; ნ. დუმბაძის „მეცხედავი  
მზეს“; ი. ლისაშვილის — „ერთგულუბა“; ე. ზედგენიძის „განს-  
ფხული დაიწყო ადრე“; პ. ლორის — „შვილები“. პაპასკირის —  
„ქალის სინდისი“, ჯიქის — „ანთებული მწვერვალები“ და სხვ.).

ყველა მკითხველს აქვს სურვილი თანამედროვე ლიტერატურა-  
ში შეხვდეს ჩვენი დროის ნამდვილ გმირებს, რომლებიც იქნებიან  
მათთვის მისაბაძი მაგალითი ცხოვრებაში. ახალგაზრდებს სურთ ნა-  
ხონ პავა კორჩაგინისა და ახალგაზრდა გვარდიის ტიპის გმირები  
ცხოვრებაში.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, აფხაზეთის  
ასრ ქალაქების, რაიონებისა და სოფლის ყველა კულტურულ-საგან-  
მანათლებლო დაწესებულებებში ფართოდ განიხილეს საკითხი საბ-  
ჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის შესახებ. ამ განხილვებს  
შედეგად სასურველი მოჰყვა: გაიზარდა ახალგაზრდობის დანტე-  
რესება წიგნისადმი, ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვნად იმატა მკი-  
თხველთა და გაცემული წიგნების რაოდენობამ.

მკითხველთა სრულიად საკავშირო კონფერენციაზე განიხილეს  
საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები. ყველა  
მათგანი ტოლფასოვანი არ იყო. მაგრამ ეს განხილვა გადაიქცა სე-  
რიოზულ, ღრმა, პრინციპულ კამათად.

აზრთა კოლექტიური გაზიარება დაეხმარა მკითხველს უფრო  
ღრმად, უფრო სწორად გაიგოს წიგნის ღირსება და ნაკლი.

წიგნის პროპაგანდისტი, მკითხველისა და მწერლის დამაკავში-  
რებელი რგოლია ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარის პროფესიაა ერთ-  
ერთი უძნელესი და უკეთილშობილესი პროფესიაა. ჩვენი რესპუბ-  
ლიკის ბიბლიოთეკარებს შორის ბევრია მართლაც შემოქმედი, ნიჭიე-  
რი, თავდადებული მუშაკი, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავი-  
ანთი საქმე. სულითა და გულით ეკიდებიან მას, მთელ თავის გამოც-  
დილებასა და ცოდნას, სულიერ სიმდიდრეს ახმარებენ წიგნის პრო-  
პაგანდას. ენთუზიასტ საზოგადოებრივ მუშაკებთან ერთად ბიბლიო-  
თეკარები უდიდეს მუშაობას ეწევიან წიგნის პროპაგანდისათვის  
ახალგაზრდობასა და მკითხველთა ფართო წრეებში. დაუცხრომლად  
ეხმარებიან პარტიასა და სახელმწიფოს კომუნისტური საზოგადოე-  
ბის ყოველმხრივ განვითარებული მშენებლების აღზრდაში.

მაგრამ წიგნის პროპაგანდის საქმეში ჩვენი რესპუბლიკის ბიბ-  
ლიოთეკებში ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გაკეთებული, თუ

მდგომარეობას შევაფასებთ თანამედროვე პერიოდში იდეოლოგიური მუშაობის გაზრდილი ამოცანების თვალსაზრისით.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განუწყვეტლივ გავაუმჯობესოთ და სრულყოთ მხატვრული და სხვა დარგის ლიტერატურის პროპაგანდის ფორმები და ამ გზით წიგნი გავხადოთ უფრო ქმედითი და მასობრივი.



## ს. კულუზაშვილი,

კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლიოთეკის სა-  
მეცნიერო მეთოდური განყოფილების  
მეთოდისტი.

### თელავის მისამე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა

(მუშაობის გამოცდილებიდან)

მოსწავლის გონებრივი ზრდის, მისი ინტერესებისა და მიღრე-  
კილებების განვითარებისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების  
საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის ასაკისა და მომზა-  
დებისათვის შესაფერისი მხატვრული თუ სამეცნიერო-პოპულარული  
ლიტერატურის გეგმიანი და, ამავე დროს, სისტემატური კითხვა.  
წიგნის საშუალებით ბავშვი იღრმავებს ცხოვრების ცოდნას, ფარ-  
თოვდება მისი გონებრივი ჰორიზონტი, ერკვევა მოვლენათა განვი-  
თარების სირთულესა და კანონზომიერებაში და სასწავლო დისციპ-  
ლინათა შეთვისებასაც ადვილად ასერხებს.

გასაგებია, რომ კლასგარეშე კითხვას მხოლოდ მაშინ შეუძლია  
ასეთი დადებითი როლის შესრულება, როცა ის სათანადო პედაგო-  
გიური ხელმძღვანელობით წარმოებს, როცა პედაგოგი და სასკოლო  
ბიბლიოთეკის მუშაკი ერთობლივად მუშაობენ ბიბლიოთეკის წიგ-  
ნის კითხვაში ბავშვთა გეგმაზომიერად ჩაბმისათვის, მათი ინტერესე-  
ბის შესწავლის, კითხვის ხელმძღვანელობის და მათთვის საჭირო  
ისეთი ლიტერატურის შერჩევისათვის, რომელიც მეტ ზემოქმედებას  
მოახდენს ბავშვების მსოფლმხედველობის ფორმირებაზე.

ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას ეწევა არა მარტო სასკო-  
ლო, არამედ სარაიონო, საბავშვო, სასოფლო, საკლუბო, საკოლმეურ-

ნეო და სხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკები, მაგრამ სასკოლო ბიბლიოთეკა, სხვა ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, ემსახურება არა რაიონსა თუ სოფელში მცხოვრებ ყველა ბავშვს, არამედ მის სკოლაში მყოფ I — XI კლასების ყველა მოსწავლეს. მას უფრო ორგანიზებულ მკითხველებთან აქვს საქმე და ძირითადად მისი მოვალეობაა მიაწოდოს მოწაფეებს სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა; ამიტომ სასკოლო ბიბლიოთეკამ თავისი მუშაობა უნდა ააგოს სკოლის, თითოეული პედაგოგის, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების სასწავლო-აღმზრდელობით გეგმების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრ სკოლასთან არსებობს კარგი ბიბლიოთეკები მდიდარი წიგნობრივი ფონდებით და მუშაობის მაღალი მაჩვენებლებით, მაგრამ სასკოლო ბიბლიოთეკებსა და მათ მუშაკებს, შორის, როგორც თბილისში ისე სხვა ქალაქებსა და რაიონებში, ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც ვერ ამართლებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, სრულყოფილად ვერ ხელმძღვანელობენ ბავშვთა კითხვის ორგანიზაციას და ზოგჯერ არც ცდილობენ გაიზიარონ ის გამოცდილება, რომელიც გააჩნიათ ბავშვთა წიგნით მომსახურების საქმეში როგორც კულტურის სამინისტროს სისტემის, ისე ბევრ სასკოლო ბიბლიოთეკებს.

ამ წერილის მიზანი არ არის შევეხოთ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის ყველა მხარეს, მეთოდებს და თავისებურებებს, არამედ გვინდა ბიბლიოთეკების მუშაკებს გავაცნოთ მუშაობის ზოგიერთ ნაწილში ის გამოცდილება და დადებითი მხარეები, რაც გააჩნია თავის საქმიანობაში თელავის მესამე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას.

ბიბლიოთეკას სკოლის შენობის მეორე სართულზე უკავია 62 კვ. მ. ფართობის ორი ოთახი, ერთი მათგანი ძირითადად გამოყენებულია ფოტომასალებისა და სხვა სახის გამოფენებისათვის, ხოლო მეორე დიდ და ნათელ ოთახში მოთავსებულია წიგნთსაცავი, აბონემენტი და სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკას მატერიალური ბაზის მხრივ შექმნილი აქვს ყველა პირობა კარგი მუშაობისათვის, აქვს საკმაო რაოდენობით საჭირო ინვენტარი.

ბიბლიოთეკის გამგის რუსუდან სიმონის ასული ალადაშვილის, სკოლის დირექტორის ნინო თედორეს ასულ დოღბაიას და მთელი პედაგოგიური კოლექტივის ყურადღების ცენტრში დგას ბიბლიოთე-

კის მუშაობის საკითხი. ღირექცია და ბიბლიოთეკის გამგე დიდ ყურადღებას უთმობენ ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის სწორად და მიზნობრივად დაკომპლექტების საქმეს. ფონდის დაკომპლექტება ძირითადად ხდება ბიბკოლექტორის საშუალებით, აგრეთვე საქსოგნის მალაზიებისა და განათლების განყოფილების მიერ ცენტრალიზებული წესით მიღებული წიგნებისაგან.

აღსანიშნავა, რომ წიგნების ყოველწლიური შექმნა სისტემატურად მატულობს. მაგალითად, თუ 1963 წელს ბიბლიოთეკის ფონდს შეემატა 241 წიგნი, მათ შორის რუსულ ენაზე 45, 1964 წელს ეს ციფრი გაიზარდა 494-მდე. (მათ შორის რუსულია 66). ბიბლიოთეკა ძირითადად იქნეს ბავშვებისათვის სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებულ მასალების ამსახველ ლიტერატურას, რომლის წაკითხვაც ხელს შეუწყობს პროგრამებით გათვალისწინებულ მასალათა ღრმად შეთვისებას, ხოლო მასწავლებლებისათვის ძირითადად იქნეს მეთოდურ ლიტერატურას, რომელიც დაკავშირებულია ცალკეული დისციპლინების სწავლების საკითხებთან. წიგნობრივი ფონდი მთლიანად აღრიცხულია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში. ეს აღრიცხვა სწორად არის წარმოებული. საინვენტარო წიგნის მიხედვით 1964 წლის ბოლოსათვის ბიბლიოთეკის წიგნობრივ ფონდში ირიცხებოდა 5522 ცალი წიგნი (მათ შორის ქართულ ენაზე — 4094 და რუსულ ენაზე — 1428). მეთოდური ლიტერატურა მასწავლებლებისათვის — 349. ფონდში ყველაზე მეტია მხატვრული ლიტერატურა — 3652 ცალი. შემდეგ მოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ა. შ.

ფონდი არსებული ინსტრუქციის შესაბამისად სისტემატურად იწმინდება შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურისაგან, რის გამოც ასეთი წიგნები თითქმის აღარ მოიხაზება ბიბლიოთეკის წიგნობრივ ფონდში. მათზე ინსტრუქციის შესაბამისად გაფორმებული სათანადო აქტები დგება.

ფონდი თაროებზე განლაგებულია სისტემატურ-ანბანური წესის მიხედვით. მეცნიერების ცალკეული დარგების ლიტერატურისათვის გამოყოფილია განსაზღვრული თარო, რომლებსაც აქვს წარწერები მონახვის გაადვილებისათვის, ხოლო ცალკეულ განყოფილებებში წიგნები ანბანის მიხედვით გამოყოფილია გამყოფებით. ცალკეა გამოყოფილი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის საკითხავი ლიტერატურა, რომელიც განლაგებულია წინა ქვედა თაროებსა და გა-

ცემის პუნქტზე, ამიტომ ამ კლასების მოსწავლეებს თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი წიგნები.

ფონდი დამუშავებულია ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით და შედგენილია როგორც ანბანური, ისე სისტემატური კატალოგი. მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს რეკლასიფიკაცია, რაც კიდევ უფრო მოქნილს და ადვილად გამოსაყენებელს გახდის როგორც ფონდს, ისე კატალოგებს.

ბიბლიოთეკას სკოლის დირექცია ყურნალ-გაზეთებისათვის ყოველწლიურად აძლევს 120-დან 140 მანეთამდე. ეს თანხა, რა თქმა უნდა, საკმაოა და აკმაყოფილებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მოთხოვნილებებს პერიოდულ გამოცემებზე.

მიუხედავად ბევრი დადებითისა დაკომპლექტების საქმეში მაინც არის ნაკლოვანებანი, რაც იმაში გამოიხატება, რომ შედარებით მცირე რაოდენობით არის V—VII კლასების მოსწავლეთათვის კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა და ვერ აკმაყოფილებს ამ კლასების მოსწავლეთა მოთხოვნილებებს; დაკომპლექტების საქმეში არ არის კოორდინაცია ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებთან, კერძოდ არა მარტო სასკოლო, არამედ საბავშვო და საქალაქო ბიბლიოთეკებთან; ისინი ერთობლივად არ მუშაობენ დაკომპლექტების გვეგმიანობაზე, რის გამოც ყველა ამ ბიბლიოთეკაში თანხები დაბანდებულია თითქმის ერთი და იმავე წიგნების შექნაზე. იმ დროს, როცა ბევრი ახალი წიგნი არცერთ მათგანში არ არის; დაკომპლექტებისათვის ნაკლებად ხელმძღვანელობენ გამომცემლობათა თემატური საგამომცემლო გეგმებით და სხვ.

საჭიროა ეს ნაკლოვანებანი გაითვალისწინოს როგორც ამ სკოლის, ისე სხვა ბიბლიოთეკებმა.


ბიბლიოთეკა თავის მუშაობას წარმართავს წლიური სამუშაო გეგმის მიხედვით. გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. ეს გეგმა მთლიანად გამომდინარეობს სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმიდან და ასახავს ცალკეულ კლასებში და მთლიანად სკოლაში წიგნის პროპაგანდის გაუმჯობესების საკითხებს და იმ ღონისძიებებს, რაც საჭიროა მოსწავლეთა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში აქტიურად ჩაბმისათვის.

ბიბლიოთეკა აწარმოებს თავისი მუშაობის აღრიცხვას. მას აქვს ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვის ყურნალი (დღიური) და მასობრივი მუშაობის აღრიცხვის რვეული.

როგორც აღრიცხვის ყურნალიდან და მკითხველთა ფორმულა-

რებიდან ირკვევა, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ზრდის მკითხველთა და მათზე გაცემული ლიტერატურის რაოდენობას. მაგალითად, გასული 1963-64 სასწავლო წლის ბოლოს ბიბლიოთეკას ჰყავდა 346 მკითხველი, რომლებზედაც გასცა 9400-მდე წიგნი ე. ი. კითხვადობა უდრიდა 28-ს. მიმდინარე 1964-65 სასწავლო წლის მარტო სექტემბერსა და ოქტომბრის პირველ ნახევარში ჰყავდა 345 მკითხველი, ხოლო ამჟამად ეს ციფრი გაცილებით უფრო დიდია, რადგანაც ახლა კითხვაში ჩაბმულია არა მარტო ზედა კლასების მოსწავლეთა უმრავლესობა, არამედ პირველკლასელებიც. რის შედეგადაც სკოლის 590 მოსწავლიდან უმრავლესობა სასკოლო ბიბლიოთეკის მკითხველია. გარდა ამისა მოსწავლეთა ის ნაწილი, რომლის მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს ამ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, სარაიონო, საბავშვო და პედინსტიტუტის ბიბლიოთეკების მკითხველები არიან (მათი რიცხვი 104 უდრის ამის აღრიცხვა ბიბლიოთეკას კარგად აქვს წარმოებული).

ბიბლიოთეკა, როგორც აღვნიშნეთ თავის მუშაობაში მტკიცედ ეყრდნობა სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო გეგმას და თავის მხრივ იბრძვის მოსწავლეთა სწავლის ხარისხის ამაღლებისა და მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამ საქმიანობაში ბიბლიოთეკას მტკიცე კავშირი აქვს დამყარებული პედაგოგიურ კოლექტივთან. პედაგოგების დახმარებით შედგენილ იქნა ცალკეული კლასების მიხედვით კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სია, რომელიც თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღო სკოლის ყველა მასწავლებელმა, განსაკუთრებით კი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნ. ერისთავმა. ამ სიიდან ამოწერილი ლიტერატურა კლასების მიხედვით მოთავსებულია საკლასო ოთახებშიც. გარდა ამისა, ბიბლიოთეკა ცალკეული საგნების მასწავლებლებთან ერთად ადგენს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებულ მხატვრულ ან სხვა სახის ლიტერატურის სიებს, რომლებიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. ეს ლიტერატურა ისეთნაირად არის შერჩეული, რომ მისი წაკითხვა მოსწავლეებს გაუღრმავებს საჭირო თემის ირგვლივ ცოდნას. მაგალითად, ასეთი სიები დგება ისტორიაში, გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და სხვ. მუშაობის ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეებს უფრო დაუახლოვდნენ წიგნებს. უადვილებს მათ სასარგებლო საკითხავი ლიტერატურის მიგნებას, უვითარებს და უფართოებს ცოდნის ჰორიზონტს, გარდა ამისა,



ამით უმრავლეს შემთხვევაში თავიდან არის აცილებული მოსწავლე-თა მიერ მათთვის არასასარგებლო და ზოგჯერ მდარე ხარისხის ლიტერატურის კითხვისაქენ მისწრაფება.

კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები პერიოდულად ამოწმებენ ბიბლიოთეკის მკითხველ მოსწავლეთა ფორმულარებს და სწავლობენ, თუ რა სახის ლიტერატურას კითხულობენ ამა თუ იმ კლასის მოსწავლეები, შეეფერება თუ არა ეს ლიტერატურა სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ მასალებს, ხომ არ არის ცალმხრივი მოსწავლის კითხვის ინტერესი და სხვ. ამის შემდეგ პედაგოგები ბიბლიოთეკის გამგესთან ერთად მსჯელობენ ამა თუ იმ მოსწავლის კითხვის ინტერესზე და იმაზე, თუ როგორი გზით აღმოფხვრან ბავშვთა კითხვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ბიბლიოთეკა და მასწავლებლები ცალკეულ საგნებში საკითხავი ლიტერატურის პროპაგანდის მზნით ხშირად ატარებენ ერთობლივ ღონისძიებებს, საუბრებს ამა თუ იმ თემაზე ან წიგნის შესახებ. მაგალითად, ბიოლოგიის მასწავლებელ ბ. შინგაზრდილოვას მიერ VI კლასის მოსწავლეებთან ჩატარებულ იქნა საუბარი ვ. ი. მიჩურინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ქიმიის მასწავლებელმა მ. დოლიძემ VIII კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა საუბარი თემაზე: „თანამედროვე ქიმიის განვითარება“, ფიზიკის მასწავლებელმა ქ. დარჩიაშვილმა X კლასის მოსწავლეებთან საუბარი ჩაატარა თანამედროვე ფიზიკის მიღწევებზე და სხვ. ყველა ამ საუბარსა თუ მოხსენებასთან დაკავშირებით მასწავლებლების მიერ მითითებული იყო ის ლიტერატურა, რომელიც ამ თემებთან არის დაკავშირებული და თავისი შინაარსით ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები არის მოსწავლეებისათვის. ამ ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო: ამ კლასების მოსწავლეებმა მოსმენილ თემასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკიდან წასაკითხად წაიღეს წიგნები: ვ. ი. მიჩურინის — „რჩეული თხზულებანი“, ნ. თორდუას — „მტაცებელი მცენარეები“, ცაგარეიშვილის — „ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ქიმიკოსები“, ვახოკიძის — „ქიმია ადამიანის სამსახურში“, „სახალხო ბიოქიმია“, ა. ბუიანოვის — „ატომთა მბრძანებლები“, ვედევანიშვილის — „ნორჩი ფიზიკოსი“, ს. კლემენტიევის — „ატომი და მისი ენერჯია“, მ. სომინსკის — „ნახევარგამტარები და მათი გამოყენება“ და სხვა მრავალი. ასეთი მოხსენებები და საუბრები ცალკეულ თემებზე და წიგნებზე ტარდება დაწყებითი კლასების მოსწავლეებთანაც, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავებს მოსწავლეების ინტერესს ამა თუ იმ

წიგნის მთლიანი შინაარსის გაცნობისა და ბიბლიოთეკიდან ამ წიგნით სარგებლობისათვის. მაგალითად, ასეთი ხმამაღალი კითხვა-საუბრები ჩატარდა წიგნებზე: ა. ი. ულიანოვა — „ილიჩის ბავშვობისა და სკოლის წლები“, მ. თომაძე — „სანდრიკო“, მოთხრობა „ზრდილობიანი სტუმარი“. გაზეთ „ნორჩი ლენინელიდან“ (№ 38) წერილი — „მეგობარი მეგობრისთვის“, „თუ გინდა ყველაფერი მოასწრო“ (პედაგოგის საუბარი), გ. კერცვაძე — „აქედან იწყება შენი ვზა“, ს. მარშაკის — „როგორ იბეჭდება შენი წიგნი“, მარიჯანი — „მზიური ქვეყნის ბავშვები“. დ. ვაჩეჩილაძის — „სისუფთავე ჯანმრთელობა“, ე. ზედგენიძის — „საბავშვო მოთხრობები“ და მრავალი სხვა. ასეთ ღონისძიებებს თან სდევდა ამ კლასების მოსწავლეთა აქტიურობა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვის საქმეში.

მკითხველთა მოზიდვის მიზნით ბიბლიოთეკაში მოწყობილია ლიტერატურის მრავალი თემატური გამოფენა და წიგნის საპროპაგანდო პლაკატები, რომლებიც ლამაზად და მიმზიდველად არის გაფორმებული. ლიტერატურის გამოფენას თან ახლავს სარეკომენდაციო სია ამ თემის ირგვლივ და ალბომები. ალბომების თემატიკა მრავალფეროვანია, მათში მკითხველი მოსწავლე ეცნობა ჩვენი ქვეყნის წარსულს, აწმყოს და მომავალს, საქართველოს კულტურას, ხელოვნებას, მრეწველობას და სოფლის მეურნეობას, ქართველ მოწინავე ადამიანებს და მათ საქმიანობას. არც ჩვენი მეგობარი ქვეყნებია დავიწყებული. აქ არსებულ ფოტოალბომებში „ჩვენი მეგობარი ქვეყნები“ ასახულია სოციალისტური ქვეყნების მიღწევები და მომავალი ამოცანები. აქვე არის ფოტოალბომები: „საქართველო 20 წლის შემდეგ“, „ჩვენი მომავალი“, „მზიური საქართველოს კურორტები“, „ჩვენი ქალაქი“, „თელავის რაიონი“ და სხვ. საინტერესოდ არის გაკეთებული გამოცანების ალბომი, რომელშიც მოთავსებულია უურნალ-გაზეთებიდან ამოკრებილი გამოცანები, რომლებსაც ბავშვები ხალისით ხსნიან.

ბიბლიოთეკა სისტემატურად აწყობს, როგორც ახალმიღებულნი, ისე თემატურ და სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებიდან დაკავშირებით გამოცემულ ლიტერატურის გამოფენებს. მაგალითად, მოეწყო ლიტერატურის გამოფენები ნ. ოსტროვსკის, ლ. ტოლსტოის, მ. ლერმონტოვის, ი. ევდოშვილის, ევ. გაბაშვილის, ლ. ქიაჩელის და სხვა რუს და ქართველ მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკაში ფართო ადგილი აქვს დათმობილი

მარქსიზმის კლასიკოსებისა და კერძოდ ვ. ი. ლენინის შრომების და ბიოგრაფიულ მასალების გამოფენას.

პედაგოგებისა და ბიბლიოთეკის გულისხმიერი და ერთობლივი მუშაობის შედეგად ბიბლიოთეკის მიერ სისტემატურად მომზადებული ბულად ტარდება მასობრივი ღონისძიებანი, მაგალითად კარგად ჩატარდა მკითხველთა კონფერენცია ლეო ქიაჩელის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით. კონფერენციის ჩატარებისათვის საბიბლიოთეკო საბჭოს მიერ შედგენილ იქნა სამუშაო გეგმა. ამ საქმეში პედაგოგების გარდა ჩაბმული იქნენ მოსწავლეები. კონფერენციის მზადების პერიოდში განხატობით ექცეოდა ყურადღება ლეო ქიაჩელის წიგნებისა და მისი შემოქმედების შესახებ არსებულ კრიტიკულ ლიტერატურის გაცემას და მართლაც ათეულობით ასეთი წიგნი იქნა წაკითხული მოსწავლეთა მიერ. კონფერენციაზე მოისმინეს მოხსენება ლ. ქიაჩელის ბიოგრაფიაზე, მის შემოქმედებაზე, ჩაატარეს „გვადი ბიგვას“ გარჩევა. მოეწყო მხატვრული კითხვა „ტარიელ გოლუადან“, წარმოითქვა ლექსები „შენს ნათელ ხსოვნას“, „ვავლან მწარეა ეს განშორება“ და სხვ. კონფერენციის მზადების პერიოდში და მისი ჩატარების შედეგად ბიბლიოთეკას 12 ახალი მკითხველი შეემატა.

მსგავსი ღონისძიებები წინასწარ მოფიქრებულად შედგენილი გეგმის მიხედვით ხშირად ტარდება ბიბლიოთეკისა და მისი აქტივისტების ერთობლივი მუშაობით.

ბიბლიოთეკას აქვს მოსწავლეთა შთაბეჭდილებების რვეული, რომელშიც ბავშვები წერენ თავიანთ შთაბეჭდილებებს და აზრებს წაკითხული წიგნების შესახებ. ხშირად ამ შთაბეჭდილებებიდან ამოიკითხავთ ბავშვის ერთგვარ დასკვნებსაც. აი, მაგალითად, რა ჩასწერა მოსწავლე მანანა ხახონაძემ შთაბეჭდილების რვეულში, როცა ლ. ვორონკოვის წიგნი „უფროსი და“ წაკითხა: „დიდი უბედურებაა დედის სიკვდილი. ეს უბედურება ზინას ძალიან ადრე დაატყდა თავს. ის უფროსი დაა და უმცროსი და-ძმის აღზრდასა და ოჯახის საქმიანობაში ადრე ჩაება, სამაგიეროდ სწავლასა და პიონერთა ორგანიზაციას ვეღარ გაართვა თავი, გოგონა სულიერად დაეცა. ვინ იცის რა დაემართებოდა მეგობრები დროზე გვერდში რომ არ ამოდგომოდნენ. რა კარგია ასეთი მეგობრობა!“

ასეთი მოფიქრებული და გულისხმიერი შთაბეჭდილებები დიდი რაოდენობით არის ჩაწერილი ბიბლიოთეკის შთაბეჭდილებათა ალბომში.

ბავშვებში დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე ალბომი „იცი თუ არა შენ“, რომელშიც თავსდება საინტერესო ამბები გაზეთებში გამოქვეყნებული მასალების ამონაჭრების საშუალებით. ალბომიდან ბევრ საინტერესო და მეტად საჭირო ცნობებს აღებულობენ.

ბიბლიოთეკა სათანადო ყურადღებას უთმობს სამხარეთმცოდნეო მუშაობას. მოსწავლეებისათვის ხშირად ეწყობა ექსკურსიები თელავის ისტორიულ ადგილებში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და სხვ. ასეთი ექსკურსიების მოწყობას თან ერთვის პედაგოგების საუბარი თელავის ისტორიული წარსულის შესახებ და იმ ლიტერატურის მიმოხილვა, სადაც ასახულია კახეთის ისტორიული ამბები. ასეთი საუბრების ჩატარებაში განსაკუთრებით აქტიურობს ისტორიის მასწავლებელი ე. მატუაშვილი. ასეთი ღონისძიებების შედეგად იზრდება სამხარეთმცოდნეო ლიტერატურის გაცემა.

მოსწავლეთა ესტეტიკური აღზრდის და გემოვნების გამომუშავების მიზნით ბიბლიოთეკა მოსწავლეებს აბამს ბიბლიოთეკის გაფორმებისა და წიგნის ილუსტრირებული კატალოგების შედგენის საქმეში. მოსწავლეთა მიერ ხდება წიგნის გარეკანის მხატვრულად გაფორმება ილუსტრირებული კატალოგებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მოსწავლე ლეილა ყავრიშვილის მიერ მასწავლებელ მ. ზარიძესთან ერთად ტილოზე გაკეთებულ იქნა შოთა რუსთაველის დიდი სურათი (ბოსტნეულის სხვადასხვა ფერის თესლეულისაგან) ფერებში. ეს სურათი დიდი გემოვნებით არის გაკეთებული.

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკარი ცალკეული საგნების მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებს ურჩევს მათთვის საჭირო წასაკითხ ლიტერატურას. V და VIII კლასების ბიბლიოთეკის მკითხველ მოსწავლეთა ფორმულარების ანალიზით ირკვევა, რომ მოსწავლეთა ერთი ნაწილი კითხულობს მათთვის შესაფერის წიგნებს, როგორცაა: ა. ყაზბეგის, ლ. ტოლსტოის, მერიმეს, ჰიუგოს, შ. დადიანის, ნ. ნაკაშიძის თხზულებებს, აგრეთვე დ. გედევანიშვილის — „ნორჩი ფიზიკოსი“, თოდუას — „მტაცებელი მცენარეები“ და სხვ., მაგრამ ეს საკმარისი არაა, ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

მიუხედავად მასწავლებლებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურის სიმცირისა, ბიბლიოთეკა გარკვეულ მუშაობას ატარებს მასწავლებელთა პროფილური მომსახურებისათვის. ფონდში ცალკეა გამოყოფილი მასწავლებლებისათვის საჭირო ლიტერატურა, რომ-

მელზედაც მოწყობილია თავისუფალი დამკვრე. მკითხველ მასწავლებელთა ფორმულარებში აღნიშნულ წიგნებს შორის უმრავლესობა ეხება ცალკეული საგნების სწავლების მეთოდებს. ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში განსაკუთრებით აქტიურობენ მასწავლებლები: ნ. ნაზირიშვილი, თ. ჭაბუკიანი, ბ. შინგაზრდილოვა, მ. დოლიძე, მ. შამანაური, თ. გოგიაშვილი, ქ. დარჩიაშვილი და სხვები, რომლებიც სხვა ლიტერატურასთან ერთად განსაკუთრებით უფრო მეტს კითხულობენ წიგნებს მათი საგნების სწავლების მეთოდებზე.

ბიბლიოთეკა უყურადღებოდ არ ტოვებს მოსწავლეთა მშობლებსაც. ცალკეული კლასების მოსწავლეთა მშობლების კრებაზე ბიბლიოთეკარი ესაუბრება მათ მოსწავლეთა მიერ კლასგარეშე კითხვის მნიშვნელობაზე და ამ საქმეში მშობელთა როლზე. ასეთი საუბრებისა და მშობლებთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად გაიზარდა მკითხველ მოსწავლეთა რაოდენობა და თანდათან მშობლებში შეიცვალა ის აზრი, რომ თითქოს მოსწავლეებმა მხოლოდ თავიანთი გაკვეთილები უნდა იკითხონ და არ უნდა დაიტვირთონ სხვა წიგნების კითხვით. გარდა ამისა ასეთი საუბრების შედეგად მშობელთა გარკვეული ნაწილი თვითონ გახდა ბიბლიოთეკის წიგნის მკითხველი.

ბიბლიოთეკა თავის მუშაობაში ყოველთვის ეყრდნობა საბიბლიოთეკო საბჭოსა და აქტივს. საბიბლიოთეკო საბჭო არჩეულია მკაცრის შემადგენლობით. რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თ. მაჭავარიანი. საბიბლიოთეკო საბჭო აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობის სწორად წარმართვაში, როგორცაა: სამუშაო გეგმის შედგენა, მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება; მოსწავლეთა და მასწავლებელთა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში მაქსიმალურად ჩაბმა; ექსკურსიების ჩატარება; საწრეო მუშაობა და სხვ. საბჭო თავის სხდომებზე სისტემატურად იხილავს საბიბლიოთეკო მუშაობის საჭირობოტო საკითხებს.

ბიბლიოთეკას ყველა კლასში ჰყავს აქტივისტები, რომლებიც უყურადღებებს აქცევენ. თუ როგორ უვლიან ბავშვები ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს, კითხულობენ თუ არა მათ, დროზე აბარებენ თუ არა ბიბლიოთეკაში და სხვ. ასევე ჩამოყალიბებულია წიგნის მეგობართა წრე, რომელშიც განსაკუთრებით აქტიურობენ მერი არსენიშვილი, ციციწო შოშიკელაშვილი, თამილა ზურაბაშვილი და სხვები, რომელთა გარჯითაც ასეულობით დაზიანებული და მწყობრიდან გა-

მოსული წიგნი კვლავ დაუბრუნდა თაბოებს და მოსწავლეთა სამსახურში ჩაღვა.

ბიბლიოთეკის მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და დიდ დახმარებას უწევს სკოლის დირექტორი ნინო დოღბაია. ბიბლიოთეკა მისგან ყველა საჭირო დახმარებას იღებს, რის გამოც კარგად მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდების დაკომპლექტება როგორც წიგნებით, ისე უურნალ-გაზეთებითაც. ბიბლიოთეკისა და მასწავლებლების ერთობლივი მუშაობის და საერთოდ ბიბლიოთეკის საქმიანობის საკითხები პერიოდულად იხილება პედსაბჭოს სხდომებზე, ისმენენ ბიბლიოთეკის გამგისა და ცალკეული კლასების ხელმძღვანელების ინფორმაციებს მოსწავლეთა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში ჩაბმისა და მათი კითხვის ინტერესების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ატარებენ ღონისძიებებს ამა თუ იმ საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

რაიონში უყურადღებოდ არ არის დატოვებული სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნების საქმე. განათლების განყოფილების მიერ შექმნილია საბიბლიოთეკო სექცია, რომელსაც ენერგიულად და საქმის სიყვარულით ხელმძღვანელობს თელავის მე-4 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე მ. ზაუტაშვილი. სექციურ მუშაობაზე ყურადღება ექცევა სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს. სექციურ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგეც.

გარდა სექციურ მუშაობისა, ქალაქის ცენტრისა და ზოგჯერ სოფლის სკოლების ბიბლიოთეკარები ესწრებიან კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკების რაიონულ ორდლიან სემინარებს, სადაც ისინი ღებულობენ მეთოდურ მითითებებს მუშაობის შესახებ.

მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ არის. უნდა მივალწიოთ იმას, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკთა სემინარი ტარდებოდა სარაიონო და სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკების ხელმძღვანელობით. რეგულარულად და ადგილზე მისვლით გაეწიოს საჭირო დახმარება. ეს საკითხი კულტურის განყოფილებამ უნდა მოაგვაროს განათლების განყოფილებასთან ერთად.

\* \* \*

ვფიქრობ თელავის მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილების ნაწილობრივ ასახვით და გაცნობით ერთგვარ დახმარებას გავუწევთ სასკოლო ბიბლიოთეკებს მათი შემდგომი მუშაობის უკეთ წარმართვის საქმეში.

ნ. ა. თოდრია,

სამეცნიერო მეტოდური განყოფილების  
მეთოდისტი.

### სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროკაპანდა მასობრივ ბიბლიოთეკაში

სკკპ და საბჭოთა მთავრობა შეუწელებლად იბრძვიან მშვიდობისათვის და დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, რომლის ამოცანაა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე მოსახლეობის სამოქალაქო დაცვის მუდმივი სრულყოფა.

რსფსრ კულტურის მინისტრის 1963 წლის 6 დეკემბრის № 1128 ბრძანებით — „მოსახლეობაში თანამედროვე მასობრივი დაზიანების საშუალებებისაგან დაცვის აუცილებელ და საყოველთაო ცოდნის გავრცელებისათვის მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესების შესახებ“, და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1964 წლის 15 ივლისის № 324 ბრძანებით — „მოსახლეობაში ატომგულის. ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღისა და თავდაცვითი საშუალებების საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ“ — ხაზი გაესვა იმის აუცილებლობას, რომ ყოველი ბიბლიოთეკა განდეს იმ ლიტერატურის აქტიური პროპაგანდისტი, რომელშიც მოცემულია მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის საშუალებანი.

ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო თავდაცვის ლიტერატურით ბიბლიოთეკების დაკომპლექტება. სამოქალაქო თავდაცვის ლიტერატურით ფონდების მიმდინარე შევსებისათვის პირველ რიგში საჭიროა შესწავლილ იქნას ბიბლიოთეკის ფონდები, რომლის მიზანი უნდა იყოს აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურის არსებობის გამოვლინება. შემდეგ ეტაპზე ბიბლიოთეკებმა გამომცემლობების თემატური გეგმების



მიხედვით შეკვეთები უნდა მოამზადოს საბიბლიოთეკო კოლექტორში გასაგზავნად.

მასობრივი ბიბლიოთეკები პირველ რიგში კომპლექტდებიან სამხედრო საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებებით, გამოჩენილ სამხედრო პირთა და ამ დარგში მომუშავე სპეციალისტ-მეცნიერთა მიერ გამოცემული წიგნებით.

ბიბლიოთეკები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალს ახალ გამოსულ ლიტერატურას და ღებულობდნენ საჭირო ზომებს მათ შესაძენად.

გარდა წიგნებისა მასობრივი ბიბლიოთეკები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პერიოდული გამოცემებით (გაზეთი „Советский патриот“. ჟურნალები: „Военные знания“, „Крылья Родины“ და „Красный крест“).

შემოსული ლიტერატურა სრულყოფილად უნდა აისახოს სისტემატური კატალოგის 358.5 განყოფილებაში.

კატალოგების გარდა სასურველია შედგეს საჟურნალო და საგაზეთო სტატიების კარტოთეკა შემდეგ თემებზე: „ჭაერსაწინალო დაცვა“ (ШВО), „წინაღმიური დაცვა“ (ПХЗ), „ათომსაწინააღმდეგო დაცვა“ (ПАЗ), „ბაქტერსაწინააღმდეგო დაცვა“ (ПБЗ) და „სამოქალაქო თავდაცვა“ (ГО).

ფონდის ხარისხიანობის გაუმჯობესებისათვის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკებმა სისტემატური ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის ფონდი შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურით არ იყოს გადატვირთული. ამ მიმართებით, არსებული ინსტრუქციების საფუძველზე, პერიოდულად უნდა ხდებოდეს ფონდის გაწმენდა. ამ ამოცანის სწორად გადაჭრაში ბიბლიოთეკის მუშაკების გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი „დოსააფ“-ის კომიტეტები, წითელი ჯვრისა სამოქალაქო თავდაცვის შტაბის წარმომადგენლები.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდისათვის უნდა გამოვიყენოთ მკითხველებთან ინდივიდუალური და მასობრივი მუშაობის შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ა. საუბრები;
- გ. ლიტერატურის გამოფენა;
- ბ. ახლად მიღებული წიგნების ინფორმაცია;
- დ. საბიბლიოთეკო პლაკატი;
- ე. ხმამაღალი კითხვა;

- ვ. კითხვა-პასუხის საღამო;
- ზ. ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა;
- თ. წიგნის „კვირეული“;
- ი. მკითხველთა კონფერენცია;
- კ. სემინარი.

წიგნის პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ბიბლიოთეკარის **საუბარი მკითხველებთან**. ამ ფორმის გამოყენება სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის საწარმოებლად დადებით შედეგს იძლევა. მკითხველებთან საუბრების ჩატარება არ განისაზღვრება მარტო წაკითხული და წაუკითხავი წიგნების გამოყენებით. სწორედ ამიტომ ბიბლიოთეკარმა, ზოგჯერ რადიოში მოსმენილი ან კინოფილმში ნანახი სამოქალაქო თავდაცვის საინტერესო საკითხიც უნდა გააცნოს მკითხველებს. საუბრის ხარისხიანობა დამოკიდებულია ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციაზე, კვალიფიკაცია კი — სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივ შტაბებზე, „დოსააფ“-ის კომიტეტებსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციებზე. რაც უფრო ხშირია მათთან კავშირი, მით უფრო დიდია ბიბლიოთეკარის გამოცდილება და ცოდნა ამ დარგში.

მოსახლეობაში სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის გასაწევად ბიბლიოთეკებმა უნდა გამოიყენონ მასობრივი მუშაობის ისეთი ფორმა, როგორცაა **ინფორმაცია ახალ მიღებული წიგნების შესახებ**.


მიღებულ წიგნებზე ინფორმაცია გადაიცემა ბიბლიოთეკართა მიერ ზეპირი ფორმით, ან წერილობით. ლიტერატურის სია მოთავსდება ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილზე. სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივ შტაბებში, წითელი ჯვრისა და „დოსააფის“ კომიტეტებში.

სასურველია ინფორმაცია გაკეთდეს ადგილობრივი რადიოკვანძის საშუალებითაც.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს ამ **ლიტერატურის გამოფენა**.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის გამოფენის ორგანიზაციისას ბიბლიოთეკარმა უნდა ისარგებლოს ფონდში არსებული წიგნებით და შეარჩიოს აქტუალური ლიტერატურა. წიგნებისა და ბროშურების გვერდით სასურველია ჟურნალებისა და გაზეთების სტატიათა გამოფენაც.

გამოფენის მოწყობის დროს ბიბლიოთეკები იყენებენ სამხედრო



დოკუმენტების ფოტო-ასლებს, ხოლო ილუსტრაციისათვის სხვადა-სხვა თვალსაჩინოებას: პლაკატებს, ალბომებს და სხვა, რომელთაგანაც მათ შეუძლიათ ქალაქის ან რაიონის ადგილობრივი სამოქალაქო თავდაცვითი შტაბის უახლოეს მსხვილ ობიექტებიდან.

გამოფენა შეიძლება მოწყობილი იქნას ერთი საერთო სათაურითაც. მაგალითად: „რა წავიკითხოთ მოსახლეობის მასობრივი დაზიანებისაგან დაცვის შესახებ“.

სამოქალაქო თავდაცვის ამსახველი ლიტერატურის გამოფენის გარდა ბიბლიოთეკა აფორმებს საბიბლიოთეკო პლაკატებს, რომელთა მიზანია მკითხველთა ყურადღების მიქცევა საუკეთესო და აქტუალურ წიგნებზე. პლაკატების თემატიკა ისევე მრავალნაირია, როგორც ლიტერატურის გამოფენის თემატიკა.

პლაკატზე გამოსახული უნდა იყოს წიგნების ყდები, ციტატები და ლიტერატურის სარეკომენდაციო სია. პლაკატის გაფორმებაში ბიბლიოთეკას უნდა ეხმარებოდეს აქტივი. გარდა ამისა თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის დროს სავალდებულოა ვისარგებლოთ „დოსააფ“-ის ორგანიზაციების და სამოქალაქო თავდაცვითი შტაბების მიერ ბეჭდური წესით გამოცემული პლაკატებით.


ეს პლაკატები შეიძლება გამოვიყენოთ ბიბლიოთეკის გარეთაც. მაგალითად, მოძრავ საბიბლიოთეკო ქსელში, ხმამაღალი კითხვის დროს, ლიტერატურული საღამოებისა და კონფერენციების ჩატარებისას.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდაში მასობრივმა ბიბლიოთეკებმა ხშირად უნდა გამოიყენონ მასობრივი მუშაობის ფორმა — **ხმამაღალი კითხვა**.

ხმამაღალი კითხვის უპირატესობა გამოიხატება მის მასიურობასა და შედეგიანობაში. იგი უნდა ჩატარდეს არა მარტო ბიბლიოთეკებსა და კლუბებში; არამედ კულტურის სახლებში, კოლმეურნეობებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში.

ხმამაღალ კითხვას ბიბლიოთეკა აწარმოებს აქტივის დახმარებით. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა აქტივისტი ვერ შეძლებს მკითხველის როლში გამოსვლას. კითხვის ჩამტარებელს უნდა ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება და საკმაოდ ერკვეოდეს სამოქალაქო თავდაცვის საკითხში; მან მსმენელთა მიერ წამოჭრილ შეკითხვებს დამაკმაყოფილებელი პასუხი უნდა გასცეს.

იმისათვის, რომ ხმამაღალი კითხვა უფრო მეტად შედეგიანი გახდეს და მსმენელთა დაინტერესება გამოიწვიოს, უნდა განვიხი-



ლოთ მთელი რიგი აქტუალური საკითხები სამოქალაქო თავდაცვის შესახებ, რომელიც საბჭოთა ხალხის მასობრივი დაზიანებისა და ცივილის ინტერესებს ემსახურება.

მოსახლეობის მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის ცოდნასა და მომზადებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კითხვა-პასუხის საღამოს ჩატარება.

საღამოს ორგანიზაციისათვის სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი შტაბები, „დოსაფ“-ის კომიტეტები და წითელი ჯვრის ორგანიზაციები ბიბლიოთეკების დასახმარებლად ჰყოფენ საზოგადოებრივ-ინსტრუქტორებსა და სპეციალისტ-კონსულტანტებს, რომელთა დახმარებით შეიძლება საღამოს ჩატარების თემატიკა და დგება გეგმა. საღამოს ხელმძღვანელობა სასურველია დაევალოს სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი შტაბის მუშაკს. საღამოს მოწყობამდე ფონდი წინასწარ უნდა შეივსოს საჭირო ლიტერატურით; მოეწყოს ლიტერატურის გამოფენა და სხვ.

ბიბლიოთეკებმა სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი ორგანიზაციის მუშაკებთან ერთად საჭიროა ფორმულირება გაუკეთონ ამორჩეულ თემაზე შემოსულ შეკითხვებს და შემდეგ გააცნონ ისინი მკითხველებს სპეციალური საბიბლიოთეკო პლაკატზე.

მოგვყავს საბიბლიოთეკო პლაკატის გეგმის ნიმუში:

### აზხანაზო მკითხველგო!

ბიბლიოთეკის დარბაზში (აღვნიშნავთ ჩატარების თარიღს) ჩატარდება კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „როგორ უნდა მოვიქცეთ რადიოაქტიური დაავადებისას!“

საღამოს მსვლელობის დროს სპეციალისტების მიერ გაცემული იქნება პასუხები შემდეგ კითხვებზე:

1. როგორია რადიოაქტიური ღრუბელი და რატომ არის იგი სახიფათო?
2. როგორ შეიძლება თავის დაცვა რადიოაქტიური მტვერისაგან?
3. დაცვის როგორი საიმედო შეიარაღება არსებობს (მხედველობაში იქონიეთ ჩაცმულობა და სხვა)?
4. იცი თუ არა შენ, პროფილაქტიკის როგორი საშუალებები არსებობენ რადიოაქტიური დაავადებებისას?



5. იგი თუ არა წესები, როგორ უნდა მოიქცე მოწამლულ ტერიტორიაზე?

კითხვა-პასუხის საღამოზე დამსწრე მკითხველებს დამატებითი კითხვების დასმა.

თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდა დიდად არის დამოკიდებული წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ხარისხიანობაზე. წიგნის მიმოხილვა უნდა ჩატარდეს ბიბლიოთეკებში, ლიტერატურულ საღამოებზე, წიგნის გაცემის პუნქტებში, მკითხველთა კონფერენციებზე, ხმამაღალი კითხვის, ლექციების და მოხსენებების დამთავრებისთანავე (რასაკვირველია, დასახელებული მასობრივი მუშაობის ფორმების გამოყენება უნდა შეეხებოდეს სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდას).

წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის დროს ბიბლიოთეკის მუშაკებმა შეიძლება წაიკითხონ ნაწყვეტი ტექსტიდან, რომელშიც ასახული იქნება ახალი საინტერესო ცნობები სამოქალაქო თავდაცვის შესახებ.

როდესაც ბიბლიოთეკარი გამოფენილი ლიტერატურის მიმოხილვას ატარებს, იგი არჩევს რამდენიმე საუკეთესო წიგნს და თითოეულ მათგანს მიმოიხილავს, ხოლო დანარჩენებს ზოგადად დაახსიათებს.

წიგნის პროპაგანდის ასეთი ფორმის გამოყენების დროს ბიბლიოთეკებმა ხშირად უნდა მოიწვიონ მომხსენებლები, სამხედრო საქმის სპეციალისტები, სამოქალაქო თავდაცვის ადგილობრივი შტაბის, „დოსაავ“-ის კომიტეტისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოსახლეობის მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის ცოდნის გასაღრმავებლად სასურველია ჩატარდეს „სამხედრო წიგნის კვირეული“. „კვირეულის“ მომზადების პერიოდში მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკები, საბიბლიოთეკო საბჭოს წევრები და მკითხველთა აქტივი ერთად ადგენენ მუშაობის გეგმას; ფონდი იგება ახალი წიგნების შექენით და ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის აქტიური გამოყენებით. „კვირეულის“ ჩატარების პერიოდში რეკომენდებულია ლიტერატურის გამოფენის ორგანიზება, საუბრისა და მიმოხილვის ჩატარება; ამასთან სასურველია, რომ ბიბლიოთეკებმა სამოქალაქო თავდაცვითი შტაბის მუშაკებთან ერთად მოაწყონ კითხვა-პასუხის საღამოები სამოქალაქო თავდაცვაზე; სასურველია წაკითხულ იქნას სპეციალური ლექცია.

„სამხედრო წიგნის კვირეულის“ ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა იფიქრონ ბიბლიოთეკათა დარბაზების სათანადო გაფორმებაზე, სადაც ჩატარდება დასკვნითი საღამო. „კვირეულის“ ორგანიზაციის დროს საჭიროა ყურადღება მიექცეს მოსამზადებელ ღონისძიებებზე დროებით ინფორმაციას, — პლაკატები, აფიშები, მოსაწვევი ბარათები და ა. შ.

„სამხედრო წიგნის კვირეული“ მიზნად ისახავს მთელი მოსახლეობის თავდაცვითი ლიტერატურით საბიბლიოთეკო მომსახურებას.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის მნიშვნელოვანი საშუალებაა **მკითხველთა კონფერენცია**. მისი მომზადება მოითხოვს სერიოზულ და ხანგრძლივ მუშაობას.

მკითხველთა კონფერენციის მიზანია აზრთა თავისუფალი გაცვლა, შემოქმედებითი კამათი და წიგნის ცხოვრებასთან კავშირი. აი, ამიტომ, ბიბლიოთეკებმა კი არ უნდა გადააქციონ კონფერენციის მონაწილენი პასიურ მსმენლებად, არამედ დაეხმარონ და ზოგიერთი მათგანი ისე მოამზადონ, რომ სიტყვით გამოვიდნენ.

მკითხველთა კონფერენციის ჩატარების პერიოდში მასობრივ ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის გამოფენა, საბიბლიოთეკო პლაკატების გაფორმება და სხვა.

ბიბლიოთეკებს შეუძლიათ კონფერენციის ჩატარებას შეუხამონ კინოფილმზე მკითხველთა კოლექტიური დასწრება და მისი განხილვა, რომელშიაც ასახული იქნება მოსახლეობის მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვა. სასურველია, რომ კინოფილმი ჩატარდეს კულტურის სახლებში ან კლუბებში.

სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შესწავლის კარგ მასობრივ სკოლას წარმოადგენს სპეციალური **სემინარი**. ეს სემინარი მხოლოდ ბიბლიოთეკის მუშაკთათვის ტარდება.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სემინარების ჩატარება მიზანშეწონილია უშუალოდ იმ ბიბლიოთეკებში, რომლებსაც აქვთ სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის საკმაო გამოცდილება. ეს საშუალებას მოგვცემს თვალნათლივ ვაჩვენოთ თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის საბიბლიოთეკო მუშაობის ფორმები, რომლებიც აახლოებენ ბიბლიოთეკარების ცოდნის შეძენას პრაქტიკულ საქმიანობასთან. სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად სასურველია მეთოდისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების

წარმომადგენლების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბების, „დოსააფ“-ის კომიტეტებისა და წითელი ჯვრის მუშაკთა მოწვევა. ქვემოთ მოგვყავს სპეციალური სემინარის სასწავლო გეგმის სპორინტაციო ნიმუში:

## I მემცალინეოგა

### 1. „სამოქალაქო თავდაცვის ძირითადი ამოცანები და ღონისძიებანი“.

1 სთ. 30 წთ.

თემის შინაარსი: რა არის სამოქალაქო თავდაცვა; მისი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფაში. სამოქალაქო თავდაცვის შტაბების, „დოსააფ“-ის კომიტეტების, წითელი ჯვრისა და ბიბლიოთეკების როლი მოსახლეობის თავდაცვითი ზომების შესწავლის საკითხებში და პრაქტიკული რჩევები მათი ურთიერთმოქმედებისათვის, რომლებსაც გამოიყენებენ ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ადგილობრივ შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

### 2. „ქალაქის, რაიონის (სოფლის) ბიბლიოთეკების ამოცანები სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის საკითხებში“.

40 წთ.

თემის შინაარსი: სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის გამოცემების ძირითადი ტიპების განსაზღვრა და დახასიათება; პრაქტიკული რჩევები მისი შეძენისათვის და ასახვა სისტემატურ კატალოგში. სამოქალაქო თავდაცვის ლიტერატურაზე მუშაობის შინაარსი და თავისებურებანი. მეთოდური რეკომენდაცია კითხვა-პასუხის საღამოების ჩატარების, წიგნების გამოფენების მოწყობის და საბიბლიოთეკო პლაკატების გაფორმებისათვის.

### 3. ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთვაზიარება (სასურველია სამოქალაქო თავდაცვითი შტაბების „დოსააფ“-ის კომიტეტებისა და წითელი ჯვრის წარმომადგენელთა გამოსვლაც).

1 სთ. 30 წთ.

თემის შინაარსი: ბიბლიოთეკების სამოქალაქო თავდაცვის ლიტერატურით დაკომპლექტება; ამ ლიტერატურის ფონდების თემატიკური გახსნა, თემატური კარტოთეკების და მასობრივი

ლონისძიებების ორგანიზაცია (მკითხველთა კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები; კინოლექტორიუმები); ლიტერატურის გამოცემები, საბიბლიოთეკო პლაკატები და პროპაგანდის სხვა სახეობების საზოგადოების გამოყენება სამოქალაქო თავდაცვის ცოდნის პროპაგანდაში.

4. კინოფილმების ჩვენება სამოქალაქო თავდაცვაზე.

5. ექსკურსიის ჩატარება უახლოეს საობიექტო ან საქალაქო გამოფენაზე სამოქალაქო თავდაცვის საკითხში.

სემინარის პირველი მეცადინეობის მიზანია — დაეხმაროს ბიბლიოთეკებს სწორად გაიგონ სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობა, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი სისტემა თავდაცვის ღონისძიებებში და განსაზღვროს თავისი როლი მოსახლეობის მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის საკითხში. სემინარის მსვლელობისას მისმა მონაწილეებმა უნდა მიიღონ ნათელი წარმოდგენა სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის საკითხებზე სპეციალური თავისებურებების შესახებ.

## II მეცადინეობა

1. „როგორ დავიცვათ თავი მასობრივი დაზიანების იარაღისაგან“.

40 წთ.

2. „ბიბლიოთეკების როლი და ადგილი სამოქალაქო თავდაცვის ცოდნის პროპაგანდაში“.

20 წთ.

3. „გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების შედეგების შეჯამება“.

შინაარსი: შედეგების ანალიზით გამოსვლა, მეთოდური მასალების მითითება.

4. ახალი ლიტერატურის მიმოხილვა.

40 წთ.

5. კინოფილმების ჩვენება.

სემინარის მეორე მეცადინეობა დაკავშირებულია სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდის საქმეში გამოცდილების ურთიერთგაზიარებასთან; მიზანშეწონილია, რომ მეორე სემინარი ჩატარდეს არა უგვიანეს ნახევარი წლის შემდეგ პირველი სემინარის ჩატარებიდან. მისი მიზანია ბიბლიოთეკების პრაქტიკაში დანერგოს და გაავრცელოს სამოქალაქო დაცვის ცოდნის უფრო მეტად საინ-

ტერესო ფორმის პროპაგანდა, ხაზი გაესვას ახალს, რომელიც შეიქმნა საუკეთესო ბიბლიოთეკარების ინიციატივისა და შემოქმედებით შრომის შედეგად.



ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მასობრივი ბიბლიოთეკები ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად მნიშვნელოვნად ამაღლებენ სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდას და მოსახლეობაში ღირსეულ წვლილს შეიტანენ მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის ცოდნის გაღრმავების საქმეში.

## ნ. ხაზაშურიძე

ქუთაისის № 4 საბავშვო ბიბლიოთეკის

გამგე.

### ქუთაისის № 4 საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილებებიდან.

ბიბლიოთეკა ძირითად ამოცანად ისახავს ცოცხალი სიტყვისა და თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებით ბავშვთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, რომ მასობრივი მუშაობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ნამდვილად გავხადოთ წიგნი ბავშვებში კომუნისტური ჩვევების დანერგვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. მეცნიერების ცალკეული დარგების, ცალკეული პროფესიების შესახებ არსებული ლიტერატურის ფართო პროპაგანდითი ქმედითი დახმარება აღმოვეჩინოთ სკოლებს ბავშვთა შრომითი აღზრდის საქმეში და სხვ.

ბიბლიოთეკას აქვს სააბონემენტო და სამკითხველო დარბაზი. მუშაობს სამი მუშაკი.

ბიბლიოთეკის სამოქმედო უბანში შემოდის სამი სკოლა (№ 3, № 12 და № 17 საშუალო სკოლები). აღნიშნულ სკოლებში I—VIII კლასის მოსწავლეთა რაოდენობა 1786-ს შეადგენს. დასახელებული სკოლების დირექტორებისა და პედკოლექტივის დახმარებით ცალკეული კლასების მიხედვით შედგენილი გვაქვს მკითხველთა მომსახურების კარტოთეკა, ბარათებზე გაკეთებული გვაქვს აღნიშვნები, თუ რომელი ბიბლიოთეკის მკითხველია ესა თუ ის მოსწავლე. კარტოთეკამ გვიჩვენა, რომ 1963 წლის ბოლოსთვის 675 ბავშვი არსად არ იყო ჩაბმული კითხვაში, მაგრამ გასულ წელს პედკოლექტივის დახმარებით სამივე სკოლის ყველა მოსწავლე I-დან VIII კლასის ჩათვლით ჩაბმულია კითხვაში.

გამოცდილებით ვრწმუნდებით, რომ ბავშვებისათვის საინტე-

რესო იქ ყოფნა, სადაც თავიანთ თავს დამოუკიდებლად გრძნობენ და ინიციატივის გამოჩენის საშუალება ეძლევათ; მათ არ უყვართ თავზე მოხვეული საქმეები.

ჩვენი ბიბლიოთეკა სკოლების პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და აქტივის დახმარებით გასულ წელს ატარებდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: მოვაწყვეთ მკითხველთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, წარმოების ნოვატორებთან. ვატარებდით ლექციებს საინტერესო საკითხებზე, აქტივისტების დახმარებით ვუშვებთ კედლის გაზეთებს, ვახდენთ წაკითხული წიგნების განხილვას, ვაწყობთ გამოფენებს მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, ვადგენთ ალბომებს.

ექსკურსია ჩავატარეთ ლითოფონის ქარხანაში, № 8 სამკერვალო ფაბრიკაში, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სამხატვრო გალერეაში, დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში, ღვინის ქარხანაში, ზაქარია ფალიაშვილის სახლმუზეუმსა და № 5 სტამბაში. ამ ექსკურსიებში 170 ბავშვი მონაწილეობდა.

ბავშვთა კოლექტიური დასწრება კინოფილმებზე მოეწყო 7-ჯერ. ნახულ იქნა შემდეგი ფილმები: „მუმუ“, „თვითმფრინავები არ დაშვებულან“, „სიჩუმე“, „გზა მესუთე კონტინენტისაკენ“, „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე“, „პეტერი“. ჩავატარეთ ამ კინოფილმების განხილვები, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა მკითხველებმა.

თოჯინების თეატრში კოლექტიურად ვნახეთ შემდეგი სპექტაკლები: „ნანა ტყეში“, „ბიჭები ეძებენ გაზაფხულს“, „ერთი მგელი, ორი მონადირე და სამი გოჭი“ და „უცნაური მოგზაური“.

ბავშვები დიდ აქტივობას იჩენენ სხვადასხვა ალბომების შედგენასა და გაფორმებაში. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით „ალბომი ყვავილებზე“, რომელშიც შეტანილია საქართველოში არსებული ყველა ყვავილის ფოტო-სურათი და აღწერილია მათი თვისებები. ამ ალბომის შედგენაში თავი ისახელეს მანანა, ნატული ზივზივაძეებმა და ნარგიზა დვალმა. სამაგიეროდ ეთერი თოფჩიაშვილი, რუსუდან ლოლობერიძე და ვლადიმერ ბოკუჩავა სათავეში ჩაუდგნენ ტექნიკური ლიტერატურის ალბომის შექმნას, რომელშიც წარმოდგენილია ფერადებით დახატული ტექნიკური ხასიათის წიგნის ყდები.

ყოველი ღონისძიება, რაც ბიბლიოთეკამ აქტივის დახმარებით გასულ წელს ჩაატარა მიმართული იყო იქითკენ, რომ რაც შეიძლება

მეტი მკითხველი მოგვეზიდა და მეტი წიგნი გავგვცა მათზე. გასულ წელს ბიბლიოთეკა მოემსახურა 2070 მკითხველს. აქედან: 16 წლის-11 დე მკითხველი იყო 2000, მათზე 40748 ც. წიგნი გაიცა.

გასულ წლის 14 მაისს ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველებმა სხვა საბავშვო ბიბლიოთეკებთან ერთად შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ საბავშვო მწერალს, მთარგმნელსა და დრამატურგს როდინო ქორჭიას, რომელსაც დაბადების 70 და სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავი შეუსრულდა.

შეხვედრას წინ უსწრებდა მოსამზადებელი მუშაობა. პირველ რიგში მოწყობილი გვქონდა ლიტერატურის გამოფენა, მიმდინარეობდა ხმამაღალი კითხვა-საუბრები მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე; გამოშვებული იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, შევადგინეთ ალბომი და სხვ.

ჩვენს სამოქმედო უბანში შემავალი სკოლებიდან მე-17 საშუალო სკოლა რუსული სკოლაა. ამ სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველები არიან. მათთვის ბიბლიოთეკაში ვატარებდით მასობრივ ღონისძიებებს და ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევდა ამავე სკოლის პედაგოგები. რუსი ბავშვებისათვის გასულ წელს ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული დილა, რომელიც მიეძღვნა არკ. გაიდარის დაბადების 60 წლისთავს. დილისათვის თემების შერჩევასა და მომზადებაში დაგვეხმარნენ სკოლის დირექტორი არჩილ კახაია, პ/ხელმძღვანელი ბელა ურთქმელიძე და ბიბლიოთეკარი ლიანა გიორგაძე. ხმამაღალი კითხვა-საუბრები მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედების შესახებ ჩატარა პედაგოგმა ლ. ჯავახიძემ. აქტივის ინიციატივით გამოშვებული იქნა კედლის გაზეთი და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ნიკოლოზ ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავის აღნიშვნას. მუშაობა დავიწყეთ განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმით. მოვაწყეთ ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ლიტერატურის გამოფენა სათაურით:—„ახალგაზრდებო, მიბაძეთ თქვენს საყვარელ გმირებს!“ აღნიშნული გამოფენით ყოველდღიურად მრავალი მკითხველი სარგებლობდა. სისტემატურად ტარდებოდა მკითხველებთან საუბრები ოსტროვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ვაწარმოებდით ოსტროვსკის ნაწარმოებებიდან ზოგიერთი ადგილების წაკითხვას მკითხველებთან, შევადგინეთ სპეციალური ალბომი, გამოვუშვიტ სავანგებო ნომერი კედლის გაზეთისა, პედაგოგებმა ტატიანა გურგენი-

ქემ და ვარდენ კობალაძემ აწარმოეს ისეთი წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. რომლებშიც მოთხრობილია საბჭოთა ახალგაზრდობის სასახელო შრომასა და სწავლაზე. მაგალითად: ნორა ნორაკიძის „მწვანე საგუშაგოები“, ცერცვაძის „აქედან იწყება შენი ვზა“, ნოსოვის „ტოლია კლიუკვინის თავგადასავალი“, რისის „გოგონა ეძებს მამას“ და სხვ. ქალაქის სხვა ბიბლიოთეკებთან ერთად ჩაატარეთ მკითხველთა კონფერენცია თემაზე: „ნ. ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება“.

ბიბლიოთეკაში ყურადღება ექცეოდა ანტირელიგიურ ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს. ამ მხრივ კარგად ვიყენებდით პროპაგანდის ერთ-ერთ ყველაზე მარტივ და მოქნილ ფორმას: ხმამაღალ კითხვა-საუბარს. მაგრამ ამ მუშაობას ბიბლიოთეკა გარდა თავისი მუშაკებისა აქტივისტი მკითხველების საშუალებითაც ახორციელებდა. ხმამაღალი კითხვა-საუბარი გასულ წელს შემდეგ საკითხებზე ჩატარდა: „გამოჩენილი ადამიანები რელიგიის შესახებ“, „რელიგია და ბავშვები“, „ადგილობრივი ქრისტიანული დღესასწაულები და მათი მავნე ხასიათი“, „ქრისტიანული რელიგიის წარმოშობა“ და სხვ. მკითხველებისათვის ჩატარდა ლექცია თემაზე: „მეცნიერება და რელიგია შეუთავსებელია“ (ლექცია ჩაატარა ლექტორმა ნ. კუხალეიშვილმა).

მკითხველთა ინიციატივით შედგენილი იქნა პლაკატი სათაურით „პიონერო. ებრძოლე რელიგიას“ და ალბომი სათაურით „გამოჩენილი ადამიანები რელიგიის შესახებ“. ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო მეცნიერულ-ათეისტურ ლიტერატურის პროპაგანდას.

ჩვენი ბიბლიოთეკა აქტივის დახმარებით აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა საზაფხულო არდადეგების პერიოდში ქალაქში მყოფ მკითხველ-მოსწავლეთა კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბიბლიოთეკის საბჭომ დროულად შეადგინა არდადეგების პერიოდში სამუშაო გეგმა, გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, რეგულარულად ტარდებოდა გეგმით გათვალისწინებული საუბრები მკითხველებთან, ეწყობოდა ექსკურსიები მშობლიური ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების შესწავლის მიზნით, ხდებოდა დასწრება კინოფილმებზე, სპექტაკლებზე. დაწესებული გვქონდა ნორჩ ბიბლიოთეკართა მორიგეობა. ისინი გვეხმარებოდნენ მკითხველთა მიერ დროზე დაუბრუნებელი წიგნების დაბრუნების საქ-

მეში, დაზიანებული წიგნების შეკეთებაში, ახალ მიღებული წიგნების ტექნიკურად დამუშავებაში და სხვ. არდადეგების პერიოდში მკითხველების მიერ შეკეთებულ იქნა 200 დაზიანებული წიგნი. არდადეგების პერიოდში ბიბლიოთეკაში ჩავატარეთ მხატვრული კითხვის კონკურსი. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 20 მკითხველმა. ლექსის მხატვრულ კითხვაში თავი ისახელეს ქეთინო ლანჩავამ, ქეთინო ფრუიძემ, ისახარ ციციაშვილმა, რომლებიც ყიურის მიერ დაჯილდოვდნენ წიგნებით. კონკურსის შემდეგ ბავშვების მიერ რამდენიმე საბავშვო წიგნზე შედგენილ იქნა ბლოკნოტური კატალოგი.

ბიბლიოთეკაში I — II კლასის მოსწავლეთათვის შედგენილი გვაქვს ილუსტრირებული კატალოგი, IV — VI კლასის მოსწავლეებს წასაკითხად ვურჩევთ ისეთ წიგნებს, რომლებშიც მოთხრობილია პიონერულ ცხოვრებაზე, პიონერულ საქმიანობაზე, ვუდგენთ მათ კითხვის ინდივიდუალურ გეგმებს და სხვ.

არიან ისეთი მკითხველებიც, რომლებიც გაერთიანებულია სკოლის საგნობრივ წრეებში და ნორჩ ტექნიკოსთა სახლის სხვადასხვა ტექნიკურ წრეებში. ასეთ მკითხველებს მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად წასაკითხავად ვურჩევთ ტექნიკურ ლიტერატურას.

გასულ წელს ბიბლიოთეკაში მიმდინარე კალენდარულ საკითხებთან დაკავშირებით ეწყობოდა ლიტერატურის გამოფენები (სულ მოეწყო 33-ჯერ). მაგალითად: „ლეო ქიაჩელის დაბადების 80 წლისთავი“, „დიდი ქიმიის მომავალი“, „არკადი გაიდარის დაბადების 60 წლისთავი“, „ნ. კ. კრუპსკაიას დაბადების 95 წლისთავი“, „ვ. ი. ლენინის დაბადების 94 წლისთავი“ და სხვ. გვქონდა აგრეთვე მუდმივი გამოფენები: „XXII ყრილობის მასალები“, „პიონერო! ებრძოლე რელიგიას!“, „იკითხეთ ლიტერატურა ტექნიკაზე“ და ა. შ. უფროსკლასელებისათვის ლექცია-მოხსენებები ჩატარდა 12-ჯერ: „ქიმია ყოფაცხოვრებაში“, „ხასიათის აღზრდა“, „საერთაშორისო და მუშათა მოძრაობა თანამედროვე ეტაპზე“, „კომუნისმი და შრომა“. „ვ. ი. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ბავშვის აღზრდა სკოლასა და ოჯახში“ (უკანასკნელი ორი ლექცია მშობელთათვის ჩატარდა).

წიგნადი ფონდის რეკლასიფიკაცია ჩვენმა ბიბლიოთეკამ დიდხანია დაამთავრა. დამუშავებული ლიტერატურა განლაგებული გვაქვს თაროზე კლასიფიკაციის წიგნის მიხედვით, ფონდზე შედგენილი გვაქვს ანბანური და სისტემატური კატალოგი.

ჩვენი ფონდი ნაწილობრივ პროფილის შეუსაბამო ლიტერატურას შეიცავს, მაგრამ ვახდენთ მისგან ფონდის გამწვანდას. გასულ წელს როგორც პროფილის შეუსაბამო სხვა ბიბლიოთეკას 300 მანეთის ლიტერატურა გადავეცით.

ფონდის წმენდას ვაწარმოებთ აგრეთვე გაცვეთილი და შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურისაგან. სულ გასულ წელს ფონდიდან ამოვიღეთ 735 ცალი წიგნი (შინაარსობრივად მოძველებული და გაცვეთილი).

მთელი მუშაობა, მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის საბჭოსა და აქტივთან უშუალო კავშირში. განსაკუთრებით დიდია ბიბლიოთეკებისადმი მკითხველთა აქტივის დახმარება, მათი ყოველდღიური დახმარების გარეშე ჩვენ ვერ შევძლებდით დასახული ამოცანების განხორციელებას.

მკითხველთა აქტივისაგან ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბებულია ბიბლიოთეკის საბჭო, რომელიც არჩეულ იქნა მკითხველთა კონფერენციაზე 1964 წლის 23 იანვარს. ბიბსაბჭოს შემადგენლობაში არჩეული გვყავს ინიციატივის მქონე მკითხველები. მათ შორის: სკოლის დირექტორი ედუარდ თავაძე, პიონერხელმძღვანელი ს. თოხაძე, პედაგოგები ტ. გურგენიძე და ვ. კობალაძე, მშობელი მ. ბაზაძე, მკითხველები ზ. გუგუშვილი, ვ. ბოკუჩავა.

საბჭოს წევრების გარდა ბიბლიოთეკას აქტივიცა ჰყავს შემოკრებილი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი არიან აქტივისტები ე. სხირტლაძე და ს. ანდრიაძე, რომლებიც გვეხმარებიან ბიბლიოთეკისა და კედლის გაზეთების გაფორმებაში. სკოლის დირექტორი ედუარდ თავაძე, პიონერხელმძღვანელები ს. თოხაძე და ზ. ჭოლაძე დახმარებას გვიწვევენ ბიბლიოთეკის მიერ მასობრივ ღონისძიებათა ჩატარებაში, მოსწავლეთა მიერ დროზედ მოუტანელი წიგნების დაბრუნებაში. პედაგოგები ტ. გურგენიძე და ვ. კობალაძე, აგრეთვე თინათინ ჩიხლაძე და მარგო რუხაძე გვეხმარებიან მკითხველებთან საუბრების ჩატარებაში. საბჭოს წევრები აქტივთან ერთად ბიბლიოთეკას დახმარებას უწევენ სამეურნეო საქმიანობაშიც.

გასულ წელს ნაყოფიერი იყო ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდ-კაბინეტის დახმარება ჩვენს მიმართ. მათ მოგვცეს მითითებანი ანბანური კატალოგის სწორად აწყობის საქმეში, წიგნადი ფონდის რეკლასიფიკაციის მიმდინარეობის პერიოდში ჩვენთვის გაურკვეველ საკითხებზე მოგვცეს ახსნა-განმარტება და ა. შ. დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე საქ. სსრ ქ. მარქსის სახ. რესპუბლიკური

ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების მიერ გამოგზავნილი მეთოდური ლიტერატურა.

ახლა, როცა მთელი საზოგადოებრიობის ყურადღება მობრუნებულია არასრულწლოვანთა უზედამხედველობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ჩვენი ვალია საინტერესო და მისაწვდომი ღონისძიებებით მოვიზიდოთ სასკოლო ასაკის ბავშვები, გავაფართოოთ მკითხველთა აქტივის რიგები, გადავაქციოთ ბიბლიოთეკა მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სკოლის გარეშე კერად.

## მ. გელაშვილი,

წითელწყაროს სარაიონო საბავშვო  
ბიბლიოთეკის გამგე.

### როგორ ჩავატარეთ სასკოლო ასაკის ბავშვთა საბიბლიო- თეკო მომსახურების ერთთვიური წითელწყაროს რაიონში

ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში წიგნის როლის კიდევ უფრო ამაღლების, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში ჩაბმისა და მათი საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის 1965 წლის 16 თებერვლის № 59 ბრძანების საფუძველზე ჩვენს რესპუბლიკაში პირველი მარტიდან პირველ აპრილამდე ჩატარდა სასკოლო ასაკის ბავშვთა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში ჩაბმის ერთთვიური.

ერთთვიურის ორგანიზებულად ჩატარებისათვის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ერთთვიურის ჩატარების პირობები და ის მეთოდური რჩევა-დარიგება და მითითებები, რომლებზედაც განსაკუთრებით იყო გამახვილებული ყურადღება კ. მარქსის სახ. რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მიმდინარე წლის თებერვალში ჩატარებულ საბავშვო ბიბლიოთეკების გამგეთა ხუთდღიან კურსკონფერენციაზე.

წითელწყაროს რაიონის ბიბლიოთეკების მუშაკებმა მიზნად დავისახეთ ერთთვიურის პერიოდში ჩაგვეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რის შედეგადაც მივაღწევდით I — VIII კლასის მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობის ჩაბმას ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში. ამ მიზნით წინასწარ ჩავატარეთ მოსამზადებელი სამუშაოები. 27 თებერვალს რაიონულ ორდღიან სემინარზე, რომელსაც ესწრებოდნენ რაიონის ყველა მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების გამგეები, დაწვრილებით და გულდასმით განვიხილეთ როგორც ბრძანება, ისე ერთთვიურის ჩატარების პირობები.

ბიბლიოთეკების მუშაკებს მივეცი თითოებები. თუ როგორ და რა წესით უნდა მომხდარიყო სკოლებისა და სასოფლო საბჭოების მიხედვით ამ ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, როგორი ურთიერთობა უნდა დამყარებინათ მასობრივ საკოლმეურნეო და საკულტურო ბიბლიოთეკებს სასკოლო ბიბლიოთეკებთან, რა მასობრივი და წიგნის თვალსაჩინო პროპაგანდის სხვა ღონისძიებები უნდა ჩატარებინათ ადგილებზე, როგორ უნდა შემდგარიყო ერთთვიურთან დაკავშირებით სამუშაო გეგმა, როგორ უნდა ჩაგვეხატა აქტივისტები და საზოგადოებრიობა, ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები ერთთვიურის ჩატარების საქმეში და სხვ.

საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც ბავშვთა შორის მუშაობის მეტოდურ ცენტრს წარმოადგენს, კულტურის განყოფილებასთან და სარაიონო ბიბლიოთეკასთან ერთად სისტემატურ და ქმედით დახმარებას უწევდა რაიონის ბიბლიოთეკებს ერთთვიურის ორგანიზებულად ჩატარებაში. ჩვენ ვცდილობდით ეს დახმარება ძირითადად საბავშვო ბიბლიოთეკის კარგი მუშაობის ჩვენებით გაგვეწია. ერთთვიურის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე საბიბლიოთეკო საბჭოს მონაწილეობით შევადგინე სამუშაო გეგმა, რომელიც განხილულ იქნა კულტურის განყოფილებაში, შემდეგ კი დაამტკიცეს აღმასკომის სხდომაზე. სამუშაო გეგმა გავაცანით კომკავშირის რაიკომს, განათლების განყოფილებას და რაიონის ცენტრის სკოლების დირექტორებს და ბიბლიოთეკების გამგეებს. ამის შემდეგ მოვიწვიეთ აქტივისტები, ბიბლიოთეკასთან არსებული წრეების ხელმძღვანელები, წიგნდამტარებლები და გავანაწილეთ სამუშაოები.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 26000-ზე მეტ ერთეულს ითვლის, რომელთა შორის აბსოლუტური უმრავლესობა საბავშვო და მხატვრული ლიტერატურაა. მაგრამ საჭირო იყო კიდევ ახლის შექმნა. ამ მიზნით დაკომპლექტების თანხებიდან ადგილზე შევიძინე 100 მანეთის, ხოლო ამდენივე თანხის საბავშვო ლიტერატურა მივიღეთ ბიბკოლექტორიდან, რამაც კიდევ უფრო მდიდარი გახადა ჩვენი ფონდი.

ახალმიღებული ლიტერატურის პროპაგანდისა და თითოეულ მოსწავლემდე წიგნის დაყვანის მიზნით დავწერეთ საინფორმაციო ფურცელი-პლაკატი წარწერით „საბავშვო ბიბლიოთეკამ მიიღო ახალი საბავშვო ლიტერატურა, გიწვევთ ჩვენთან ბავშვებო!“. ამასთან ერთად კლასების მიხედვით მოვაწყვეთ ამ ლიტერატურის გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები.

ლიტერატურა სპორტზე, ხელოვნებაზე, მედიცინაზე, შრომაზე, კონ-  
მონავტებზე, ტექნიკაზე. იმის გამო, რომ ბიბლიოთეკას არა აქვს სა-  
შუალება თაროებთან მკითხველთა თავისუფალი დაშვებისა, ამიტომ  
ფენაზე ერთ ადგილზე ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე  
წიგნი იყო მოთავსებული. წიგნებთან გამოფენილი იყო ჟურნა-  
ლებიც.

წიგნის ინფორმაციისა და თვალსაჩინო პროპაგანდის ამ ღონის-  
ძიებამ შედეგი გამოიღო; მარტის პირველ რიცხვებშივე ბიბლიოთე-  
კას მოაწყდა რაიონის ცენტრში მცხოვრები მოსწავლეების უმრავ-  
ლესობა, ისინი მიდიოდნენ გამოფენის სტენდებთან და თვითონ ირ-  
ჩევდნენ კლასების მიხედვით ნაჩვენებ სასურველ წიგნებს. გამოფე-  
ნიდან წიგნების შერჩევამ კარგი შედეგი მოგვცა დარგობრივი ლი-  
ტერატურის გაცემაში. დღის ბოლოს გამოფენის დათვალეირების  
შემდეგ ნათლად ჩანდა, თუ რომელ განყოფილებას ჰყავდა უფრო  
მეტი მკითხველი და რომელ წიგნებზე იყო მკითხველთა გაზრდილი  
მოთხოვნილება. მართალია, მკითხველთა ინტერესების შესწავლის  
ერთ-ერთ ფორმად ვიყენებთ მკითხველის ფორმულარების შესწავ-  
ლას. მაგრამ ამ საქმეში გამოფენიდან ასეთი წესით ლიტერატურის  
შერჩევა-გაცემამაც შეგვიწყო ხელი.

ჩვენთან ნაკლები რაოდენობით იცემოდა წიგნები სოფლის მე-  
ურნეობის საკითხებზე. ამ დარგის ლიტერატურის გაცემის გაზრდი-  
სათვის ერთ-ერთ საშუალებად გამოვიყენეთ ლამაზად გაფორმებუ-  
ლი ფოტოსტენდი წარწერით: „გავუფრთხილდეთ ბუნების სილამა-  
ზეს“. სტენდზე წარმოდგენილი იყო სურათები, რომლებიც ბავშვებს  
უღვივებს ბუნების სიყვარულს. სოფლის მეურნეობის საკითხების  
შესწავლისადმი მისწრაფებას. აქვე გამოფენილი იყო სოფლის მეურ-  
ნეობის ამსახველი პატარა წიგნები. ამ გამოფენიდან ბავშვებმა ერთ-  
თვიურის პერიოდში ათეულობით წიგნი წაიღეს და წაიკითხეს.


ბიბლიოთეკაში განსაკუთრებით დიდია მხატვრული ლიტერა-  
ტურის გაცემა; რაც ერთთვიურის პერიოდში კიდევ უფრო გაიზარ-  
და, ზოგიერთი წიგნი ერთთვიურის პერიოდში 10-ჯერ გაიცა, მაგრამ  
აქაც შეიმჩნეოდა ერთგვარი შეუსაბამობა, მაგალითად I — IV კლას-  
ების მოსწავლეები კითხულობენ ზღაპრებს, მოთხრობებს, უყვართ  
ლექსების კითხვაც. მაგრამ V — VIII კლასელები ლექსებს სრულე-  
ბით არ კითხულობდნენ. ამ მიმართულებით ჩავატარეთ ღონისძიე-  
ბანი: შევარჩიეთ პოპულარული ლექსები მამაც მებრძოლებზე, შრო-  
მის გმირებზე საქართველოს ისტორიულ წარსულზე და სისტემა-

ტურად ვატარებდით მხატვრულ კითხვას მოწინავე აქტივისტი მკითხველების საშუალებით; ამასთან ზოგიერთი მოსწავლე კითხულობდა საკუთარ ლექსებსაც (მაგალითად, მოსწავლეები: მ. შანშიაშვილი, ნ. მილაშვილი, გ. ნაროზაული და სხვები). ამის შემდეგ წიგნებს ბავშვები თვითონ ირჩევდნენ და ჩვენც ვურჩევდით მათ ლექსების, რომელი კრებულები წაეკითხათ. ამ ღონისძიებებმა საგრძნობლად გაზარდა ლექსების მკითხველთა რაოდენობა. ცალკე აღრიცხვის შედეგად გამოირკვა, რომ მარტის თვეში მარტო V — VIII კლასების მოსწავლეთა მიერ წაკითხულ იქნა ლექსების 145 წიგნი.

რამდენადმე გაძნელდა მათემატიკური ხასიათის წიგნების გაცემა. ამ დარგის ლიტერატურის პროპაგანდის სხვა ღონისძიებებთან ერთად ჩვენ გამოვიყენეთ ვახტანგ კუპრაშვილის „გასართობ და თავსატეხ ამოცანათა კრებული“. მათემატიკური წიგნებისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით ბიბლიოთეკაში შეკრებილ ბავშვებთან ერთად ამოვხსენით რამდენიმე ამოცანა, შემდეგ კი მოსწავლეებს დავავალეთ ზოგიერთი ამოცანა თვითონ ამოვხსნათ სახლში. მეორე დღეს კი ვამოწმებდით მის სისწორეს. ამასთან ერთად მოვაწყვეთ მათემატიკური ხასიათის პატარა წიგნების გამოფენაც. ამ ღონისძიებათა შედეგად ბავშვები ირჩევენ წიგნებს გამოფენიდან, რის შედეგადაც მათემატიკური ხასიათის წიგნების კითხვაში დამატებით 27 მოსწავლე ჩაება.

როგორც აღვნიშნეთ, ბიბლიოთეკას მდიდარი წიგნადი ფონდი აქვს, რომელშიც 11 ათასზე მეტი საბავშვო წიგნია, ეს იმ დროს, როცა სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკები ასეთი წიგნების დიდ ნაკლოვანებას განიცდიან. ამიტომ დავამყარეთ კავშირი ამ ბიბლიოთეკებთან და გავხსენით მათთან ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტი, რის შედეგადაც რუსული საშუალო სკოლის ბიბლიოთეკამ მარტის თვეში წაიღო 365 ცალი წიგნი, ქართული სკოლის ბიბლიოთეკამ 120 ცალი, მაჩხანის სკოლამ—35, ჯაფარიძის სკოლამ—65 ცალი და სხვ. რაიონში არ დარჩენილა არცერთი სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელთანაც ბზა-ის საშუალებით არ დაგვემყარებინოს კავშირი. ასევე კავშირი დავამყარეთ № 1 და № 2 საბავშვო ბალებთან მოძრაობების გახსნით, სადაც დიდი რაოდენობით იქნა გაცემული სკოლამდელთათვის გათვალისწინებული წიგნები.

რაიონის ცენტრის ყველა მოსწავლის კითხვაში მაქსიმალურად ჩაბმის მიზნით სკოლების მიხედვით ჩავატარეთ I — VIII კლასების მოსწავლეთა აღრიცხვა. ეს სიები შევადარეთ სკოლებისა და ჩვენ



ბიბლიოთეკის მკითხველთა ფორმულარებს. აღმოჩნდა, რომ ბავშვების საკმაო ნაწილი კითხვაში ჩაბმული იყვნენ როგორც სასკოლო, ისე საბავშვო ბიბლიოთეკაში, მაგრამ ისეთებიც შეგვხვდნენ, რომლებიც საერთოდ არ იყვნენ ჩაბმული ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში. ასეთი ბავშვების კითხვაში ჩაბმა ჩვენი საბრძოლო ამოცანა გახდა. შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ ბავშვების ნაწილი აკადემიურად ჩამორჩენილი იყო. ეს საკითხი ჩვენი ბიბლიოთეკისა და სკოლის მსჯელობის საგნად გავხადეთ და გადავწყვიტეთ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩაგვეტარებინა ერთობლივი ღონისძიება. სკოლის დარბაზში მასწავლებელ ი. მენტეშაშვილის მიერ ჩატარებულ იქნა საუბარი თემაზე: „საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახის, კულტურული ჩვევებისა და დისციპლინის შესახებ“. ამ საუბარს სხვა ბავშვებთან ერთად დავასწარით ისინიც, ვინც არ იყვნენ კითხვაში ჩაბმულნი (მათ არც იცოდნენ, რომ ეს ღონისძიება მათზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ტარდებოდა). ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო. მეორე დღეს ამ მოსწავლეთა მეტი ნაწილი როგორც ჩვენი, ისე სასკოლო ბიბლიოთეკის მკითხველი გახდა.

წიგნის პროპაგანდის მიზნით ბიბლიოთეკა სხვა ღონისძიებებსაც აწყობს. მაგალითად, ერთთვიურის პერიოდში მოვაწყვეთ საბავშვო წიგნების განხილვა (როდიონ ქორქია „მარილის აკვანში“.. იოსებ ნონეშვილის „საქართველოს გაზაფხული“), ჩავატარეთ მხატვრული დილა „მოდის გაზაფხული, მოაქვს სიხარული“, „ვემზადოთ გამოცდებისათვის“, მოვაწყვეთ ექსკურსია თამარის ციხეზე და კირის ქარხანაში, სისტემატურად ვატარებდით ბავშვებთა ხმამაღალ კითხვა-საუბრებს და სხვ. როდიონ ქორქიას წიგნის „მარილის აკვანში“ განხილვა მიეძღვნა გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 20 წლისთავს. განხილვას ესწრებოდნენ ომის მონაწილეები ს. გონაშვილი, ა. ზედელაშვილი და სხვები.


მომზადებულად ჩავატარეთ მკითხველთა კონფერენცია ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავთან დაკავშირებით. ეს კონფერენცია ერთობლივად იქნა მოწყობილი რუსული საშუალო სკოლის ბიბლიოთეკასთან. სამკითხველო დარბაზში მოეწყო ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, ლამაზად გაფორმებული ფოტო-სტენდი. იქვე იყო მოთავსებული მოსწავლეთა მიერ გაკეთებული მაკეტი — ლენინის ქოხი რაზლივში. მოეწყო ლენინის შესახებ არსებული საბავშვო ლიტერატურის გამოფენა. საინტერესო საუბარი თემაზე: „ვ. ი. ლენინის ბავშვობა და ყრმობა“ ჩატარა სასკოლო

ბიბლიოთეკის გამგე ა. კიკალიშვილმა (რუსულ ენაზე). ამავე თემაზე ქართულ ენაზე ისაუბრა VIII კლასის მოსწავლე ლიანა ნათიძემ. ბავშვებმა რუსულ და ქართულ ენაზე წაიკითხეს ლენინისადმი მიძღვნილი ლექსები (ლექსები თქვეს აგრეთვე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმაც). ლენინის ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდებზე ბავშვებს ესაუბრა რაიონის ერთ-ერთი უხუცესი მასწავლებელი ნუცა ბოსტაშვილი. კონფერენციის დასასრულს ზოგიერთ მკითხველს და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის ჩატარებაში გადაეცით საჩუქრად საბავშვო წიგნები.

ამ კონფერენციას ერთგვარი საჩვენებელი ხასიათიც ჰქონდა. მას ესწრებოდა რაიონის ყველა მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკის გამგეები, მასწავლებლები, საბავშვო ბაღის აღმზრდელები, მშობელთა ერთი ნაწილი, რაიონის აქტივისტები, გაზეთ „კომუნურნეს“ რედაქტორი და სხვ. ამ კონფერენციაზე დასწრება ერთგვარი მეთოდური დახმარება იყო რაიონის ბიბლიოთეკების მუშაკებისათვის.

ყოველივე ზემოდაღნიშნული და სხვა მრავალი ღონისძიების შედეგად ერთთვიურის მანძილზე საბავშვო ბიბლიოთეკის ახალი მკითხველი გახდა 16 წლამდე ასაკის 105 ბავშვი, ბიბლიოთეკით ისარგებლა 600-მდე ბავშვმა და გაიცა 3000-მდე წიგნი. საბავშვო, რუსული და ქართული საშუალო სკოლების და სკოლა-ინტერნატების ბიბლიოთეკების ერთობლივი მუშაობის შედეგად რაიონის ცენტრში მცხოვრები I—VIII კლასის 1931 მოსწავლიდან ერთთვიურის დასასრულისათვის მომსახურებული იყო 1890. დანარჩენ 41 ბავშვთან ბიბლიოთეკების მუშაკები ვატარებთ მუშაობას მათი წიგნის კითხვაში ჩასაბმელად.

ერთთვიური მთელი რაიონის მასშტაბით მომზადებულად და ორგანიზებულად ჩატარდა. ამისათვის მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაკებთან, როგორც აღვნიშნეთ, ჩავატარეთ კონსულტაციები, აგრეთვე ადგილზე მისვლით დახმარება გავუწიეთ 10 ბიბლიოთეკას სასკოლო ასაკის ბავშვთა კითხვაში ჩაბმისათვის კარგად იმუშავეს: გამარჯვების, არბოშის, მირზანის, ჯაფარიძის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ზემო მაჩხანის და ზოგიერთი სხვა სოფლების სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკებმა. ყველა ბიბლიოთეკაში შედგენილ იქნა ერთთვიურთან დაკავშირებით სამუშაო გეგმები, მოეწყო საბავშვო ლიტერატურის გამოფენები ჩატარდა მკითხველთა კონფერენციები და სხვ. არბოშის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგემ



მ. გონაშვილმა სხვა ღონისძიებებთან ერთად მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით ცალკე ყუთში მოათავსა მოწინავე დამცველი მკითხველი ბავშვების ფორმულარები და იქვე გააკეთა განმარტებით წარწერა „ვინ მოხვდება აქ“. ბავშვები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ მეტი წიგნი წაეკითხათ და მოწინავე მკითხველთა გვერდით დამდგარიყვნენ. ბიბლიოთეკამ ერთთვიურის ჩატარებაში ჩააბა აქტივისტები. მტკიცე და საქმიანი კავშირი დაამყარა სკოლასთან, ახალი ლიტერატურით შეავსო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სიები და სხვ. ამ ღონისძიებათა შედეგად სოფელში მცხოვრები 16 წლამდე ასაკის 410 ბავშვიდან ბიბლიოთეკის წიგნით მომსახურება გაეწია 408 ბავშვს.

გამარჯვების სასოფლო ბიბლიოთეკამ (გამგე ე. ბიკაშვილი) მრავალფეროვანი ღონისძიებების შედეგად ერთთვიურის პერიოდში 16 წლამდე ასაკის 45 ახალი მკითხველი მოიზიდა. სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკებმა სოფელში მცხოვრებ ამ ასაკის 227 ბავშვიდან 220-ს გაუწიეს მომსახურება. სოფელ ჯაფარიძის ბიბლიოთეკამ (გამგე ი. ჯალიაშვილი) 46 ახალი მკითხველი მოსწავლე მიიზიდა. ბიბლიოთეკა სოფელში მცხოვრებ 16 წლამდე ასაკის ყველა ბავშვს მოემსახურა.

მთელი სერიოზულობით მოეკიდა ერთთვიურის ჩატარებას არხილოსკალოს სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ნ. კობაიძე). მან აქტივის და საბიბლიოთეკო საბჭოს საქმიანი დახმარების შედეგად მიაღწია იმას, რომ სოფელში მცხოვრები ყველა ბავშვი ბიბლიოთეკის წიგნის მკითხველია. ასევე კარგი ღონისძიებები გაატარა და ორგანიზებულად მოაწყო ერთთვიური მთელს სოფელში და კარგი შედეგებიც გვიჩვენა ზემო მაჩხანის (გამგე ე. ბერაძე), ქვემო ქედის (გამგე თ. თურმანაული), მირზანის (გამგე ლ. გონაშვილი) და სხვა ბიბლიოთეკებმა, რომლებსაც გვერდით ამოუდგნენ სასკოლო, საკლუბო და სხვა ბიბლიოთეკები. მათ ერთობლივი ღონისძიებების შედეგად კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

ერთთვიურის მასალების შეჯამებამ გვიჩვენა, რომ რაიონში მცხოვრები I—VIII კლასების 5280 მოსწავლიდან საბავშვო, სასოფლო, სასკოლო და საკოლმეურნეო ბიბლიოთეკების მიერ ბიბლიოთეკის წიგნით მომსახურებულ იქნა 5174 მოსწავლე. კითხვაში ჩაუბმელი დაგვრჩა 106 მოსწავლე, რომელთა კითხვაში ჩაბმისათვისაც ვმუშაობთ და ვფიქრობთ შედეგსაც მივალწევთ.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა ერთთვიურის შედეგები შევი-

ნარჩუნოთ და სისტემატურად ვზარდოთ მკითხველზე წიგნის გაცემა, ჩავაბათ თვითეული ბავშვი წიგნის სისტემატურ კითხვაში. ამ მიზნით საჭირო იქნება როგორც საბავშვო, ისე სასოფლო ბიბლიოთეკების კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი სკოლებთან, პედაგოგებთან, აქტივთან, რათა ერთობლივი მუშაობით სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ბიბლიოთეკის წიგნის აქტიურ მკითხველებად გადაქცევას მივაღწიოთ.

### ფ. შურაშვილი,

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.  
თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელ-  
მწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის  
დოცენტი.

## მასობრივ ბიბლიოთეკებში საბატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების უმეღგომი გაუმჯობესებისათვის

სტატისტიკური აღრიცხვა და ანგარიშგება საბჭოთა ბიბლიოთეკის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. აღრიცხვის უდიდეს მნიშვნელობას არაერთხელ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იგი ამბობდა, რომ „სოციალიზმი — ეს აღრიცხვაა“.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს თავის წერილში — „განათლების სახალხო კომისარიატს“ მიგვითითებდა — „ანგარიშგების სწორად დაყენება, რომელიც ახლა სახკომსაბჭომ მოითხოვა, უნდა ემსახურებოდეს სამ მიზანს:

1. როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე ყველა მოქალაქის სწორ დასრულ გაცნობას იმასთან, თუ რა კეთდება;
2. თვით მოსახლეობის ჩაბმას მუშაობაში;
3. ბიბლიოთეკის მუშაკთა შორის შეჯიბრების გამოწვევას“.<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინი აღნიშნულ დოკუმენტში განათლების სახალხო კომისარიატს მიუთითებდა, რომ სასწრაფოდ ყოფილიყო გამომუშავებული ისეთი ფორმულარები და ანგარიშგების ფორმები, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ზემოხსენებული მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 567.

ლენინი მიუთითებდა, რომ ფორმულარებში შეეტანათ ცნობები წიგნებისა და გაზეთების რაოდენობის, წიგნების ბრუნვის, მკითხველების დასწრების, სხვა ბიბლიოთეკებთან წიგნების გაცვლის, ანუ მკითხველთა მოზიდვის, მათი მომსახურების შესახებ და სხვ. ლენინი მითითებდა, რომ საუკეთესო ანგარიშებისა და მიღწევებისათვის მუშაკები დაეჯილდოებინათ პრემიებით.

აქედან ნათელია, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ვ. ი. ლენინი აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს ბიბლიოთეკების საქმიანობაში.

ასევე დიდად აფასებდა საბიბლიოთეკო მუშაობის აღრიცხვასა და ანგარიშგებას ლენინის იდეების დიდი პროპაგანდისტი და მათი განხორციელებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნ. კ. კრუპსკაია.

ნ. კ. კრუპსკაიას აღრიცხვა საბიბლიოთეკო მუშაობის მნიშვნელოვან უბნად მიაჩნდა, იგი აღნიშნავდა აღრიცხვის დიდ მნიშვნელობას ბიბლიოთეკის მუშაობის დაგეგმვისა და კონტროლისათვის, მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ ბევრგან არის მოცემული მითითებები ბიბლიოთეკათა მუშაობის აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირში შექმნილია საბიბლიოთეკო მუშაობის აღრიცხვისა და ანგარიშგების განსაზღვრული სისტემა, შემოღებულია აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების სპეციალური ფორმები, რომელთა საფუძველზე ბიბლიოთეკებში მიმდინარეობს ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა და ანგარიშგება ზემდგომი ორგანოებისა და მკითხველების წინაშე.

სსრ კავშირში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საბიბლიოთეკო მუშაობის აღრიცხვასა და ანგარიშგების დარგში; მასობრივი ბიბლიოთეკებში ბევრგან კარგად არის დაყენებული წიგნობრივი ფონდების, მკითხველების, გაცემული წიგნებისა და მასობრივი მუშაობის აღრიცხვის საქმე. ბიბლიოთეკების უმრავლესობა დროულად და მაღალხარისხოვნად ადგენს სტატისტიკურ ანგარიშებს და სხვ.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან ამ დარგში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: ზოგან არ არის მოწესრიგებული საინვენტარო წიგნები, ჯამობრივი აღრიცხვის ყურნალები და ბიბლიოთეკის დღიურები, მასობრივი მუშაობის აღრიცხვა

ვერ დგას სათანადო დონეზე. ყველაფერი ეს ხელს უშლის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებისა და წერილობითი ანგარიშგების სათანადოდ შედგენას.

ჩვენს მიზანს შეადგენს გავაშუქოთ საბიბლიოთეკო სტატისტიკისა და ანგარიშგების საკითხები სათანადო რეკომენდაციებით, რაც ვფიქრობთ ერთგვარად ხელს შეუწყობს ამ საქმის შემდგომ გაუმჯობესებას მასობრივ ბიბლიოთეკებში.

### აღრიცხვის სახეები და ფორმები მასობრივ ბიბლიოთეკებში

მასობრივ ბიბლიოთეკებში აღრიცხვის საგანს შეადგენს: წიგნობრივი ფონდები, მკითხველები, წიგნის გაცემა, ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები და სხვ.

მასობრივ ბიბლიოთეკებში წარმოებს როგორც ძირეული, ისე სტატისტიკური აღრიცხვა. ძირეულ აღრიცხვას მიეკუთვნება: ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების ინდივიდუალური და ჯამობრივი აღრიცხვა; ბროშურებისა და პერიოდულ გამოცემათა რეგისტრაცია; გასული წიგნებისა და ჟურნალების აღრიცხვა; იმ წიგნების აღრიცხვა, რომლებიც მიღებულია მკითხველებისაგან, მათ მიერ დაკარგულთა ნაცვლად; მოძრავის მუშაობის აღრიცხვა; ბიბლიოთეკის მუშაობის აღრიცხვა, რომელშიც შედის მკითხველების, წიგნების გაცემის, დასწრების, მასობრივი მუშაობის, მოძრავის მუშაობის და საცნობო ბიბლიოგრაფიული მუშაობის, კადრების, საბიუჯეტო სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა. მეორად აღრიცხვას ანუ სტატისტიკურ ანგარიშგებას მიეკუთვნება ბიბლიოთეკების ანგარიშგები, რომელთაც ისინი სპეციალური ფორმით ადგენენ ყოველწლიურად (ზოგჯერ კვარტალურად და თვიურად).

სტატისტიკური ანგარიშგება ემყარება პირველად აღრიცხვას, ანგარიშგების ფორმები დგება პირველადი აღრიცხვის მასალების მონაცემების მიხედვით.

სტატისტიკური აღრიცხვის მნიშვნელოვანი საგანია საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც სამი ძირითადი სახისაა: 1) ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითად მაჩვენებელთა (ფონდები, მკითხველები, წიგნების გაცემა და მასობრივი ღონისძიებები) დინამიკა დროში, განსაზღვრულ პერიოდში; 2) სტრუქტურის მაჩვენებლები, მაგალითად, ფონდების და მკითხველთა შემადგენლობა და სხვ; 3) სტატისტიკური კოეფიციენტები

ანუ მუშაობის ხარისხობრივი (თვისებრივი) მაჩვენებლები, როგორცაა: წიგნობრივი ფონდის ბრუნვალობა, კითხვალობა, საშუალო დასწრება, წიგნით უზრუნველყოფა, ერთი ბიბლიოთეკის საშუალო დატვირთვა და სხვ.

ძირეული აღრიცხვა მასობრივ ბიბლიოთეკებში წარმოებს საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის ინსტრუქციებისა და სააღრიცხვო ფორმების მიხედვით, რომელთაც ამტკიცებს ზემდგომი სადირექტივო ორგანოები.

ამჟამად სსრ კავშირის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკაში მუშაობის ძირეული აღრიცხვა და ჩატარებული მუშაობის ტექნიკა წარმოებს „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმის“ მე-9 გამოცემის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ და რომელიც სავალდებულოა სსრ კავშირის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკისათვის მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა.

საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმში მოცემულია მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაობის აღრიცხვის ძირითადი წესები და ფორმები სათანადო ახსნა-განმარტებებით, რომელთა მიხედვით წარმოებს აღრიცხვა. არც ერთ ბიბლიოთეკას არა აქვს უფლება გადააკეთოს აღრიცხვის ფორმები და შეცვალოს აღრიცხვის წესები.

აღრიცხვის წესებისა და ფორმების ასეთი უნიფიცირება ხელს უწყობს აღრიცხვისა და ანგარიშების საქმის გაუმჯობესებას.

### **სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები და მათი შედგენის საკითხები**

სტატისტიკური ანგარიშგების ანუ „ანგარიშგების“ ფორმებს ამტკიცებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო კულტურის სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან ერთად, რომელთა გამგებლობაშიც არის მასობრივი ბიბლიოთეკები.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სისტემის მასობრივი ბიბლიოთეკები ყოველწლიურად ადგენენ ანგარიშგებს წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შესახებ და უდგენენ კულტურის ორგანოებს. არსებობს ორი სახის ფორმები — ცალკეული ბიბლიოთეკებისათვის და ნაკრები — რაიონის, ქალაქის, ოლქის, ავტონომიური რესპუბლიკის და მოკავშირე რესპუბლიკების მასშტაბით ანგარიშგების შესადგენად.

მასობრივი ბიბლიოთეკები სტატისტიკურ ანგარიშს ადგენენ ფორმა № 6 — ნკ მიხედვით.

ამ ფორმას ადგენენ სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ორგანოების, პროფკავშირული ორგანიზაციების და სხვა უწყებების გამგებლობაში მყოფი დამოუკიდებელი და საკლუბო დაწესებულებებთან არსებული ბიბლიოთეკები, რომლებიც აწარმოებენ სახლში წიგნების გაცემას, აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკების წლიური ანგარიშგების სტატისტიკური ფორმა (№ 6 — ნკ) შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ფორმის დასაწყისში მოცემულია ცნობები ბიბლიოთეკის ტიპის, მისი ადგილმდებარეობის, უწყებრივი დაქვემდებარების, შენობის, სამკითხველო დარბაზისა და მოძრავი ქსელის შესახებ; ფორმის პირველ განაყოფში მოცემულია ცნობები წლის განმავლობაში წიგნობრივი ფონდის მოძრაობის შესახებ, სადაც შეიტანება წიგნები, ჟურნალები და ბროშურები საანგარიშო წლის დასაწყისში, საანგარიშო წლის განმავლობაში მათი შემოსვლა, გასვლა და ფონდი წლის ბოლოს. აღნიშნული გრაფები უნდა შეივსოს საინვენტარო ჟურნალების მაჩვენებლების შემოსული და გასული წიგნებისა და ჟურნალების აღრიცხვის მაჩვენებლების და აგრეთვე ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით. საჭიროა წიგნების რიცხვი საანგარიშო წლის დასაწყისში შეესაბამებოდეს წიგნების რიცხვს ნაჩვენებს გასული წლის ანგარიშით წლის ბოლოსათვის.

ფორმის მეორე განაყოფში ასახულია წიგნობრივი ფონდის განაწილება და წიგნების გაცემა ცოდნის დარგების მიხედვით. ამ განაყოფის გრაფები შეივსება ჯამობრივი აღრიცხვის ჟურნალებისა და „დღიურის“ მონაცემების საფუძველზე. იქვე ჩაიწერება ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის წესით წიგნების გაცემა.

მესამე განაყოფში იწერება სულ მკითხველთა რაოდენობა, მათ შორის ბავშვები 16 წლამდე. აქ ცნობები უნდა ავიღოთ ბიბლიოთეკის დღიურიდან, რომლის მონაცემები წინასწარ უნდა იქნას შედარებული მკითხველთა ფორმულარებთან, მასვე მიემატება სამკითხველო დარბაზის, ფილიალების და მოძრავი ქსელის მკითხველები.

ფორმის მეოთხე განაყოფი ასახავს ბიბლიოთეკის მასობრივ მუშაობას, სადაც ჩაიწერება ჩატარებული ლიტერატურული და თემატიკური საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, წიგნების განხილვა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, წიგნების გამოფენები და სხვ.

აქ ცნობები შეიტანება „ბიბლიოთეკის დღიურის“ მე-3 ნაწილს, მოძრავი ბიბლიოთეკის მუშაობის დღიურის საფუძველზე და სხვა.

მეხუთე განყოფილება ცნობებს გვაძლევს ხელფასიანი საბიბლიოთეკო მუშაკების რაოდენობისა და მათი განათლებისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით შემადგენლობის შესახებ. იქვე ნაჩვენებია ბიბლიოთეკის აქტივისა და მათ შორის საბიბლიოთეკო საბჭოს წევრთა რაოდენობა.

ცალკეული ბიბლიოთეკების ანგარიშების საფუძველზე დგება რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის მასშტაბით ნაკრები ანგარიშები.

ყველა რაიონის (ქალაქის) კულტურის განყოფილების მიერ დგება ფორმა № 80-ა და წარედგინება კულტურის სამინისტროს.

აღნიშნულ ფორმაში მოცემულია ბიბლიოთეკების რაოდენობა მათი ტიპების მიხედვით, წიგნობრივი ფონდების რაოდენობა და ფასიანი მუშაკების რიცხვი.

ამასთან ერთად დგება „ნაკრები სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მასობრივი ბიბლიოთეკების წლიური ანგარიშებისა“ სადაც ბიბლიოთეკების ტიპების მიხედვით ჩაიწერება: ბიბლიოთეკების რიცხვი საანგარიშო წლის ბოლოსათვის; იქვე მოცემულია ბიბლიოთეკების დაჯგუფება ფონდების რაოდენობის, განყოფილებათა რაოდენობისა და მოძრავი ქსელის მიხედვით; წლის განმავლობაში წიგნების, ჟურნალებისა და ბროშურების მოძრაობა; წიგნობრივი ფონდებისა და წიგნების გაცემა ცოდნის დარგების მიხედვით; მკითხველთა რიცხვი, ბიბლიოთეკების მასობრივი მუშაობა, ხელფასიანი საბიბლიოთეკო მუშაკებისა და აქტივის რაოდენობა.

რაიონის (ქალაქის) ნაკრები ანგარიშები დგება ცალკეული ბიბლიოთეკების ანგარიშების საფუძველზე, მათი შედგენა მოითხოვს დიდ შრომასა და სიზუსტეს. ბიბლიოთეკის საქმიანობის ციფრობრივი მაჩვენებლები უშეცდომოდ უნდა იქნეს შეჯამებული და სათანადოდ დაჯგუფებული ნაკრები ანგარიშის ცალკეული ვრაფების მიხედვით.

რესპუბლიკის მასშტაბით ნაკრები ანგარიშების შედგენა კიდევ უფრო მეტ შრომასა და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული, მათი ხარისხი დიდად არის დამოკიდებული ავტონომიური რესპუბლიკებიდან, ოლქებიდან, რაიონებიდან და ქალაქებიდან მიღებული ცალკეული ბიბლიოთეკებისა და ნაკრები ანგარიშების ხარისხზე. მათ სწორად შედგენაზე.

კულტურის სამინისტროში ადგილებიდან წარმოდგენილ ანგარიშებში ზოგჯერ დაშვებულია, როგორც მექანიკური, ისე არსებითი შეცდომები: ზოგჯერ ნაკრების ცალკეული მაჩვენებლები არ უდრის ცალკეული ბიბლიოთეკების მაჩვენებელთა ჯამს, ზოგან არასწორად არის მოცემული წიგნობრივი ფონდები და მათი დინამიკა, მკითხველთა რაოდენობა და სხვ., ასევე დაშვებულია შეცდომები ბიბლიოთეკების რაოდენობის ჩვენებისას და სხვ.

ცალკეულ ბიბლიოთეკებში ზოგან ანგარიშების ფორმის მაჩვენებლები არ ეფარდება ძირეული აღრიცხვის მონაცემებს, ადგილს აქვს შეცდომებს. ზოგიერთ ბიბლიოთეკას ანგარიშში შეაქვს არასწორი ცნობები მკითხველთა რაოდენობის, წიგნების გაცემისა და მასობრივი მუშაობის შესახებ, ძირეულ აღრიცხვაში ვხვდებით არასწორ. ყალბ ჩანაწერებს და სხვ.

ასეთ მოვლენებს უნდა ვებრძოლოთ, უნდა ავამაღლოთ ბიბლიოთეკების მუშაობა პასუხისმგებლობა. რათა მსგავს მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს. საჭიროა ბიბლიოთეკართა სემინარებზე, კურსკონფერენციებზე და მეთოდურ თათბირებზე იხილებოდეს სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშების ორგანიზაციისა და მეთოდის საკითხები და ხდებოდეს ამ დარგში გამოცდილების გაზიარება.

### **ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები საშუალო და შეფარდებითი სიდიდეები.**

საბიბლიოთეკო მუშაობა აისახება არა მარტო აბსოლუტური მაჩვენებლებით, როგორცაა: წიგნობრივი ფონდების, მკითხველთა, გაცემული წიგნების. ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების რაოდენობა და სხვა. არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც, როგორცაა: საშუალო და შეფარდებითი სიდიდეები, ე. წ. კოეფიციენტები. რომლებიც გვიჩვენებენ წიგნების ბრუნვას, კითხვადობას, მოსახლეობის კითხვაში ჩაბმას და სხვ.

ბიბლიოთეკის ხარისხობრივ მაჩვენებლებს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის საქმიანობის ანალიზის შეფასებასა და საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

1. ბიბლიოთეკის საქმიანობის ერთ-ერთი შეფარდებითი მაჩვენებელია წიგნების, მკითხველების, წიგნის გაცემისა და სხვა მაჩვენებლების დინამიკა დროში. აღნიშნული მაჩვენებლები ცვლი-

ლებებს (ზრდას ან შემცირებას) განიცდიან წლების (ან კვარტალების) მიხედვით, ამიტომ ჩვენთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ცვლილებათა ასახვას აბსოლუტურ ციფრებში. ეს ჩვეულებრივ ცხრილების სახით წარმოგვიდგება.

2. საბიბლიოთეკო სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნობრივი ფონდისა და გაცემული წიგნების შემადგენლობას ცოდნას დარგების მიხედვით, მკითხველთა შემადგენლობას ასაკის, პროფესიის, განათლებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ეს მაჩვენებლები შეიძლება გამოიხატოს როგორც ცხრილების, ისე დიაგრამების სახით. კერძოდ სექტორული დიაგრამის სახით. სადაც ნათლად იქნება ნაწილები მთელის შემადგენელი ნაწილების ხვედრითი წონა მთელის მიმართ სექტორების საშუალებით, როგორც პროცენტებით, ისე აბსოლუტური ციფრებით.

3. ამა თუ იმ ბიბლიოთეკის საქმიანობის ხარისხის გამოვლინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. კოეფიციენტების გამოანგარიშებას, საბიბლიოთეკო სტატისტიკაში არსებობს შემდეგი კოეფიციენტები:

ა) კ ი თ ხ ვ ა დ ო ბ ა (Читаемость) — წიგნის გაცემის საშუალო რიცხვი თითოეულ მკითხველზე წლის განმავლობაში, რაც გამოიანგარიშება წლის განმავლობაში გაცემული წიგნების რაოდენობის გაყოფით მკითხველთა რაოდენობაზე.

ბ) ბ რ უ ნ ვ ა დ ო ბ ა (Обращаемость) — ერთი წიგნის საშუალო გაცემა წლის განმავლობაში (ე. ი. ერთი წიგნი საშუალოდ რამდენჯერ იყო ბრუნვაში). ბრუნვადობა გამოიანგარიშება გაცემული წიგნების რაოდენობის გაყოფით წიგნობრივი ფონდის რაოდენობაზე.

გ) წ ი გ ნ ი თ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ა (Книгообеспеченность) — წიგნების საშუალო რაოდენობა ერთ მკითხველზე; გამოიანგარიშება წიგნობრივი ფონდის რაოდენობის გაყოფით მკითხველთა რაოდენობაზე.

დ) და ს წ რ ე ბ ა (Посещаемость) — ერთი მკითხველის საშუალო დასწრება ბიბლიოთეკაში; გამოიანგარიშება წლიური დასწრების (ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველთა რიცხვის) გაყოფით რეგისტრირებულ მკითხველთა რიცხვზე.

ე) სა შ უ ა ლ ო დ დ ი უ რ ი და ს წ რ ე ბ ა (Средняя дневная посещаемость) — გამოიანგარიშება წლის განმავლობაში დასწრების რაოდენობის გაყოფით სამუშაო დღეთა რაოდენობაზე.

ვ) ერთი ბიბლიოთეკარის დატვირთვა (Нагрузка на одного

ბიბლიოთეკარა) — შეიძლება წარმოგვიდგეს რამდენიმე სახით: წიგნების გაცემა ერთ ბიბლიოთეკარზე, რაც გამოიანგარიშება გაცემული წიგნების რაოდენობის გაყოფით ბიბლიოთეკართა რაოდენობაზე, საშუალო რაოდენობა მკითხველებისა ერთ ბიბლიოთეკარზე — გამოიანგარიშება მკითხველთა რიცხვის გაყოფით ბიბლიოთეკართა რაოდენობაზე.

4. გარდა ზემოხსენებული კოეფიციენტებისა საბიბლიოთეკო სტატისტიკაში გამოიყენება სხვა კოეფიციენტები და საშუალო მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების, ბიბლიოთეკების ქსელის სიმჭიდროვეს და სხვა. ეს კოეფიციენტები შემდეგია:

ა) საბიბლიოთეკო ქსელის სიმჭიდროვე (Плотность библиотечной сети) — გამოიანგარიშება ბიბლიოთეკების რიცხვის გაყოფით რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის მცხოვრებთა რაოდენობაზე. ვინაიდან მცხოვრებთა რაოდენობა ყოველთვის მეტია ბიბლიოთეკების რაოდენობაზე. შეიძლება განაყოფი ძალზე დანაწევრებული, მცირე იყოს; ამიტომ ჩვეულებრივ ამ კოეფიციენტის გამოანგარიშებისას იღებენ, თუ რამდენი ბიბლიოთეკა მოდის 1000 მცხოვრებზე ან 10000 მცხოვრებზე. ეს გამოიანგარიშება ზემოხსენებული წესით მიღებული წილადის გამრავლებით 1000-ზე ან 10000-ზე და სხვ.

ან კიდევ შეიძლება ეს კოეფიციენტი გამოიანგარიშოთ პირუკუ წესით — თუ რამდენი მცხოვრები მოდის ერთ ბიბლიოთეკაზე, რაც გამოიანგარიშება მცხოვრებთა რაოდენობის გაყოფით ბიბლიოთეკების რაოდენობაზე.

ბ) ბიბლიოთეკების მისაწვდომობა (Коефициент доступности библиотек) — გამოიანგარიშება ბიბლიოთეკების გაყოფით მისი მომსახურების რაიონის ტერიტორიაზე (კვ. კილომეტრზე). აქაც შეიძლება მსგავსად ქსელით უზრუნველყოფის კოეფიციენტისა პირუკუ გამოიანგარიშების წესის გამოყენება, ე. ი. გამოიანგარიშება იმისა, თუ რამდენი ტერიტორია მოდის ერთ ბიბლიოთეკაზე. ამას ანგარიშობენ ტერიტორიის სიდიდის (კვ. კილომეტრები) გაყოფით ბიბლიოთეკების რაოდენობაზე.

გ) მოსახლეობის კითხვაში ჩაბმის ანუ მოზიდვის კოეფიციენტი — გამოიანგარიშება მკითხველთა რაოდენობის გაყოფით მცხოვრებთა რაოდენობაზე, რაც ჩვეულებრივ გამოიანგარიშება პროცენტებში. მაგალითად, რაიონში მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 60

ათასს, მკითხველთა რაოდენობა 20 ათასს, ე. ი. წიგნით მომსახურებულთა მოსახლეობის 33 პროცენტი.

დ) ბიბლიოთეკების განვითარების ძირითადი მაჩვენებლები რომლებიც გვიჩვენებენ ბიბლიოთეკების სიმძლავრეს, ასეთებია: წიგნების, მკითხველების, წიგნების გაცემისა და ბიბლიოთეკარების საშუალო რაოდენობა ერთ ბიბლიოთეკაზე. ისინი გამოიანგარიშება ზემოხსენებული მაჩვენებლების შეჯამებით (ვთქვათ, რაიონის მასშტაბით) და მათი გაყოფით (რაიონში არსებული) ბიბლიოთეკების რაოდენობაზე.

ე) ერთს სულ მცხოვრებზე წიგნების რაოდენობა ანუ მოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფის კოეფიციენტი გამოიანგარიშება ყველა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების რაოდენობის გაყოფით მცხოვრებთა რაოდენობაზე. მაგალითად, რაიონის ყველა ბიბლიოთეკაში 300 ათასი წიგნია, მცხოვრებთა რაოდენობა აღწევს 60 ათასს. წიგნით უზრუნველყოფის კოეფიციენტი იქნება 300 ათასი : 60 ათასზე — 5, ე. ი. საშუალოდ რაიონის თითო მცხოვრებზე მოდის 5 წიგნი ანუ წიგნთუზრუნველყოფის კოეფიციენტი უდრის 5-ს.

ზემოხსენებულ საშუალო, შეფარდებით მაჩვენებლებსა და კოეფიციენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს საბიბლიოთეკო საქმეში; მათი საშუალებით შეიძლება სწრაფად და ზუსტად გამოვავლინოთ ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ხარვეზები და მიღწევები და ამის საფუძველზე გავატაროთ საჭირო ღონისძიებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კოეფიციენტებისა და საშუალო მაჩვენებლების გამოანგარიშება ემყარება აბსოლუტურ ციფრებს, ბიბლიოთეკის საქმიანობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ამიტომ საჭიროა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ წიგნობრივი ფონდების, მკითხველთა, გაცემული წიგნებისა და სხვა მაჩვენებლების ძირეული და სტატისტიკური აღრიცხვა, ნაკრები ანგარიშების შედგენის საქმე. ყველაფერი ეს მოგვცემს ზუსტი საშუალო მაჩვენებლების და კოეფიციენტების მიღების საშუალებას, რომელთა საფუძველზე ხელმძღვანელ ორგანოებსა და ბიბლიოთეკებს საშუალება ეძლევათ სწორად წარმართონ და უხელმძღვანელონ საბიბლიოთეკო მუშაობას.

თითოეული საბიბლიოთეკო მუშაკი უნდა დაეუფლოს აღრიცხვისა და სტატისტიკის საკითხებს, მას უნდა შეეძლოს სწორად აღრიცხოს ბიბლიოთეკაში ჩატარებული მუშაობა, გაუკეთოს მას ანალიზი

კოეფიციენტების, საშუალო და შეფარდებითი მაჩვენებლების საფუძველზე და მიღებული შედეგების მიხედვით გაატაროს კონსტრუქციები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

### სტატისტიკური გრაფიკა და მისი გამოყენება

სტატისტიკური მაჩვენებლების თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით საბიბლიოთეკო სტატისტიკაში გამოიყენება გრაფიკული ხერხი — დიაგრამებისა და კარტოგრამების სახით. დიაგრამები გვიჩვენებენ ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლების დინამიკას, მათ სტრუქტურას და სხვ.

ბიბლიოთეკებში შეიძლება გამოყენებულ იქნას სვეტისებური (ხაზობრივი) დიაგრამები, რომლებიც შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური. ვერტიკალური სვეტის სიდიდე (სიმაღლე) უნდა ეფარდებოდეს ციფრობრივი მაჩვენებლების სიდიდეს.

სვეტისებური დიაგრამის საშუალებით შეიძლება გამოვსახოთ წიგნობრივი ფონდის, მკითხველების, წიგნის გაცემის და სხვა მაჩვენებლების ზრდა წლების მიხედვით.

წიგნობრივი ფონდისა და გაცემული წიგნების შემადგენლობა ცოდნის დარგების მიხედვით, მკითხველთა შემადგენლობა ასაკის, სქესის, განათლების, საქმიანობის და სხვა ნიშნების მიხედვით შეიძლება გრაფიკულად გამოვსახოთ ე. წ. სექტორული დიაგრამების სახით, როდესაც წრე გაიყოფა სექტორებად. რომელთა სიდიდე უნდა ეფარდებოდეს აბსოლუტურ ციფრების სიდიდეს. დიაგრამებზე აღნიშნული უნდა იყოს წლები და ციფრობრივი მაჩვენებლები.

შეიძლება გამოვიყენოთ ე. წ. სურათებიანი ანდა ნახატებიანი დიაგრამები; მაგალითად, წიგნის ზრდის დინამიკის ჩვენების დროს სვეტების ნაცვლად გამოვიყენოთ წიგნის გრაფიკული გამოხატულება და სხვ.

ბიბლიოთეკებში იყენებენ მომსახურების რაიონის რუკებს ბიბლიოთეკების ქსელის განლაგების საჩვენებლად და სხვ.

აღრიცხვასა და სტატისტიკას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს საბიბლიოთეკო მუშაობაში, ამიტომ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, შევისწავლოთ ის და გამოვიყენოთ მუშაობაში მკითხველთა მომსახურების უკეთ წარმართვისათვის.

## თ. ზანჩულიძე,

თერჯოლის სარაიონო ბიბლიოთეკის  
გამგე.


### როგორ ვხეხარებით სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

თერჯოლის სარაიონო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან რაიონის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, პედაგოგები, ვეტექიმები, ბრიგადირები, ფერმის მუშაკები, კოლმეურნეები, მუშები, მოსწავლეები.

ჩვენი ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნობრივი ფონდით. მისი რიცხობრივი მაჩვენებელი ამჟამად 24 ათას ტომს აღემატება; აქედან: საზოგადო პოლიტიკურია 6.300, სასოფლო-სამეურნეო — 3.200.

რაიონულ ცენტრის თავისებურების გამო ბიბლიოთეკის მკითხველთა უმრავლესობას სოფლის მეურნეობის მუშაკები შეადგენს. ამიტომ ჩვენი ბიბლიოთეკა სისტემატურად აუმჯობესებს მკითხველთა ამ ჯგუფის მომსახურების ხარისხს, რითაც თავისი წვლილი შეაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უხვი მოსავლის მიღების საქმეში. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მშრომელებთან ახლო კავშირში — ასეთია ჩვენი ბიბლიოთეკის ამოცანა. ამ ამოცანის განსახორციელებლად ბიბლიოთეკის კოლექტივი პირველ რიგში სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ფონდს, ავლენს არსებულ ხარვეზებს და იბრძვის მის სალიკვიდაციოდ. ითვალისწინებს რა მკითხველთა მოთხოვნილებებს, გამომცემლობათა გამოცემების თემატური გეგმების საფუძველზე ვადგენთ სიას იმ ლიტერატურის მოთხოვნისათვის, რომლის გამოცემაც გათვალისწინებულია, მიღებული ლიტერატურის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობებთ მკითხველთა ფართო მასებს.

სამოქმედო რაიონში შევისწავლეთ სოფლის მეურნეობაში მო-



მუშავე სპეციალისტების რაოდენობა და შემადგენლობა. სოფლების მიხედვით სპეციალისტებზე შევადგინეთ კარტოთეკა.

ამჟამად აგრონომ-აგროტექნიკოსების, ზოოვეტექნიკების, ფერმის მუშაკების, ბრიგადირებისა და სხვა სპეციალისტების რიცხვი, რომელთაც ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს, 135-ზე მეტია. ეს ამხანაგები ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველები არიან და თვითუ-ულს საშუალოდ 25 — 35-ზე მეტი წიგნი აქვს წაკითხული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე.

ბიბლიოთეკის მუშაკები ვ. რობაქიძე და ე. ერგემიძე ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ წიგნზე მკითხველთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. აი ის ზოგიერთი ფორმები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც თერჯოლის სარაიონო ბიბლიოთეკა ემსახურება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს:

1. შემოვიღეთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თავისუფალი დაშვება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ფონდით სარგებლობისათვის. წიგნის თაროსთან, რომელზედაც მოთავსებულია სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა, მოთავსებულია წარწერა: სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო აირჩიეთ თქვენთვის საჭირო ლიტერატურა.

2. სოფლის მეურნეობის ცალკეულ საკითხებზე შედგენილია საყურნალო და საგაზეთო სტატიების თემატური კარტოთეკები.

3. სისტემატურად ვადგენთ სარეკომენდაციო სიებს: რა წავიკითხოთ მევენახეობაზე და სხვ. (მევენახეობა და მემინდვრეობა ჩვენი რაიონის წამყვანი დარგია).

4. გვაქვს ლამაზად გაფორმებული სტენდი წარწერით: თერჯოლის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები.

5. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და განზოგადების მიზნით ვაწყობთ შეხვედრებს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან.

ასეთი შეხვედრა მოეწყო ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეებთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ მერგოლურ გ. ფორჩხიძესთან, რომელმაც 572 ცენტნერის ნაცვლად 631 ცენტნერი ხარისხოვანი ყურძენი ჩააბარა სახელმწიფოს.

ასევე მოეწყო შეხვედრა ამავე კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირ ვ. ნემსაძესთან, რომელიც რამდენიმე წელია ხელმძღვანელობს ბრიგადას. ამხ. ვ. ნემსაძე საუკეთესო მუ-

შაობისათვის დაჯილდოებულია ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით და მსუბუქი ავტომატქანა პობედით. მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დასახმარებლად, ვიყენებთ საინფორმაციო დაფას.

სპეციალისტთა დასახმარებლად ტარდება ლექციები, მოხსენებები, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, 1964 წელს ჩატარდა სპეციალური ლექცია 5-ჯერ, მოხსენება — 4-ჯერ, წიგნების გარჩევა — 12-ჯერ.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომსახურებაში ფართო დახმარებას გვიწვევენ ბიბლიოთეკის საბჭოს წევრები და მკითხველი აქტივი. მათი მონაწილეობით ჩატარებული მასობრივი ღონისძიებები ყოველთვის კარგ შედეგს გვაძლევს.

მაგალითად, მთავარმა აგრონომმა ნ. ლიბრაძემ, ვ. ქარქაშიძემ და სხვებმა, ბიბლიოთეკის თხოვნით მრავალი ლექცია-მოხსენება წაიკითხეს.

აღსანიშნავია რაიონის სასოფლო ბიბლიოთეკების დახმარება სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. რომელთაგან გამოირჩევა ეწრის სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ე. ჭილაძე), ზედა სიმონეთის სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე გ. გელაძე), ჩხარის სასოფლო ბიბლიოთეკა (გამგე ნ. ფანჩულიძე) და სხვები.

ჩვენი ბიბლიოთეკის კოლექტივს მიმდინარე წელს განზრახული აქვს კიდევ უფრო გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების საბიბლიოთეკო მომსახურება.

### ამავლარი ბიბლიოთეკარი

დიდი და საპატიოა ბიბლიოთეკარის სახელი. იყო პროპაგანდისტი წიგნისა — ცოდნის ამ უშრეტეი წყაროსი — ეს მეტად რთული ამოცანაა, ხოლო ამ ამოცანის შესრულებაში მთავარ როლს ბიბლიოთეკარი ასრულებს. რამდენად სწორად შეუთრჩევ მკითხველებს მათთვის საჭირო ლიტერატურას, როგორ მოხერხებულად გახსნი მკითხველებისათვის ბიბლიოთეკის ზღვა წიგნად ფონდს ამაზე ბევრადაა დამოკიდებული მკითხველთა წიგნით მომსახურების საქმე. ეს საქმე ბიბლიოთეკარის საპატიო საქმეს წარმოადგენს და ბევრადაა დამოკიდებული მის გარჯასა და საქმისადმი სიყვარულზე.

ბიბლიოთეკისადმი უსაზღვრო სიყვარულით და მკითხველისადმი პატივისცემით ხასიათდება რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის დამუშავების განყოფილების გამგე მერი მელაძე.

მერი დიმიტრის ასული მელაძე დაიბადა 1903 წელს ქ. ბაქოში. წერა კითხვა მერის მისმა დეიდამ ბაბილონა იოსელიანმა ასწავლა.

მან ბავშვობიდანვე ჩაუწერა მერის წიგნისადმი სიყვარული. წიგნის ამ დაუშრეტელი საუნჯის დიდმა სიყვარულმა მოიყვანა იგი რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა პროფ. გ. გეხტმანმა თავისი პასუხისმგებლობით მიიღო (1924 წლის 1 ივნისს) მერი მელაძე სამუშაოდ. „შრომა მაღლის დედააო“, — უთქვამთ. მონდომებამ და შრომამ ნაყოფი გამოიღო; მერის უფროსი ამხანაგები, პრაქტიკოსი პედაგოგები: მათე მატატაშვილი, ლევან ეგორაშვილი და მარო იორდანიშვილი გვერდიდან არ იშორებდნენ მერის. მონდომებით ასწავლიდნენ ყველაფერს, რათა მისი შემოქმედებითი დიაპაზონი გაეზარდათ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში.

1930 წელს მერი ამთავრებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან არსებულ უმაღლესი კვალიფიკაციის საბიბლიოთეკო კურსებს და პედაგოგიურ მუშაობას იწყებს ამავე საბიბლიოთეკო კურსებზე.


შინაარსიანი და მდიდარია მერი მელაძის ბიოგრაფია. ენერგიულ მუშაკს შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა საბიბლიოთეკის მის დიდ ენთუზიასტებთან და სპეციალისტებთან (პროფ. ვეფხვაშვილი, ნი, მწერალი სანდრო ეული-ქურიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. კანდელაკი. მათე მატატაშვილი, ლევან ეგორაშვილი, ვანო ციციშვილი, გ. გიორგიძე, მარო იორდანიშვილი, ნ. აკერმანი, ნ. ლორთქიფანიძე, თ. მაჭავარიანი, გ. ბაქრაძე, ვ. ჯოჯუა, დ. მარკევიჩი, პ. ხუნდაძე, ნ. ჭელიძე, დ. აბაშიძე, თ. ნაკაშიძე, ნ. ტარსაიძე და სხვ.).

1932 წელს მერი ინიშნება დამუშავების განყოფილებაში მთავარ რედაქტორად; ხოლო 1944 წლიდან ანბანური კატალოგების განყოფილების გამგედ. 1953 წელს მერი მელაძე სამსახურიდან მოუწყვეტლად ბრწყინვალედ ამთავრებს თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტს. 1953 წლის ოქტომბერში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მას ბიბლიოთეკათმცოდნის კვალიფიკაცია მიენიჭა.

სასურადადღებოა თინათინ ნაკაშიძის, ვლადიმერ ჯოჯუას და პლატონ ხუნდაძის აზრი მერი მელაძეზე: „როცა კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მოღვაწეობაზე ვჩერდებით, ვლაპარაკობთ მერი მელაძეზეც, როგორც ერთ-ერთ მოწინავე სპეციალისტზე. რომელმაც დაუფასებელი წვლილი შეიტანა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთელ საქმიანობაში. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ თქვენი მხურვალე მონაწილეობა საქართველოს წიგნის პალატის მოღვაწეობაშიც. რომელიც ეროვნულ ბიბლიოგრაფიას ხელმძღვანელობს ჩვენში და რომლის დავალებებსაც დიდი ენთუზიასტით ასრულებთ თქვენ“.

1947 წელს მერი მელაძე კომუნისტური პარტიის რიგებში შედის. ამ გარემოებამ კიდევ მეტი მოთხოვნები წაუყენა მას. მ. მელაძემ მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოიყენა და ჩვენი კატალოგების უზარმაზარი მეურნეობა საბჭოთა კავშირში თვალსაჩინო გახადა. ორმოცი წლის დაუღალავმა მუშაობამ მერი მელაძეს გული ვერ შეუცვალა, იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით იღწვის და ჩვეული სიყვარულით ეკიდება ყველა საქმეს, რაც მის მშობლიურ ბიბლიოთეკას ეხება.

მერი მელაძის დიდი დამსახურებაა. რომ მან დიდი როლი შეასრულა ბიბლიოთეკის ფონდებზე ანბანური კატალოგების შექმნასა და




ორგანიზაციის საქმეში, რომელთაც ჩვენი დარგის ისტორიაში დიდ შეფასებას და აქტუალობას ანიჭებენ. იგი ამავე დროს წლების მანძილზე თავმჯდომარეობს ბიბლიოთეკის დამუშავების განყოფილებაში სამეცნიერო საბჭოს. სისტემატურად ახორციელებს ღონისძიებებს საინტერესო და სასარგებლო სიახლეთა დანერგვისათვის.

მერი მელაძე ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იგი იყო ადგილკომის თავმჯდომარე, პარტიუროს წევრი, მასვე ეკუთვნის სამეცნიერო ხასიათის ნაბეჭდი და ხელნაწერი შრომები ბიბლიოგრაფიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგში. მისი და მისი კოლეგების აწ განსვენებულ მარო იორდანიშვილისა და ლ. ეგორაშვილის თანაავტორობით შედგენილი და გამოცემულია დიდი ბიბლიოგრაფიული შრომები. მერი მელაძეს ეკუთვნის „ინსტრუქცია ანბანური კატალოგის აწყობისათვის“, „ქართული კოლექტიური ავტორების მაჩვენებელი“, „ქართული საგნობრივი კატალოგის რუბრიკები“. მ. მელაძე რედაქტორია წიგნისა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოფიციალური გამოცემების აღწერილობანი და მათი ასახვა ანბანურ კატალოგებში — მეთოდ-მითითებანი“.

მერი მელაძე უბრალო, მორიდებული, თავმდაბალი მუშაკია; ამიტომ უყვარს მთელ ჩვენს კოლექტივს. მან ძალიან ბევრი სპეციალისტი აღზარდა. მათ ჩვენი რესპუბლიკის ყოველ კუთხეში შეხვდებით. ისინი მადლიერების გრძნობით იგონებენ თავიანთ საყვარელ მასწავლებელს.

მერიმ ამ ორმოცი წლის მანძილზე მრავალი ჯილდო დაიმსახურა (მხედველობაში თუ არ მივიღებთ იმ მრავალრიცხოვან მადლობებს, რომლებითაც სავსეა მისი შრომის წიგნაკი). ჯერ კიდევ 1946 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული იყო მედლით „მამაცური შრომისათვის 1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში“.

1947 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მედლით „კავკასიის დაცვისათვის“. 1957 წელს საკავშირო კულტურის სამინისტროს ბრძანებით, სამკერდე ნიშნით „წარჩინებული მუშაობისათვის“, 1960 წელს საპატიო სიგელით „საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანებით“. 1961 წელს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ბრძანებით მიენიჭა „საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება“, ხოლო 1962



წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება.

ამხ. მერი მელაძეს 1949 წელს გადაუხადეს ბიბლიოთეკაში მუშაობის ვიკლოდ მუშაობის 25 წლისთავი.

1964 წ. 25 დეკემბერს ჩვენმა კოლექტივმა გულთბილად აღნიშნა მერი მელაძის მოღვაწეობის 40 წლისა და დაბადების 60 წლისთავი. ბიბლიოთეკის კომწიად მორთული სააქტო დარბაზი სტუმრებით აივსო. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ა. კოკაიაშვილმა შესავალი სიტყვით გახსნა საზეიმო სხდომა.

მოხსენება მ. დ. მელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოგრაფმა ნ. ლაიშვილმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსი — ამხ. ა. კალანდარაშვილი, რომელმაც იუბილარს გადასცა ადრესი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კულტურის მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელით იუბილარს მიესალმა ამხ. ჯიმშერი მუჯირი, რომელმაც წაიკითხა მინისტრის ბრძანება მ. დ. მელაძის „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ და გადასცა სამკერდე ნიშანი.

მოგონებებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოგრაფი რესპ. დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნ. აკერმანი, რომელიც 33 წელია იუბილართან ერთად განუწყვეტლივ მუშაობს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: თ. მაჭავარიანი (რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი), თბილისის კულტურის განყოფილების სახელით ზ. ჩხარტიშვილმა, ბ. ჯვარიძემ, თ. ჯონთაბერიძემ, ე. ზაქტრეგერმა, ზ. ბერიკაშვილმა, ზ. ლუარსაბიშვილმა, ფ. ჯაფარიძემ.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო კომბინატის კოლექტივის სახელით იუბილარს მიესალმა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა ამხ. ცაცა ღლონტმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ-სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელით მიესალმა ელენე ყუყუნაძე, ა. ჯაფარიძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სახელით ნინო მესხი, ქ. თბილისის 38-ე მასობრივი ბიბ-

ლიოთეკის (რომელსაც 3 წელზე მეტია შეფობას უწევს იუბილარი) მუშაკთა და მკითხველთა სახელით იზოლდა გურგენიძე.

მწერალ სანდრო ეული-ქურიძის მილოცვის წერილი ეულის ორტომეული იუბილარს გადასცა გაცვლითი ფონდის გამგემ ნინო ჭანუყვაძემ.

იუბილარს მიესალმენ: ბიბლიოთეკის დირექტორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე კანდელაკი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი ალექსანდრა კავკასაძე. მათ მერი მელაძეს გადასცეს ადრესი და ფასიანი საჩუქრები.

საღამოზე წაკითხულ იქნა იუბილარის სახელზე მოსული დეპეშები; მათ შორის აკადემიკოს ვიქ. კუბრაძის, დოცენტ ნიკო ლორთქიფანიძის, დოც. ნიკო დგებუაძის, გამოჩენილ ბიბლიოთეკარების თამარ თარხნიშვილის, ნათელა ერისთავისა და სხვ.

დასასრულს მერი მელაძემ დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც მას მიულოცა დაბადების 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავი და განაცხადა, რომ იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას ჩვენი სამშობლოს და კომუნიზმის მშენებელი ხალხის საკეთილდღეოდ.

## ს. კულუჯაშვილი,

სამეცნიერო-მეთოდური განყოფილება  
მეთოდისტი.

### რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საგამომცემლო მუშაობა

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა წარმოადგენს რესპუბლიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებას და სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებს შორის მოწინავე ადგილი უკავია მკითხველთა მომსახურებისა და სამეცნიერო მუშაობის მოცულობის მხრივ.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ როგორც კულტურის სამინისტროს სისტემის, ისე სხვადასხვა უწყების ბიბლიოთეკებისადმი მეთოდურ ხელმძღვანელობას და წარმოადგენს მეთოდური და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრს.

ჩვენი ბიბლიოთეკის უდიდესი სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა ნაწილობრივ თავის გამოხატულებას პოულობს მის საგამომცემლო საქმიანობაში.

ბიბლიოთეკა სტამბური წესით სისტემატურად სცემს, როგორც სამეცნიერო ხასიათის შრომებს, ისე მეთოდურ და ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურას რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად.

საგამომცემლო მუშაობის ორგანიზაციის უკეთ მოწყობის მიზნით ბიბლიოთეკასთან შექმნილია საგამომცემლო კომისია, რომელსაც დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ამხ. ა. კავკასიძე ხელმძღვანელობს, ხოლო კომისიაში გაერთიანებულია ბიბლიოთეკის წამყვანი მუშაკები და სპეციალისტები. პრაქტიკულად გამოცემე-

ბის ორგანიზაცია კი დავალებული აქვს სამეცნიერო მეთოდურ განყოფილებას.

ნაყოფიერი იყო გასული 1964 წელი ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მეცნიერების, მკვლევარებისა და მკითხველთა სხვა გარკვეული ჯგუფების დიდი მოწონება, კმაყოფილება და მადლობა დაიმსახურა „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მესამე ტომის გამოცემამ, რომლის პირველი ნაკვეთი 1963, ხოლო მეორე ნაკვეთი 1964 წელს გამოვიდა.

მეცნიერ-მუშაკების, მკვლევარებისა და სხვა დაინტერესებულ მკითხველთა გულისტივილი და სურვილი არაერთხელ იყო გამოთქმული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე ამ მეტად საჭირო მასალების საკატალოგო ყუთებიდან წიგნში გადატანისა, გამომზეურებისა და უფრო ხელმისაწვდომად გახდომის შესახებ. და აი ეს სურვილიც განხორციელდა. მრავალი წლის განმავლობაში კარტოთეკის სახით არსებული მასალა წიგნად დაიბეჭდა.

„ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ ამ ტომში შესულია 1886 — 1892 წლების გაზეთ „ივერიის“, 1887 წლის გაზეთ „ცისკრის“ და 1890 წლს გაზეთ „თეატრის“ აღწერილობა.

აღნიშნული ბიბლიოგრაფია მომზადებულ იქნა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის მუშაკების მიერ. კერძოდ, გაზეთი „ივერია“ მთლიანად აღწერა მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა თამარ დონდუამ. მასალებს ბიბლიოგრაფიული რედაქცია გაუკეთა, სისტემატურად დაალაგა, საძიებელი შეადგინა და სპერთოდ ამ ბიბლიოგრაფიის და მისი გაგრძელების მომზადებაზე დიდი ენერგია დახარჯა მხარეთმცოდნეობის კაბინეტის მთავარმა ბიბლიოთეკარმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა, ღვაწლმოსილმა ბიბლიოთეკარმა თამარ მაჭავარიანმა. მანვე აღწერა გაზეთები „თეატრი“ და 1884 წელს გამოცემული გაზეთ „მომამის“ ერთადერთი ნომერი.

XIX საუკუნის გაზეთ „ივერიის“ მასალა კაბინეტის მუშაკების მიერ დაყოფილ იქნა სამ პერიოდად.

I. 1886 — 1892 წლები. რადგანაც 1893 წელს დაიწყო გამოსვლა ჟურნალ „კვალმა“ და გარკვეულად ქართველ საზოგადოებაში გაჩნდა გაზეთ „ივერიის“ საწინააღმდეგო მიმართულება.

II. 1893 — 1896 წლები. 1896 წელს ცენზურის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ივერია“. ამავე წლის ოქტომბრიდან დაიწყო

გამოსვლა გაზეთ „ცნობის ფურცელმა“. ამ პერიოდის მასალა მოთავსებულია „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მეოთხე ტომში. რომელიც ჩაშვებულია სტამბაში დასაბეჭდად და მიმდინარე წლის ბოლოსათვის მომდევნო წელს მიიღებს ჩვენი მკითხველი.

III. 1897 წლის 17 იანვრიდან განახლდა გაზეთ „ივერიის“ გამოსვლა. მესამე პერიოდი მთავრდება 1900 წლით. ეს იქნება ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მეხუთე ტომი, რომელიც მომზადებულია აგრეთვე გამოსაცემად. XX საუკუნის გაზეთ „ივერიის“ აღწერილობა შევა შემდეგ ტომში.

„ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მესამე ტომი რომელიც უკვე ხელთ აქვთ მკითხველებს, შედგება 22 თავისაგან და საინტერესო მასალებს გვაძლევს: ფსიქოლოგიის, ეთიკის, ისტორიის, რელიგიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, პუბლიცისტიკის, ეროვნული საკითხების, სამართლის, განათლების, ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნეობის, ბეჭდვითი საქმის, წიგნთმცოდნეობის, ბიბლიოთეკების, სოფლის მეურნეობის, მედიცინის, ტექნიკის და სხვა დარგებში.

მეტად საინტერესოა ის, რომ აქ დაყენებულია საკითხი გაზეთ „ივერიის“ დამაარსებლისა და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მედროშის ილია ჭავჭავაძის უცნობ სტატიებზე. რომელთა შესახებ მითითებულია, რომ ისინი ილიას კალამს ეკუთვნის. ამის დადგენაში დიდი წვლილი მიუძღვის ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმის ყოფილ დირექტორს, აწ განსვენებულ პლატონ კეშელავას, რომელსაც მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ, დოცენტ შალვა გოზალიშვილს და თამარ მაჭავარიანს, რომელმაც დაადგინა რომ მთელი რიგი წერილები, რომლებიც „ივერიაში“ მოთავსებულია ხელმოწერის ხარეშე ნამდვილად ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის.

საკითხის ასეთი დაყენება და „ივერიის“ მთელი რიგი ხელმოწერელი წერილების გარკვევა თავის მკვლევარს ელოდება და სწორედ ამ ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთ დადებით მხარეს ისიც წარმოადგენს, რომ მკვლევარებს მისცა მასალა მასზე მუშაობისა, საკითხების გარკვევისა და გაზეთ „ივერიაზე“ მონოგრაფიის დაწერისა.

„ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ მესამე ტომის გამოცემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მისი გამოცემისა და მიღებისათვის ათეულობით მადლობის წერილებია მიღებული ბიბლიოთეკის დი-

რექციის სახელზე, საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებებისა და ცალკეული პიროვნებებისაგან.

აღნიშნული გამოცემის შესახებ ურნალ მნათობის 1964 წლის მეორე ნომერში ვრცელი რეცენზია იქნა მოთავსებული ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ სოლომონ ხუციშვილის მიერ.

ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტშივე თამარ მაჭავარიანის მიერ მომზადებულ იქნა და მეცნიერებათა აკადემიამ გასულ წელს გამოსცა „ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგის“ მეორე ნაწილი (საბჭოთა პერიოდი).

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გასული წლის გამოცემებს შორის მეტად მნიშვნელოვანია „ჩვენს ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი“, რომელიც შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების გამგემ ცილა ჩიკვაშვილმა. წიგნის რედაქტორია თამარ მაჭავარიანი.

ასეთი სახის კატალოგი სისტემატურად იცემა ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ. მათთან დაცული ხელნაწერების კატალოგი გამოსცა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, ლიტერატურულმა მუზეუმმა. ცენტრალურმა არქივმა და მთელმა რიგმა სხვა დაწესებულებებმა. კატალოგი გამოცემული არ გვქონდა ჩვენ, რაც გასულ წელს უკვე განვახორციელეთ.

რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ხელნაწერთა ცალკე გამოყოფა და დაცვა ჯერ კიდევ 1931 წლიდან დაიწყო. 1937 წელს ბიბლიოთეკას გადმოეცა ყოფილი „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების“ წიგნადი ფონდი, რომელშიც იყო რამდენიმე საყურადღებო ხელნაწერი წიგნი, რითაც საფუძველი ჩაეყარა ამჟამად ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერთა კოლექციის შექმნას. ხელნაწერი წიგნები და საარქივო მასალები აგრეთვე შემოსულია ბუკინისტური მაღაზიიდან და კერძო პირთაგან შესყიდვით ან საჩუქრის სახით.

ჩვენი ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კოლექცია მოიცავს 212 საინვენტარო, ხოლო 490-ზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ერთეულ ხელნაწერ წიგნს, საბუთებსა და ეპისტოლარულ მასალებს.

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს ეტრატზე ასომთავრულით დაწერილი დღეს ლიტერატურაში ცნობილი „ლაგურკის ლექციონარი“, რომლის გადაწერის თარიღად დადგენილია IX საუკუნის მეორე ნახევარი. ასევე საინტერესოა 1241 წლის ხელნაწერი „ოთხთავი“. XIX საუკუნის ხელნაწერი ვახუშტი ბატონიშვილის

„საქართველოს ისტორია“, 1816 წლის ხელნაწერ ბაგრატი ბატონი-შვილის „შემოკლებული სოფლის ეკონომია“, დავით ჩუბინაშვილის 1852 წლის ავტოგრაფი „ქართული გრამატიკა“ და სხვა. ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია: პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე ჯავახიშვილის, დავით დადიანის, ეკატერინე ჯავახიშვილი-დადიანის, დავით გრუზინსკის, ზაქარია ჭიჭინაძის, დიმიტრი ბაქრაძის, დავით ჩუბინა-შვილის, ძმები რაზიყაშვილების, მარჯორი და ოლივერ უორდროპების, პეტრე კროპოტკინის და სხვათა კერძო წერილები.

აღნიშნულ გამოცემაში გარდა ამ მასალებისა ცალკე განყოფილებად წარმოდგენილია აღწერილობა პლატონ იოსელიანის არქივის იმ ნაწილისა, რომელიც 1937 წელს ყოფილი „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების“ წიგნად ფონდთან ერთად ჩაიბარა კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ.

აღნიშნული კატალოგის გამოსაცემად მომზადებაში შემდგენელს დიდი დახმარება გაუწვია ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ილია აბულაძემ, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებმა თინათინ ენუქიძემ და ქრისტიანე შარაშიძემ და რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოთეკარმა თამარ მაჭავარიანმა.

როგორც აღვნიშნეთ რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მეთოდურ ხელმძღვანელობას რესპუბლიკის ბიბლიოთეკებისადმი თავისი გამოცემებითაც ახორციელებს.

გასულ 1964 წელს ჩვენს მიერ გამოცემულ იქნა 12 სახელწოდების მეთოდური და 7 სახელწოდების ბიბლიოგრაფიული ხასიათის ბროშურა. მათ შორის 10 სახელწოდების მეთოდური წერილი მომზადებულ იქნა სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების მუშაკების, 3 სახელწოდების — ბიბლიოგრაფიული განყოფილების, 1 მხარეთმცოდნეობის კაბინეტის, 1 მომსახურების განყოფილებისა და 1 მხარეთმცოდნეობის კაბინეტისა და ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიერ ერთობლივად.

ბიბლიოთეკის მუშაკების: გუია ბერულავას, ნიკოლოზ აკერმანისა და მირიან პაპიძის მიერ რუსულიდან თარგმნილ და დასაბეჭდად მომზადებულ იქნა „საბიბლიოთეკო ტექნიკის მინიმუმი“. წიგნის ქართული გამოცემის გამო კონსულტაცია მოამზადა გუია ბერულავამ. წიგნი მეტად საჭირო და აუცილებელ სახელმძღვანელოს წარმოადგენს მასობრივი და პროფკავშირული ბიბლიოთეკებისათვის.

მეთოდისტ მირიან პაპიძის მიერ მომზადდა მეთოდური მითი-

თებანი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოფიციალური გამოცემების აღწერილობანი და მათი ასახვა ანბანურ კატალოგში“ (რედაქტორი მერი მელაძე). ბროშურაში მოცემული მეთოდური მითითებების უკეთ გამოყენების მიზნით მეთოდურ წერილს დართული აქვს პარტიის ოფიციალურ გამოცემათა აღწერილობისა და კატალოგებში მათი ასახვის სქემების ნიმუშები. ეს ბროშურა დიდ დახმარებას უწევს როგორც მასობრივ, ისე რესპუბლიკურ და საოლქო ბიბლიოთეკებს ანბანური კატალოგების სწორად აგების საქმეში.

იმავე მეთოდისტ მირიან პაპიძის მიერ დაწერილ იქნა ვრცელი მონოგრაფია — „ხესტაფონის სარაიონო ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილების შესახებ“. ბროშურაში ასახულია ამ ბიბლიოთეკის კოლექტივის, მისი გამგის ბაბო ახრახაძის და აქტივისტების მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომლებსაც ისინი ატარებენ და იყენებენ მკითხველთა მოზიდვისა და ლიტერატურის გაცემის მაჩვენებლების ზრდისათვის. ბროშურაში აგრეთვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი სარაიონო ბიბლიოთეკის მეთოდურ მუშაობას — და ხელმძღვანელობას რაიონის ბიბლიოთეკებისადმი.

მეთოდური განყოფილების გამგის გრიგოლ კიპაროიძის მიერ მომზადებულ იქნა მეთოდური წერილი „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდა მასობრივ ბიბლიოთეკებში“. ბროშურაში დახასიათებულია ამ დარგის ლიტერატურის პროპაგანდის გაუმჯობესებისათვის საჭირო მუშაობის ფორმები და მეთოდები. რომლებიც ბიბლიოთეკის მუშაკებმა უნდა გამოიყენონ თავიანთ საქმიანობაში. მასში აგრეთვე მოცემულია, თუ როგორ უნდა დაამყარონ კავშირი ბიბლიოთეკებმა პარტიულ ორგანიზაციებთან, პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულ მსმენელებთან, პროპაგანდისტებთან და ლექტორ-მომხსენებლებთან ამ დარგის ლიტერატურის მკითხველთა უფრო ფართოდ მოზიდვის მიზნით.

მეთოდისტ სერგო პულუხაშვილის მიერ მომზადებული იქნა მეთოდური წერილი — „მეცნიერულ-ათვისტური ლიტერატურის პროპაგანდა მასობრივ ბიბლიოთეკებში“. ბროშურაში გარდა ამ დარგის ლიტერატურის პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდებისა, მოცემულია ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება და ამ დარგის ლიტერატურის პროპაგანდისათვის ჩასატარებელი მასობრივი ღონისძიებების გეგმების, გამოფენების, პლაკატებისა და სხვათა ნიმუშები. ბროშურას აგრეთვე დართული აქვს ათვისტური ლიტერატურის მოკლე სარეკომენდაციო სია.

იმავე მეთოდისტის მიერ დაწერილ იქნა ნარკვევი „სიონლის რაიონის ზემო ბოდბის სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდლება“. ბროშურაში ასახულია ის ღონისძიებანი, რაც ამ ბიბლიოთეკამ გაატარა ყველა ოჯახისა და წერა-კითხვის მცოდნე ყველა მცხოვრების ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში ჩაბმისათვის.

სამეცნიერო მეთოდური განყოფილების ყოფილი მეთოდისტი ლუბა ბოკუჩავას მიერ მომზადებულ იქნა მეთოდური წერილი: „გაცვლითი ფონდების ორგანიზაცია სარაიონო და ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკებში“ (რედაქტორი მირიან პაბიძე).

მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსება და სრულყოფა ბევრად და მოკიდებული გაცვლით ფონდებზე, რომლებშიც თავს მოიყრის ბიბლიოთეკებისათვის ზედმეტი ლიტერატურა და ამის საშუალებით განაწილება სხვა ბიბლიოთეკებზე, რომლებსაც ასეთი წიგნები ესაჭიროებათ. სწორედ ამ საქმის ორგანიზაციის მოწყობას ეხება ეს ბროშურა, რომელიც ბიბლიოთეკების მუშაკებს აძლევს მეთოდურ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა მოეწყოს გაცვლითი ფონდები სარაიონო და ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკებთან და რა მუშაობის ჩატარება ევალებათ მათ.

ბროშურას დართული აქვს საჭირო ინსტრუქციები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევს ბიბლიოთეკებს.

მეთოდური განყოფილება ყოველწლიურად ამზადებს მეთოდური მასალების ორ კრებულს მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად. ამ კრებულებში დაბეჭდილია როგორც ბრძანებები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები, ისე მეთოდური და მუშაობის გამოცდილების ამსახველი სტატიები, რომელთა ავტორები არიან ჩვენი ბიბლიოთეკის, აგრეთვე რესპუბლიკის სხვადასხვა ბიბლიოთეკის თანამშრომლები. გასულ წელს გამოცემულ ორ კრებულში მოთავსებულია: გუია ბერულავას, ლუბა ბოკუჩავას, სერგო პულუხაშვილის, ზაქრო მიშელაძის, ელენე ახვლედიანის, ფილიმონ ყურაშვილის, შალვა კომუნაძის, გიორგი რუხაძის და რესპუბლიკის მასობრივი ბიბლიოთეკების მუშაკების: ლილი ნუცუბიძის, ძაბა გვაზავას, ნინა ყურაშვილის, გულნარა ინდაშვილის, ელენე შანიძისა და სხვათა წერილები, რომლებიც ეხება ბიბლიოთეკების პრაქტიკული მუშაობის საკითხებს (კრებულების რედაქტორია პავლე კიკნაძე).

საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგის გრიგოლ ზაქარაიას მიერ შედგენილი იქნა და სტამბურად გამოვიდა ლიტერა-

ტურის ორი სარეკომენდაციო სია: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ბიბლიოთეკისა და ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“ და „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ქიმიის შესახებ“.

მთავარ ბიბლიოგრაფ ნიკოლოზ აკერმანისა და ბიბლიოთეკარ ია ჯაფარიძის მიერ შედგენილ იქნა სარეკომენდაციო სიები „მიხეილ ლერმონტოვი“ და „ნიკოლოზ ოსტროვსკი“. უფროს ბიბლიოთეკარ კლარა რამიშვილის მიერ შედგენილ იქნა სარეკომენდაციო სია „დღი-მიტრი ყიფიანი“.

მომსახურების განყოფილების უფროსმა ბიბლიოთეკარმა ანხ. ტ. საპატოვამ შეადგინა ლიტერატურის სარეკომენდაციო სია მეც-ნიერ-მუშაკებისა და ასპირანტების დასახმარებლად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის საკითხებზე.

აღნიშნული სიები დიდ დახმარებას უწყვეტ არა მარტო მასობრივ ბიბლიოთეკებს ღონისძიებების ჩატარებისა და გამოფენების მოწყობაში, არამედ ლექტორ-მომხსენებლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ამ სიებში ნახულობენ მათთვის საჭირო მასალებს.

ბიბლიოგრაფიული განყოფილებისა და მხარეთმცოდნეობის კაბინეტის მუშაკების თამარ დონდუას, ნიკოლოზ აკერმანის, კლარა რამიშვილისა და ია ჯაფარიძის მიერ უკანასკნელ პერიოდში მომზადებულ იქნა მეტად საინტერესო მასალა „საქართველოს შესახებ რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურის მაჩვენებელი“. ამ ბროშურის გამოცემა პირველ რიგში ითვალისწინებს საკურორტო ბიბლიოთეკებისადმი დახმარებას. ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკის კურორტებზე ზამთარ-ზაფხულს ათასობით ჩამოდის როგორც ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მშრომელები, ისე საზღვარგარეთის მოქალაქენი, რომლებსაც აინტერესებთ საქართველოს გაცნობა ლიტერატურითაც, წიგნების საშუალებით. წიგნში მოცემული სია დიდ დახმარებას გაუწევს მათ საქართველოს შესახებ არსებულ რუსული ლიტერატურის შერჩევაში.

ზემოდ დასახელებული ჩვენი გამოცემები ეგზავნება რესპუბლიკის ყველა მასობრივ ბიბლიოთეკას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პარტიულ და პროფკავშირულ ბიბლიოთეკებსაც. ყველა ამ გამოცემის ტირაჟი განსაზღვრულია 1500-დან 2000-მდე.

ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის დერეფანში, სამეცნიერო-მეთოდური განყოფილების საგამოფენო დარბაზში და კლუბში მოწყობილია ბიბლიოთეკის გამოცემების მუდმივი გამოფენა, საიდა-

ნაც შეუძლიათ ისარგებლონ მკითხველებმა. ცალკეულ დაინტერესებულ პირებს კი ჩვენი გამოცემები შეუძლიათ მიიღონ უნასყიდლოდ სამეცნიერო მეთოდური განყოფილებიდან.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექციას განზრახული აქვს მიმდინარე 1965 და მომავალ წლებში კიდევ უფრო გააფართოოს საგამომცემლო საქმიანობა. როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წელს გამოვა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მეოთხე ტომი, ასევე ჩაშვებულია სტამბაში და მიმდინარე წელს გამოვა სრული ბიბლიოგრაფია ზაქარია ფალიაშვილის შესახებ. მისი შემდგენელია ბიბლიოგრაფი ლეილა ზამბახიძე. ასევე გამოვა ბიბლიოგრაფიული ცნობარი „ნატა ვაჩნაძე“ (შემდგენელი ლია ჟღენტი). და 20-ზე მეტი სახელწოდების მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა.

## Р Е З Ю М Е

В настоящем сборнике «Методические материалы в помощь массовым библиотекам» (выпуск первый) представлены официальные материалы, опыт работы ряда передовых библиотек, а также методические письма и статьи в помощь работникам библиотек.

В сборнике помещены следующие статьи:

1. Постановление Коллеги Министерства Культуры Грузинской ССР в связи с рекомендациями межведомственного республиканского библиотечного совета по поводу Постановления Центрального Комитета КПСС «О состоянии и мерах улучшения библиотечного дела в стране» (1959 г.).

2. Приказ министра Культуры Грузинской ССР № 152 от 2 апреля 1965 года — О состоянии и мерах улучшения работы библиотек Ахметского района.


3. Кипароидзе Г. (Зав. научно-методическим отделом Гос. Республиканской библиотеки Груз. ССР). — Итоги Всесоюзной конференции молодых читателей на тему: «Молодой герой советской литературы» в библиотеках Грузинской ССР.

4. Пулузашвили С. (Методист Научно-методического отдела), — Библиотека Телавской третьей средней школы (опыт работы).

5. Тодрия Н. (Методист Научно-методического отдела), — Пропаганда литературы гражданской обороны, в массовых библиотеках.

6. Хачануридзе Н. (Зав. Кутаисской детской библиотеки № 4) — Опыт работы Кутаисской детской библиотеки № 4.

7. Гелашвили М. (Зав. Цителцкаройской детской библиотеки



кой). — Как мы провели месячник библиотечного обслуживания детей школьного возраста в Цителцкарройском районе.

8. **Курашвили Ф.** (Кандидат педагогических наук, доцент). — За дальнейшее улучшение статистического учета и отчетности в массовых библиотеках.

9. **Панчулидзе Т.** (Зав. Терджольской районной библиотекой). — Как мы помогаем специалистам сельского хозяйства.

10. **Лайшвили Н.** (Главный библиограф). — Маститый библиотекарь. (В связи с 60-летием со дня рождения и 40-летием работы заслуженного библиотекаря, зав. отделом обработки Государственной Республиканской Библиотеки Груз. ССР — М. Меладзе).

11. **Пулузашвили С.** (Методист Научно-методического отдела). — Издательская работа Государственной Республиканской Библиотеки Груз. ССР им. К. Маркса.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება № 9/2 1964 წ. 30 ოქტომბერი — საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკბ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დადგენილების შესაბამისად საუწყებათაშორისო რესპუბლიკური საბიბლიოთეკო საბჭოს სარეკომენდაციო წინადადებების შესახებ	3
2. ბრძანება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრისა № 152 1965 წ. 2 აპრილი — ახმეტის რაიონის საბიბლიოთეკო დაწესებულებების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ	14
3. კიპარიძე გ. — „საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა გმირის“ თემაზე ახალგაზრდა მკითხველთა სრულიად საკავშირო კონფერენციის შედეგები საქართველოს ბიბლიოთეკებში	20
4. პულუზაშვილი ს. — თელავის მესამე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა (მუშაობის გამოცდილებიდან)	36
5. თოდრია ნ. — სამოქალაქო თავდაცვითი ლიტერატურის პროპაგანდა მასობრივ ბიბლიოთეკებში	48
6. ხაჭაპურიძე ნ. — ქუთაისის № 4 საბავშვო ბიბლიოთეკის მუშაობის გამოცდილება	58
7. გელაშვილი მ. — როგორ ჩავატარეთ სასკოლო ასაკის ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ერთდღიური წითელწყაროს რაიონში	65
8. ყურაშვილი ფ. — მასობრივ ბიბლიოთეკებში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშების შემდგომი გაუმჯობესებისათვის	73
9. ფანჩულიძე თ. — როგორ ვეხმარებით სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს	84
10. ლაიშვილი ნ. — ამაგდარი ბიბლიოთეკარი	87
11. პულუზაშვილი ს. — რესპუბლიკური ბიბლიოთეკის საგამომცემლო მუშაობა	92



Министерство культуры Грузинской ССР

Государственная Республиканская библиотека им. К. Маркса

**СБОРНИК МЕТОДИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ  
В ПОМОЩЬ МАССОВЫМ БИБЛИОТЕКАМ**

(Выпуск первый)

На грузинском языке

Редактор — П. Кикидзе

უფასო

Бесплатно

ჩაიშვა წარმოებაში 22|V-65 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად  
23|VII-65 წ. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,5

უე—06710

შეკვ. № 2994

ტირაჟი 1500

[-20]

44.7/62.

